სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 26 აგვისტო 1999 №162 (935) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ერზურუმ, ჩვენთან!

გიორგი კიკნაძემ „დინამოს“ მაისურა თურქულზე გაცვალა

5 საქართველო 9 დღით ადრე

ბოსკამპის გუნდის სასექტემბრო განწყობა და მომზადება სრულიად შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა ეროვნული ნაკრები თავის ჯგუფში — უიმედო და უპერსპექტივო

11 განაჩენი გამოტანილია

გუშინ ბრიტანეთის სამეფო სასამართლომ ციხეს ოთხი პატიმარი შემატა

4 ტორპი ურეკორდოდ არ ცურავს

წყნარი ოკეანის თამაშებზე ავსტრალიელმა მოცურავემ იან ტორპმა მეოთხე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

თბილისში ხელბურთელთა საერთაშორისო მატჩებისთვის საკრედიტაციოდ მიმართეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას

ჩემპიონთა ლიგაონი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

წუხელ ბებერმა კონტინენტმა გაარკვია იმ 16 გუნდის ვინაობა, ამდენსავე განთესილს პრესტიჟულ, მდიდრულ და თვალისმომჭრელ ჩემპიონთა ლიგაში რომ შეუერთდება. თასი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ახლახან მოიპოვა, კვლავ მაისს და ახალ დამპყრობელს ელის. ყველაფერი თავიდან იწყება...

ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპის მეორე წრის შეხვედრათა შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე

REUTERS პარმადან

პარმა — რეინჯერსი 1:0. პარმელი ლილიან ტურამი (მარჯვნივ) მიხაელ მოლსს ეგლაუჭებოდა

დრამა სამ მოქმედებად

მარიონ ჯონსი: ოქრო, ბრინჯაო და ტკივილი

THE IAAF WORLD CHAMPIONSHIPS IN ATHLETICS SEVILLA'99

გუშინ სევილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ექვმა ბედნიერმა მძლეოსანმა გაიხარა ოქროს მედლით, თუმცა საყოველთაო ყურადღება გამარჯვებულთა ტრიუმფმა კი არა, ერთმა დრამატულმა ამბავმა მიიპყრო: 200 მეტრზე მორბენალ ქალთა ნახევარფინალში სევილიური ოქროთი და ბრინჯაოთი უკვე ხელდამშვენებულ ამერიკელ მარიონ ჯონსს ამჯერად ბედმა უმუხთლა. უპირველესმა ფავორიტმა შუა დისტანციაზე უცებ წელზე ხელი იტაცა და ტკივილისგან სახემოქცეული სარბენ ბილიკზე ჩაიკეცა...

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS სევილიიდან

REUTERS რიგიდან

სკონტო — ჩელსი 0:0. „სკონტოს“ ქართველ თავდამსხმელ დავით ჩალაძეს ლონდონელი ჯოდი მორისი გადაეღობა

ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II წრე
25 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

სკონტო (ლატვია) 0:0 *ჩელსი (ინგლისი)* (0:3)
გალათასარაი (თურქეთი) 1:0 რაპიდი (ავსტრია) (3:0)
1:0 ოკანი (52)
ვიძევი (პოლონეთი) 0:2 *ფიორენტინა (იტალია)* (1:3)
0:1 კიეზა (40), 0:2 კოისი (68)
დინამო (უკრაინა) 2:2 ოლბორგი (დანია) (2:1)
0:1 ოვერი (9), 0:2 გარდე (47), 1:2 გუსინი (74), 2:2 შაკიხი (90)
მალიორკა (ესპანეთი) 1:1 *მოლდე (ნორვეგია)* (0:0)
1:0 სტანკოვიჩი (22პ), 1:1 ლუნდი (85პ)
მარიბორი (სლოვენია) 2:0 ლიონი (საფრანგეთი) (1:0)
1:0 სიმუნჯა (24), 2:0 ბალაიჩი (45)
მტკ (უნგრეთი) 0:2 *კროაცია (ხორვატია)* (0:0)
0:1, 0:2 სიმიჩი (60, 85)
პარმა (იტალია) 1:0 *რეინჯერსი (შოტლანდია)* (0:2)
1:0 ვალემი (68)
ბოავიშტა (პორტუგალია) 1:2 (4:2 დდ.) ბრონდბიუ (დანია) (2:1)
1:0 ლიტუში (13), 1:1 კრისტენსენი (47), 1:2 ბიური (90), 2:2, 3:2 აუგუსტინი (99, 110), 4:2 რუი ბენტუ (117)
აიკ (შვედეთი) 1:0 აეკ (საბერძნეთი) (0:0)
1:0 ნოვაკოვიჩი (58)
ანორთოსისი (კვიპროსი) 0:0 *ჰერტა (გერმანია)* (0:2)
ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 2:0 ზიმბრუ (მოლდოვა) (0:0)
1:0 ნილისი (81), 2:0 ოიერი (86)
პარტიზანი (იუგოსლავია) 1:3 *სპარტაკი (რუსეთი)* (0:2)
0:1, 0:2 შირკო (19, 46), 1:2 კეუმანი (72), 1:3 ტიტოვი (83პ)
ვალენსია (ესპანეთი) 2:0 ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) (2:0)
1:0, 2:0 ხუან სანჩესი (59, 66)
სერვეტი (შვეიცარია) 2:2 *შტურმი (ავსტრია)* (1:2)
1:0 დე სოუზა (50), 1:1 კოციანი (54), 1:2 ვასტიჩი (78), 2:2 ტურე (89)
დორტმუნდი (გერმანია) 1:0 ტეპლიცე (ჩეხეთი) (1:0)
1:0 ჰერლიხი (90)

REUTERS მარიბორიდან

მარიბორი — ლიონი 2:0. ლიონელ ანდერსონთან ბურთისთვის მებრძოლ ზიდანის (მარცხნივ), მართალია ზინედინ კი არა, გრეგორ ჰქვია, მაგრამ მისმა გუნდმა მაინც გაიკაფა ლიგისკენ გზა

უეფას თასი. I ეტაპი. II წრე
25 აგვისტო

UEFA CUP

ლოკომოტივი (რუსეთი) 5:0 ბატე (ბელარუსი) (7:1)
1:0 ჩუგაინოვი (16), 2:0 ლოსკოვი (23), 3:0 სმერტინი (36), 4:0, 5:0 ხარლაჩევი (67, 75)

გვიჩვენებს და გვიჩვენოს!

დღეს, 26 აგვისტოს, უეფას თასის შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩები ... ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში გაკრული ლამაზი აფიშებიც სწორედ ამას გვამცნობენ.

„ტორპედო“ — „ლანტანას“ თამაში „გივი კილაძეზე“ 18 საათზე იწყება

დიახ, ორი კვირა გავიდა ტალინური მატჩიდან. მატჩიდან, რომელშიც ტორპედოელებმა, ფაქტობრივად, გაინაღდეს ევროტურნირის მომდევნო წრეში გასვლის უფლება. ესტონეთში დამაჯერებელი გამარჯვების (5:0) შემდეგ, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა ვიფიქროთ.

ბალტიისპირელები გუშინ შუადღისას გვესტუმრნენ მოსკოვი — ქუთაისის ავიარეისით და ვარციხის სამთავრობო რეზიდენციაში დაბინავდნენ. აქ ცოტა დაისვენეს და 19 საათისათვის „გივი კილაძესაც“ ეახლნენ... „ლანტანამ“ მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში და „კვადრატის“ გორება იკმარა.

— მგზავრობამ ძლიერ დაგვღალა, სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ტალინიდან მოსკოვამდე ავტობუსით ჩავედით, 12 საათი გავატარეთ გზაში — დაიწყო სტუმარი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბელოვმა და მერე დანარჩენსაც მოჰყვა — სულ 17 ვართ, ორი მწვრთნელი, ექიმი და 14 ფეხბურთელი. ზედმეტ ხარჯს მოვერიდეთ. პირველი მატჩის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა, სასწაულის მომზდენნი ჩვენ არ ვართ და...

— 0:5-ის შემდეგ ცოტა ძნელიცაა საბრძოლველად განეწყო, მაგაში გეთანხმებით, მაგრამ...

— მესმის, რისი თქმაც გინდათ. ჩვენ წყვილში გამარჯვებული უკვე ტალინში გაირკვა. იმედგადაწურულები ვართ, მაგრამ ქუთაისში სასეირნოდ კი არა, სათამაშოდ ჩამოვედით. „ტორპედო“, ალბათ, ახლაც მოგვიგებს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, ეგებ ისეთი დამთრგუნველი ანგარიშით მაინც აღარ წავაგოთ. მოგეხსენებათ, ძალიან ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს, გამოუცდელი ბიჭები არიან. მხოლოდ იმას მოვითხოვ, არ იფიქრონ ანგარიშზე, არ შეუშინდნენ მეტოქეს, კიდევ ერთხელ შეამოწმონ საკუთარი შესაძლებლობები.

— დაცვით ტაქტიკას მიმართავთ?

— ჯერ ერთი, რა აზრი აქვს და, საჭიროც რომ იყოს, ჩვენ ასეთი რამ დამუშავებული არა გვაქვს. ამიტომ, როგორც გვათამაშებენ, ისე ვითამაშებთ.

— პირველ მატჩთან შედარებით ცვლილებებს ხომ არ მოახდენთ, შემადგენლობა მაქვს მხედველობაში...

— მაგის შესაძლებლობა რომ გვქონდეს... არა, ისევ იმ ბიჭებს მოუწევთ თამაში.

— პრეზიდენტი რატომ არ ჩამოჰყვა გუნდს?

— სერგეის რაღაც პრობლემები შეექნა და ვეღარ წამოვიდა.

— „ტორპედო“ მოგვიგებსო, რომ ამბობთ, სულ არ იტოვებთ იმედს?

— იოტის ოდენას. თქვენებს ბურთს თუ არ გაატანინებენ, ბიჭებს გმირობაში ჩავუთვლი. ოჰ, მაინც არ მჯერა.

მწვრთნელისგან განსხვავებით, სიტყვაძუნწნი აღმოჩნდა „ლანტანას“ კაპიტანი ოლეგ კოლოცეი — ვერაფერს გეტყვით, თამაში გვიჩვენებსო.

გვიჩვენებს და გვიჩვენოს!

„ლანტანა“ რომ „გივი კილაძეზე“ ვარჯიშობდა, ტორპედოელები საღორიის ბაზაზე გადიოდნენ ბოლო მატჩისწინა წვრთნას. ქუთაისელთა ძირითადს არავინ დააკლდება, ყველანი ჯანზე არიან, გუნდში განწყობაც ოპტიმისტურია. ისე, დავით ყიფიანმა „ტორპედოს“ ოპერატორს ერთხელაც დაატრიალებინა პირველი მატჩის ვიდეოფირი. საქმისთვის იყო საჭირო.

აუტანელი სიცხის შემდეგ გუშინ საღამოს ქუთაისში იწვიმა და „გივი კილაძის“ მუშებმაც შვებით ამოისუნთქეს — ამაღამ მინდვრის მორწყვა არ დაგვჭირდებაო.

თამაშზე დასწრების მსურველებს! ათი, ხუთი, უკიდურეს შემთხვევაში სამი ლარი იქონიეთ. ეს ბილეთების ფასები. უბილეთოდ კი სტადიონზე მგონი, ჩიტიც ვერ შეფრინდეს. ჟურნალისტებს! ააკრედიტაციოდ სტადიონს 15 საათისათვის მიაკითხეთ.

ჰო, „ტორპედო“ — „ლანტანას“ ფინელ თემიდის მსასურთა ბრიგადა განსჯის. უეფას დელეგატი კი წარსულში ცნობილი ავსტრიელი არბიტრი ჰანს ვიორერია.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

„გივი კილაძე“ დღევანდელ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება

ბელფასტში მართლა წვიმს

თბილისის „ლოკომოტივმა“ თითქმის ექვსსაათიანი ფრენის შემდეგ, ჩვენი დროით დღის სამ საათზე ჩააღწია ბელფასტს. მგზავრობა ნორმალური იყო, ქართული დელეგაცია ჩინებულ ხასიათზე გახლდათ.

აეროპორტში ქართველებს მასპინძელი „ლინფილდის“ წარმომადგენლები დახვდნენ. საბაჟო ფორმალობათა მოგვარების შემდეგ სტუმრები ავტობუსში ჩასხეს და სასტუმრო „ჰოლიდეი ინ ექსპრესის“ გზას გაუყენეს.

თბილისური ხვატით შეწუხებულებს ბელფასტში საკმაო სიგრილე დახვდათ. „ლოკომოტივის“ მესვეურებმა რომ ივარაუდეს, ბესფასტში ალბათ იწვიმებსო, თქვენ წარმოიდგინეთ, გაუმართლდათ. მთლად კოკისპირულად არა, მაგრამ საკმაოდ ძლიერად წვიმდა.

სასტუმროში მისულმა ლოკომოტიველებმა ცოტა სული მოითქვეს, ნომრებში დანაწილდნენ, ისადილეს და წყნარი საათიც გამოცხადდა.

მერე ხურცილავამ შეგირდები ავტობუსში ჩასხა და გეზი „უინძორ პარკისკენ“ აიღეს. ერთსაათიანი ვარჯიშის შემდეგ დაბრუნდნენ ქართველები სასტუმროში.

განწყობა სათამაშო-საბრძოლოა, ღვთის მადლით, არც ფეხბურთელები უჩივიან რამეს. ყველა ხვალინდელი მატჩის მოლოდინში ვართ — გვითხრა „ლოკომოტივის“ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, შუალამისას ბელფასტში რომ შევეხმიანეთ.

მამუკა კვანტალიანი

პეტელი ყველას შეუძლია

ბადრი კეთილაძის ფოტო

სოსო გრიშიკაშვილი

ცხვარი ცხვარიაო და თუ გაბრაზდა ცხარიაო — ქართული ანდაზა ზომ გახსოვთ. ჰოდა, არ არის გამორიცხული, ამოუვიდეს ყელში ამდენი კორესპონდენციის გმირად ყოფნა დილმის ბაზაზე „დისლოცირებულ“ წვრილჩლიქოსანს და იმგვარი რამე მოუვიდეს თეთრი მატყლით დამშვენებულ თავში... თუმცა თუ დაიპეტელებს, თორემ თქმით ვერაფერს იტყვის და...

ერთი რამით მაინც შეუძლია ინუგეშოს თავი ცხვარმა — მას გამჩენმა „დინამოს“ ერთგვარი გადამრჩენის მისია უწყალობა და ამ არეულ დროში ამხელა გუნდის ჭირისუფლობაზე ერთი კი არა, ბარე მთელი ცხვრის ფარა მოაწერდა ხელს.

სანამ ღრმად პატივცემული წვრილჩლიქოსანი ბაზის სიმშვიდით ტკბება, დინამოელები ათასგზის ნათელი ბილიკით ჩემპიონატის აღმართ-დაღმართებს მიუყვებიან — ვარჯიშობენ, ვარჯიშობენ, ვარჯიშობენ და უეჭველად თავიანთ კლანჭებსაც მალე აწვნევენ ყველას, ვინც კი საჩემპიონო გზაზე გადაეღობებათ.

„არსენალთან“ მოულოდნელი მარცხის შემდეგ მარადი ჩემპიონის რიგებში ოდნავი დაბნეულობა ჰო, მაგრამ პანიკის ნასახი არ შეინიშნება. ტრავმირებულები ნელ-ნელა მწყობრს უბრუნდებიან, საზღვარგარეთ ბედის საძიებლად წასულების ამბავიც შეუფერხებლად მოდის გუნდში და ბოსკამპის მრისხანე აჩრდილიც თანდათან დავიწყებას ეძლევა.

ოთარ კორღალიძემ გუშინ საღამოს ექვს საათზე ავარჯიშა „დინამო“. გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბა. აქამდე ტრავმირებულები — წიტაიშვილი და გრიშიკაშვილიც მწყობრში იყვნენ (გრიშიკაშვილს ხელი სტკიოდა, წიტაიშვილს — ფეხი).

ბაზაზე გიორგი ანჩაბაძეც გამოჩნდა. მართალია, მას ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია ქვეყნის ჩემპიონთან, მაგრამ „დინამოში“ გიორგის თამაში თითქმის მოთავებული საქმეა.

ასეთი ამბებია. იმ ცხვარის გასაგონად კი ერთსაც ვიტყვით — შენ ფეხბურთის თამაში მითხარი, თორემ პეტელი ყველას შეუძლია.

კონსტანტინე გოგიშვილი

ერზურუმ, ჩვენთან!

აქამდე ერზურუმზე ჩემი წარმოდგენა გიორგი დანელიას „არ დაიდარდოთი“ და მისი ეპიზოდური პერსონაჟით შემოიფარგლებოდა — ალბათ, გახსოვთ ეს ფილმიც — ბონდის ხიდი და ბონდის ხიდზე ევგენი ლეონოვი პატარა ძაღლუკათი. ისიც გემახსოვრებათ, „ერზურუმს“ სწორედ იმ ძაღლუკას რომ ეძახდა გზააბნეული ჯარისკაცი.

ამიერიდან ერზურუმის მნიშვნელობა გაცილებით შთამბეჭდავი გახდება ჩვენთვის და ჩვენში. ვისაც ქართული ფეხბურთი და ქართული ფეხბურთელები აინტერესებს, იმათ გასაგონად ვიტყვით — თითქმის გადაწყვეტილია ყოფილი დინამოელის გიორგი კიკნაძის თურქულ „ერზურუმსფორში“ გადასვლა. ამაზე თავად ფეხბურთელმა გვამცნო და კონტრაქტს მხოლოდ ხელმოწერაღა აკლიაო — ესეც გაგვიმხილა.

დღეს ან ხვალ გიორგი კიკნაძე თურქეთს გაემგზავრება და იმედია, სულ კუკნა-ბუქნას ათამაშებს თურქ ფეხბურთელებს. ჩვენ კი ის დაგვრჩენია, ქართველ ლეგიონერთა უცხოური გუნდების ნუსხაში ერთი ახალიც შევიტანოთ — „ერზურუმსფორი“.

ასე რომ: ერზურუმ, ჩვენთან!

კონსტანტინე გოგიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი კიკნაძემ (№7) „დინამოს“ მაისურა თურქულზე გაცვალა

გალათასარაი ჩელსის მერე

ამას წინათ რიგის „სკონტოში“ მოთამაშე ქართველებზე გიამბობდით — ლევან სილაგაძემ, ზურაბ მენთეშაშვილმა და დათო ჩალაძემ იქნებ ახალი კლუბები მოძებნონო. ყველაზე რეალური აქედან ჩალაძისთვის თურქული „გალათასარაის“ ვარიანტია, რომელიც, ჩალაძის თქმით, საბოლოოდ 25 აგვისტოსთვის უნდა გარკვეულიყო.

...ჩვენც გუშინ დათო ჩალაძეს რიგაში დავუკავშირდით, თუმც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, სწორედ იმ დროს ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩის, „სკონტო“ — „ჩელსის“ დაწყებამდე 15 წუთი რომ რჩებოდა.

— ჯერ არაფერი ვიცი. „სკონტოს“ პრეზიდენტთან არ მისაუბრია. ახლა სტარკოვი თამაშის წინ უკანასკნელ მითითებას მოგვცემს. მატჩის შემდეგ ალბათ პრეზიდენტი „გალათასარაის“ შესახებ საბოლოო პასუხს მეტყვის.

რაღა მეთქმოდა, თამაში იწყებოდა. ეგ იყო, სკონტოელ ქართველებს მხოლოდ „ჩელსისთან“ ღირსეულად თამაშიღა ვუსურვე.

გიორგი ვაშაკიძე

პიკერის რჩევა ფინკეს

ლევან კობიაშვილი



ალექსანდრე იაშვილი



ლევან ცქიტიშვილი

გერმანულმა „ფრაიბურგმა“ ბუნდესლიგის 37-ე ჩემპიონატი რომ წარუმატებლად დაიწყო, თავადაც მოგეხსენებათ. პირველ ორ ტურში ლევან კობიაშვილის, ლევან ცქიტიშვილისა და ალექსანდრე იაშვილის კლუბმა ხუთი ქულა დაკარგა და აუტსაიდერთა შორისაც აღმოჩნდა. განსაკუთრებით დასანანი გასულ შაბათს ფრანკფურტის „აინტრახტთან“ საშინაო მარცხი გამოდგა. ეს შეხვედრა ფრაიბურგში, რეკონსტრუირებულ და გარემონტებულ „დრაიზამშტადიონზე“ გაიმართა. მას სარეკორდო რაოდენობის — 25 ათასი ქომაგი (რეკონსტრუქციამდე სტადიონი 22 500 კაცს იტევდა) დაესწრო და ფრიად გაწბილდა. „ფრაიბურგი“ 70-ე წუთამდე დამაჯერებლად იგებდა, თუმცა ბოლო ოც წუთში ყველაფერი აირია და მატჩი, რომელიც მსპინძლებს 2:0 მაინც უნდა მოეგოთ, 2:3 დასრულდა.

ჩვენებურთაგან, ისევე, როგორც პირველ ტურში დებიუტანტ „ულმთან“, კვლავაც მხოლოდ კობიაშვილმა ითამაშა. იაშვილისა და ცქიტიშვილის უთამაშებლობის მიზეზსაც შეგახსენებთ. ცქიტიშვილს გუნდის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე საკუთარი მოსაზრებების გამო არ ათამაშებს, ხოლო იაშვილმა ახლახან დაიწყო სრული დატვირთვით ვარჯიში და სასურველ ფორმამდე ჯერ ბევრი უკლია.

როგორც ჩანს, „აინტრახტთან“ მარცხის შემდეგ „ფრაიბურგში“ მცირე პანიკამ დაისადგურა. ამაზე მეტყველებს გუნდის მეკარის, რიხარდ გოლცის სიტყვებიც — ახლა მთავარია, ნერვებს არ ავყვეთ და სიმშვიდე შევინარჩუნოთ, ეს თუ შევძელით, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

ამასობაში კი გერმანულმა ჟურნალგაზეთებმა მწვრთნელის კრიტიკას მიჰყვეს ხელი.

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა და პრესტიჟულმა გამოცემა „კიკერმა“ ფინკეს ფეხბურთელთა ტაქტიკური განლაგება დაუწუნა. აი, რას წერს ერთ-ერთი კორესპონდენტი: „მინდა, ერთი კითხვა დავსვა. მაინტერესებს, რატომ ევალება შტეფან კორელს მინდვრის ცენტრში თამაში, იგი ხომ ლიბეროა და ამ პოზიციაზე უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს გუნდს. ალბათ, უმჯობესი იქნება, ნახევარდაცვის ცენტრში მირან პავლინის (ფინკეს თადარიგში ჰყავს) დაყენება, იგი იქ ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მართებული იქნება ცენტრში ლევან კობიაშვილის გადაყვანაც, ხოლო მის ადგილზე, მარცხენა ფლანგზე კი ლევან ცქიტიშვილის გამწესება“.

„კიკერი“ ფაქტობრივად აღიარებს, რომ სლოვენიელი მირან პავლინისა და ლევან ცქიტიშვილის სათადარიგოთა სკამზე დასმა მწვრთნელის შეცდომაა.

გაითვალისწინებს თუ არა ფინკე სხვის (ამ შემთხვევაში „კიკერის“) რჩევებს, ეს თავად მწვრთნელის საქმეა, თუმცა თამაშის შემდეგ მის მიერ გაკეთებული კომენტარით თუ ვიმსჯელებთ, „ფრაიბურგის“ ძირითადში ცვლილებები ნაკლებად მოსალოდნელია.

„მთლიანად გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მატჩის ბედი კი იმ სამმა უხეშმა შეცდომამ გადაწყვიტა, შეხვედრის ბოლოს რომ დავუშვით. ძალიან საწყენია, რომ თამაში ჩვენივე მიზეზით წავაგეთ“ — თქვა ფინკემ „აინტრახტთან“ მარცხის შემდეგ.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა კლუბის პრეზიდენტის სიტყვას ენიჭება ხოლმე. „ფრაიბურგის“ პრეზიდენტი ახიმ შტოკერი კი ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს.

ვანო ოძროპირიძე

არა რეკორდზე ფიქრით

ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას“ თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ ახლახან რუსეთის ჩემპიონატში კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. ქართველმა ფორვარდმა ზედიზედ შვიდ მატჩში შეძლო გოლის გატანა. სარეკორდო სერიას დემეტრაძემ 27 ივნისს, ელისტის „ურალანთან“ მატჩში ჩაუყარა საფუძველი და გასულ შაბათს, 21 აგვისტოს, რამენსკოეს „სატურნთან“ შეხვედრის 26-ე წუთზე დააგვირგვინა. ამ რეკორდს გიორგი დემეტრაძე ერთი ტურით ადრე დაამყარებდა, რუსეთის საფეხბურთო კავშირს „ალანია“ — „როტორის“ ვადაზე ადრე შემწყდარი მატჩის შედეგი და შესაბამისად გიორგის გოლიც რომ არ გაეუქმებინა.

— თამაშის წინ რეკორდზე სულაც არ ვფიქრობდი. მთავარი იყო, მატჩი მოგვეგო. საბედნიეროდ, ორივე ერთად შევძელით. ისე, ერთ რამეზე მაინც მწყდება გული, თავს უფრო ბედნიერად ვიგრძნობდი, დუბლი რომ შემესრულებინა, ამ შემთხვევაში რუსეთის ჩემპიონატში გამართულ 33 შეხვედრაში, ამდენივე გოლი მექნებოდა გატანილი, ახლა კი ჩემს ანგარიშზე 32-ია — აღნიშნა 22 წლის თავდამსხმელმა.

რუსეთის ჩემპიონატის ამჟამინდელმა ბომბარდირმა (18 მატჩში — 18 გოლი) „სატურნთან“ გატანილი გოლით 1994 წელს მოსკოვის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, იგორ სიმუტენკოვის მიერ დამყარებული რეკორდი დაამხო. სიმუტენკოვმა მაშინ ზედიზედ ექვს მატჩში შეძლო გოლის გატანა. სიმუტენკოვის შედეგი 1995 წელს ვოლგოგრადის „როტორის“ თავდამსხმელმა ოლეგ ჭერეტენნიკოვმაც გაიმეორა. დემეტრაძემ კი ორივეს გადაუსწრო და თან რეკორდის გაუმჯობესების შანსიც აქვს — მომავალ ტურში „ალანია“ სოჭის „უემჩუჟინას“ ესტუმრება.

შეგახსენებთ, ეს გიორგი დემეტრაძის მიერ რუსეთის ჩემპიონატში დამყარებული მეორე რეკორდია. პირველად რეკორდსმენის წოდება ქართველმა ფეხბურთელმა რამდენიმე კვირის წინ მიიღო, როცა წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული, ზედიზედ თორმეტი პენალტი გამოიყენა.

ვანო ოძროპირიძე

სამსუნსფორი — გალათასარაი. დავით დიღმელაშვილი (მარცხნივ) სტამბოლელ მეურვეს გაურბის

ორი დებიუტის მოლოდინში

დავით დიღმელაშვილის საფეხბურთო ბიოგრაფიას სულ რაღაც ორი სტრიქონი დაიტევს — 1980 წელს დაბადებული ფეხბურთელი, შვიდი წლის შემდეგ „ნორჩ დინამოელში“ მივიდა. იქიდან კი 1996 წელს თურქეთს მიაშურა და „სამსუნსფორის“ დუბლშემადგენლობაში ჩაირიცხა. თუმცა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრი სხვა რამითაც იპყრობს ყურადღებას — თამამად შეგიძლიათ, დიღმელაშვილი ორმაგი დებიუტანტობის კანდიდატად ჩათვალოთ. ყველაფერი მარტივადაა, დათოს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში არასდროს უთამაშია და სულ მალე მისი დებიუტი შედგება „ვიტ ჯორჯიას“ შემადგენლობაში. მეორე დებიუტის პერსპექტივა — კი ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის უფრო შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანია, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა დიღმელაშვილი ქვეყნის უპირველეს გუნდში მიიწვია. იქნებ იფიქროთ, კაცს ჯერ ჩვენს პირველობაზეც არ უთამაშია და ეროვნულ ნაკრებში გამოიძახესო, მაგრამ ეს არცთუ უსაფუძვლოდ მოხდა. თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი დაკარგა, ჰოდა ნაკრების ამთავითვე გაახალგაზრდავების პროცესი ბუნებრივი და დროულიცაა (დაგვიანებული თუ არაა). თანაც დიღმელაშვილი 18-წლამდელთა ნაკრების სული და გული იყო და ყოველთვის მაღალ შეფასებებს იმსახურებდა, გადამწყვეტი ფაქტორი კი მაინც იოჰან ბოსკამპის სურვილი აღმოჩნდა. ჰოლანდიელმა რამდენიმეჯერ ნახა საქმეში ახალგაზრდა ფეხბურთელი და, როგორც ჩანს, მისით მოიხიბლა. შედეგად დღეს დათო დიღმელაშვილი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული და მოუთმენლად ელის 30 აგვისტოს, დღეს, როცა ქვეყნის უპირველეს გუნდთან პირველ ვარჯიშს ჩაატარებს, მანამდე კი თავაზიანად და ალალად პასუხობს „სარბიელის“ კითხვებს.

— დავით, ბავშვთა ფეხბურთიდან პირდაპირ უცხოეთში ამოყავით თავი. როგორ მოხდა თქვენი „სამსუნსფორში“ გადასვლა?

— რატომღაც ძალიან მინდოდა, რომ უცხოეთში მეთამაშა. იმის პრეტენზია არ მქონია, რომ პირდაპირ უმაღლეს დონეზე მეასპარეზა. ვიცოდი, სასწავლ-დასახვეწი ჯერაც ბევრი მელოდა, „სამსუნსფორის“ საფეხბურთო სკოლა ხელმისაწვდომ და კარგ ვარიანტად მივიჩნიე, ცოტა მენეჯერიც წამეხმარა და...

— თუ არ ვცდები, „სამსუნსფორის“ ძირითად შემადგენლობაში არ გითამაშიათ.

— თურქეთში ორი წლის განმავლობაში ვთამაშობდი და ამ ხნის მანძილზე კლუბის დუბლშემადგენლობაში ვირიცხებოდი. ჩემი გუნდი იქაურ 21-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობდა. დაახლოებით იგივე გათამაშება იყო, როგორც ჩვენთან საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს — პირველი გუნდების ჩემპიონატის პარალელურად უმაღლეს ჯგუფელთა დუბლშემადგენლობების პირველობაც იმართებოდა. ისე, დაძაბულობა არც ჩვენს გათამაშებას აკლდა.

— შედეგები როგორი გქონდათ?

— ჩვენი გუნდისთვის არნახული. თქვენც კარგად იცით, თურქეთში ოთხი ძლიერი კლუბია. „გალათასარაის“, „ბეშიქთაშის“, „ფენერბახჩეს“ და „ტრაბზონსფორის“ ნებისმიერი რანგის გუნდები ერთი თავით მაღლა დგანან სხვებზე, მათთან ჭიდილი ერთობ რთულია. მიუხედავად ამისა, „სამსუნსფორში“ ჩემი გადასვლის პირველ წელს მესამე ადგილზე გავედით, თავი არც მომდევნო გათამაშებაში შეგვირცხვენია და იგივე შედეგი გავიმეორეთ.

— თქვენი ამპლუის ფეხბურთელს გოლების გატანა ნაკლებად მოეთხოვება, ამ მხრივ თუ გამოიჩინეთ თავი უცხოეთში?

— მწვრთნელები ყოველთვის ჩემს ადგილზე — ცენტრალურ ნახევარმცველად მთამაშებდნენ. ძირითადად მაინც უკანა ხაზის კონტროლით ვიყავი დაკავებული. გოლის გატანა კი სულ ოთხჯერ მოვახერხე. აქედან ორი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. გასულ წელს „ტრაბზონსფორი“ დავამარცხეთ გასვლით მატჩში მინიმალური ანგარიშით და ის ერთადერთი გოლი მე შევაგდე. მეორე შემთხვევაში კი „ბეშიქთაშს“ გავუტანე. მათთანაც გავიმარჯვეთ, ასე რომ, ლიდერებთან გარკვეულწილად მიმართლებდა.

— მიუხედავად ამისა, „სამსუნსფორის“ დატოვება გადაწყვიტეთ. მუდმივად ამ დონის გუნდში თამაში, რა თქმა უნდა, დიდი ვერაფერი პერსპექტივაა, მაგრამ თქვენი ასაკის გათვალისწინებით იქნებ ცოტა მოცდაც სჯობდა, სხვა თუ არაფერი, თავისი სურვილით უცხოეთიდან რომელი ქართველი ფეხბურთელი დაბრუნებულა ჩვენს ჩემპიონატში სათამაშოდ? იქნებ არც თქვენ წამოსულხართ თქვენი ნებით?

— არა, ნამდვილად მე გადავწყვიტე გუნდის დატოვება. თურქებს დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ კვლავ მათთან მეთამაშა. ამ მხრივ გარკვეულ წინააღმდეგობასაც წავაწყდი. მპირდებოდნენ, პირობებს გაგიუმჯობესებთ და პირველ გუნდშიც გადაგიყვანთო, მაგრამ მათ არ ვენდე და წამოვედი.

— თურქებმა რითი დაიმსახურეს თქვენი უნდობლობა, რამეში ხომ არ მოგატყუეს?

— არა, ორი წლის განმავლობაში დაპირებულს პატიოსნად მისრულებდნენ. უბრალოდ, იმიტომ არ ვენდე, რომ თუ ჩემი პირველ გუნდში გადაყვანა სურდათ, ამის გაკეთება აქამდეც შეეძლოთ. ორი წელი არც ისე მცირე დროა, რომ ჩემი შესაძლებლობები ვერ დაენახათ. ამიტომ გადაწყვეტილების მისაღებად დიდხანს არ მიფიქრია, საქართველოში დავბრუნდი და...

— „ვიტ ჯორჯიაში“ აღმოჩნდით. რატომ მაინცდამაინც ამ გუნდში?

— „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტი გურამ რუხაძე დამიკავშირდა და ჩვენ მალევე შევთანხმდით. ვიცი, რომ ამ კლუბს სერიოზული მიზნები და შესაძლებლობები გააჩნია. თანაც ახალგაზრდული გუნდია, ზუსტად ისეთი, მე რომ მჭირდება. ვიმედოვნებ, მეც გამოვადგები ახალ გუნდს.

— „ვიტ ჯორჯიაში“ რამდენ ხანს დარჩებით.

— კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

— შვედეთში, ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებისგან საწაულის მოხდენას ველოდით...

— ველოდით, ჩვენც, ფეხბურთელებიც, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენს მარცხში დიდი წვლილი გამოუცდელობას მიუძღვის. ამგვარ ტურნირებში თამაშს მიუჩვეველნი ვიყავით, თანაც მეტოქეებიც ისეთი შეგვხვდა...

— რომელ გუნდთან შეიძლებოდა შვედეთში გამარჯვება?

— ალბათ, ისევ ირლანდიელებთან. მათთან ფრედ ვითამაშეთ და ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან. რაც შეეხება იტალია-ესპანეთს, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, მათი დამარცხება ჩვენ არ შეგვეძლო ისევ და ისევ გამოუცდელობის გამო.

— რამდენიმე დღის წინ იოჰან ბოსკამპმა ეროვნულ ნაკრებში მიგიწვიათ, ვინ გაცნობათ ამის შესახებ?

— გურამ რუხაძემ, ჩემი კლუბის პრეზიდენტმა. წარმოგიდგენიათ, ეს ამბავი ბატონმა გურამმა ტელეფონით მითხრა. წვენს ვსვამდი და მოულოდნელობისგან ძლივს გადავურჩი დახრჩობას. ეს ჩემთვის დიდი სიხარულია. ძალიან ბედნიერი ვარ, თანაც ვიცი, რომ დიდი პატივი დამდეს და ვეცდები, მეც გავუმართლო.

— ეროვნულ ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ზოგს ადრე ეძლევა ამგვარი შანსი, ზოგსაც გვიან. რა გასაკვირია და იქნებ ბევრმა ნაადრევადაც ჩათვალოს დიღმელაშვილის ნაკრებში თამაში. თქვენ როგორ ფიქრობთ, ნაადრევი ხომ არ იყო ბოსკამპის გადაწყვეტილება?

— მესმის, რომ დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა, მაგრამ ვფიქრობ არ გამიჭირდება. ბოსკამპი აქამდეც მაკვირდებოდა ასე თუ ისე გარკვეულია ჩემს შესაძლებლობებში, სხვაგვარად არც გამომიძახებდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უახლოეს მატჩებში აუცილებლად ვითამაშებ და ეროვნულ ნაკრებშიც დავმკვიდრდები. ვიცი, საამისოდ დიდი შრომა მომიწევს და ამისთვის მზად ვარ.

პაატა კვანტალიანი

თენგიზ სიჭინავა

მჯერა, კარგად წაგვივა საქმე

თენგიზ სიჭინავა იმ ფეხბურთელთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, თავიანთ საქმეს უხმაუროდ, თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ ამავე დროს ერთგულად რომ აკეთებენ. ალალია, ასეთ ხალხს შრომა დაუფასდეს. აკი თენგიზსაც დაუფასდა — ჯერ იყო და იოჰან ბოსკამპმა თბილისის „დინამოში“ მიიწვია, ახლა კი, სასექტემბეროდ, ნაკრებშიც. მარადი ჩემპიონის რიგებში უკვე მოასწრო სიჭინავამ თავის გამოჩენა — ჩემპიონატის მატჩებშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო დინამოელთა შორის და „ზიმბრუსთან“ თბილისური შეხვედრაც რიგიანად ჩაატარა.

რაც შეეხება ნაკრებს, არავინ იცის, მისცემს თუ არა ჰოლანდიელი მწვრთნელი სლოვენიაში სიჭინავას თამაშის საშუალებას, მაგრამ ფაქტი, რომ თენგიზ სიჭინავა საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატია, ბევრს ნიშნავს.

ჩვენი საუბარიც ნაკრებით და მისი მწვრთნელით დაიწყო.

— თენგიზ, ბოსკამპმა, ვგონებ, ერთი ნახვით შეგიყვარა. მაინც როგორ თვლი, რა იყო ამის მიზეზი — ძლიერი თამაში თუ მართლა კარგ თვალზე შემოგხედა?

— ალბათ, ერთიც და მეორეც. ბოსკამპს მართლა არ უფიქრია დიდხანს — უმალვე „დინამოში“ ამიყვანა. ჩემი თამაში პირველად მაშინ იხილა, როცა თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს კლუბების ნაკრები შეეჯიბრა ერთმანეთს. ეტყობა, მართლა მოვეწონე, რახან არ დაახანა, სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. მერე ჰოლანდია — გერმანიაში შეკრების დროსაც არ მაკლებდა ქებას. ახლა კი ნაკრებშიც დამიძახა და ვნახოთ...

— ამ ბოლო დროს ბოსკამპზე იმდენი და იმდენჯერ ითქვა, შეიძლება ახალი ვერც ვერაფერი ვუთხრათ მკითხველს, მაგრამ ჩვენ ჩვენი ვცადოთ. რას იტყვი, მაინც ვინ არის იოჰან ბოსკამპი?

— უპირველესად იმას ვიტყვი, რომ მეტად მკაცრი მწვრთნელია. ჩვენი სიტუაციისთვის უჩვეულოდ მკაცრი. რაც შეეხება საქმეს და ფეხბურთს, იცის, ამას ვერ წაართმევ.

— მიუხედავად ამისა, „დინამომ“ ვერ იგუა ჰოლანდიელი...

— ჰო, ასე მოხდა. ის, რაც ბოსკამპისთვის ბუნებრივი იყო, ჩვენთვის უცნაური აღმოჩნდა. განსხვავება ძალიან ბევრ რამეში იგრძნობოდა, თუნდაც ელემენტარულ მენიუში — მარტო მოხარშულ კერძებს გვაჭმევდა. არის ბევრი სხვა ნიუანსიც, რომელიც ბოსკამპმა შემოიტანა გუნდში. ერთბაშად ამდენი რამის შეცვლა, მიუღებელი აღმოჩნდა და აი, ბოსკამპი დღესდღეობით „დინამოში“ აღარ არის.

— თბილისში გადმოსვლისთანავე ერთი მეორეს წაეწყო ფეხბურთელისთვის არასისიამოვნო ამბები. წაგებები ჩემპიონატში, ევროსარბიელზე — „ბათუმის“ ნოსტალგია ხომ არ დაგეუფლა?

— თუ ნოსტალიგიაა, უფრო სოხუმისა მაწუხებს. მოგეხსენებათ, მე სოხუმელი ვარ და მონატრებითაც იქაურობა უფრო ძლიერ და ხშირად მენატრება. „ბათუმს“ რაც შეეხება, მართალია, მშვენივრად ვგრძნობდი იქ თავს, მაგრამ თბილისის „დინამო“ სხვაა. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელი ფიქრობს „დინამოს“ სკოლაზე. მეც მინდოდა „დინამოში“ თამაში, ამიტომაც მიმიწვიეს თუ არა, თბილისში წამოსვლა გადავწყვიტე.

— თუ საიდუმლო არ არის, რამდენწლიანი კონტრაქტი გაქვს გაფორმებული „დინამოსთან“ და მისი დამთავრების შემდეგ თუ აპირებ სადმე წასვლას?

— „დინამოსთან“ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. სხვაგან წასვლაზე კი ჯერ არ ვფიქრობ. მე პირადი აგენტი ან რამე ამდაგვარი არა მყავს და მთლიანად გუნდის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, გამიშვებს სადმე, თუ არა.

— 25 აგვისტოს მთელი გუნდი ტაძარს სწვევიხართ, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ შენეული კომენტარიც შევაწიოთ სათქმელს...

— ჰო, ვიყავით ტაძარში. სანთლებიც დავანთეთ და მამა ზურაბის ლოცვა-კურთხევაც მივიღეთ. ყველაფერი ჩვეულებრივად, როგორც ეკლესიაშია მიღებული, ისე მოხდა. ამიერიდან ყოველივე ჩვენზე, დინამოელებზეა დამოკიდებული. მჯერა, კარგად წაგვივა საქმე.

— ზემოთ სოხუმი ვახსენეთ. თანაქალაქელებთან თუ გაქვს ურთიერთობა.

— რა თქმა უნდა. თბილისში ბევრი სოხუმელი ცხოვრობს. იქაური ფეხბურთელებით ხომ სავსეა ჩვენი ჩემპიონატი. დრომ და სიტუაციამ არ მისცა თავის დროზე „ცხუმს“ საშუალება, თორემ დარწმუნებული ვარ, იგი გაცილებით მეტის გაკეთებას შეძლებდა.

ეს იყო და ეს. „ზიმბრუ“ — „ბათუმ“ — „არსენალთან“ მატჩების ანალიზებით არ შემიწუხებია თენგიზ სიჭინავა. ამაზე ისეც საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩემთვის მთავარი იყო, საქართველოს ეროვნული ნაკრების დებიუტანტი წარმედგინა „სარბიელის“ მკითხველისთვის ისე და ისეთი, როგორიც ახლა არის.

დანარჩენისა კი ხვალემ იცოდეს. მალე 4 და 8 სექტემბერიც მოვა. „შინდისფერები“ სლოვენებს და ლატვიელებს შეეჯიბრებიან და ეგებ იოჰან ბოსკამპმა თენგიზ სიჭინავას ამ მატჩებში მონაწილეობის შანსიც მისცეს.

კონსტანტინე გოგიშვილი

ბადრი ჯეფლაძის ფოტო

თენგიზ სიჭინავას მორიგი დარტყმა „ზიმბრუს“ კარისკენ

საქართველო 9 დღით ადრე

რა გველის 4 და 8 სექტემბერს

ეროვნული ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმა ლიუბლიანაში თამაშამდე 11 დღით ადრე დაასახელა 21 კაცი, რომლებიც სლოვენიისა და ლატვიის ნაკრებებთან საქართველოს ღირსებას დაიცავენ. მათ შესარჩევად ჰოლანდიელმა თითქოს ერთობ სერიოზული სამუშაო ჩაატარა, პირადად დაესწრო „ფრაიბურგის", „ციურიხის", „ლიერსის", „ბრედასა" და „აიაქსის" ქართველთა თამაშს. ამის მიუხედავად, გადაუჭერებლად შეიძლება ითქვას, რომ ბოსკამპის გუნდის სასექტემბრო განწყობა და მომზადება სრულიად შეეფერება იმ მდგომარეობას, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა თავის ჯგუფში — უიმედო და უპერსპექტივო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსკამპს ქეცბაიასთან ერთად ამჯერად შოთაც ეყოლება

ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას სამი ძირითადი ფაქტორის ანალიზი გვაძლევს. ესენია: ნაკრების ფეხბურთელთა მდგომარეობა კლუბებში; ბოსკამპისადმი განწყობა „ზიმბრუსთან" მარცხის შემდეგ და ნაკრების მომზადების გეგმა (უფრო სწორად, გეგმის არარსებობა) საბერძნეთთან შეხვედრიდან დღემდე.

დავიწყოთ ფეხბურთელებით. ნაკრებში გამოძახებულთაგან მხოლოდ ერთზე შეიძლება ითქვას, რომ მისი დღევანდელი ფორმა იდეალურთან მიახლოებულია. ეს „ალანიას" ფორვარდი *გიორგი დემეტრაძეა*, რომელიც შეუფერხებლად განაგრძობს სუპერბომბარდირულ მარშს რუსეთის ჩემპიონატში. 18 მატჩში 18 გოლი — რუსეთის ჩემპიონატის დონის გათვალისწინებითაც კი უმაღლესი კატეგორიის შედეგია. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე „ალანია" დიდი ხანია, რუსეთის გრანდი აღარ არის და დემეს გოლების უმეტესობა მეორე-მესამე ხარისხოვანი გუნდების კარებშია გატანილი.

თანდათან უახლოვდება საუკეთესო ფორმას კიევის „დინამოელი" *კახი კალაძე*, რომელიც უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში ვალერი ლობანოვსკიმ ლიბეროდ გაამწესა. ჩვენებურმა გაამართლა ლობანოვსკის წინა ორი ექსპერიმენტის დროს მარცხენა მცველისა და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, თუმცა კალაძეს გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე „ოლბორგთან" შეხვედრისას გვიჩვენა.

კარგ ფორმაში მყოფი ეთქმის „ალანიას" დაცვის ქართულ დუეტს — *მამუკა წერეთელსა* და *დავით ჭიჭვეიშვილს*. თუმცა პრობლემები მათთან დაკავშირებითაც არსებობს. წერეთელი ორი გაფრთხილების გამო ლიუბლიანაში ვერ ითამაშებს (თან ბოლო მატჩში დაშავდა), ჭიჭვეიშვილმა კი მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა „ალანიაში". მართალია, მან კარგად დაგვამახსოვრა თავი „ზიმბრუსთან" შეხვედრებშიც, მაგრამ, ერთი თამაშიდან გამომდინარე, ძნელია იმის თქმა, რომ ჭიჭვეიშვილი კვლავაც სტაბილურად იასპარეზებს. თანაც კვლავ გავიმეორებთ, რომ ორივე ფეხბურთელი ისევ და ისევ მეტად საშუალო დონის „ალანიაში" თამაშობს.

ნაკრებში საკმაოზე მეტი მოთამაშეა გამოძახებული, რომლებმაც ამ დროისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები ფორმა დაიბრუნეს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ფსიქოლოგიურად აშკარად დათრგუნულნი არიან.

უპირველესად ეს ნაკრების უდავო ლიდერ *თემურ ქეცბაიაზე* ითქმის. თემური ერთ-ერთი საუკეთესოა „ნიუკასლში", თუმცა კლუბისთვის კატასტროფული სტარტი (3 მარცხი, 1 ფრე) ქართველს ერთთავად ჩრდილში აქცევს. „ნიუკასლის" თამაშების შემხედვარეს გრჩება შთაბეჭდილება, რომ გუნდში ყველა ცალ-ცალკე თამაშობს — გულიტით დაწყებული, შირერით დასრულებული. ეს კი არაჯანსაღი და ნევროზული სიტუაციის არსებობას ადასტურებს. ქეცბას დღევანდელი ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან ცუდად უნდა შეფასდეს, რაც, ცხადია, ნაკრებსაც დაეტყობა.

ასეთივე დღეშია *გოჩა ჯამარაული*. ნაკრების შეუცვლელი გამთამაშებელი (ქინქლაძის კრიზისის პერიოდში) თითქმის ყველა მატჩში საუკეთესოა „ციურიხის" შემადგენლობაში, რომელიც განუწყვეტლივ აგებს. ანუ ჯამარა საუკეთესოა დღეისთვის შვეიცარიის უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთ ყველაზე ცუდ გუნდში. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე „ციურიხს" ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევდნენ.

ცუდმა სტარტმა და კლუბში შექმნილმა ვითარებამ ნაკრებში მიწვეულ „ფრაიბურგის" ქართულ დუეტსაც გაუფუჭა განწყობა. *ლევან კობიაშვილმა* პირველ ტურში მატჩის მოსაგები პენალტი ააცილა, მეორე ტურში კი გუნდმა ორგოლიანი უპირატესობა 20 წუთში ქარს გაატანა და საკუთარ განახლებულ სტადიონზე დამარცხდა. რაც შეეხება *ლევან ცქიტიშვილს*, მას ფინკე შემადგენლობაში საერთოდ არ აყენებს და მიზეზსაც არ ასახელებს.

გივი დიდავაზე, „ზიმბრუსთან" წაგების მერე „დინამოში" შექმნილი კრიზისის გარდა, აუცილებლად იმოქმედებს თბილისელთა ახალი მწვრთნელის, კორღალიძის გადაწყვეტილება. ჰოლანდია — გერმანიის შეკრებაზე დიდავა ბოსკამპის ერთ-ერთ ფავორიტად იქცა (მისი თამაშიდან გამომდინარე, სამართლიანადაც) და ჰოლანდიელმა კაპიტნის სამკლაური ალექსიძის ნაცვლად მას უბოძა. მოვიდა კორღალიძე და პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ კაპიტნობა ისევ ალექსიძეს დაუბრუნა. ბუნებრივია, კორღალიძეს ამ გადაწყვეტილების მიღებისას, საკუთარი არგუმენტებიც ექნებოდა, მაგრამ ყოველივე დიდავაზე გავლენას რომ იქონიებს, ცხადია.

ნაკრებში ხუთი ისეთი ფეხბურთელია გამოძახებული, რომლებიც სათამაშო პრაქტიკის აშკარა ნაკლებობას განიცდიან: დონეცკის „შახტარის" ქართველი ფორვარდი *მიხეილ ფოცხვერია* მოულოდნელად მიიწვიეს ახლა, როცა კლუბის ძირითადში ვერ ხვდება.

იტალიის სერია B-დან „რეჯანას" გავარდნის შემდეგ უკლუბოდაა *გიორგი ნემსაძე*, რომელმაც ამასთან ოპერაციაც გაიკეთა. ნემსაძე მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. თუმცა, წერეთელის მსგავსად, ორი ყვითელის გამო სლოვენიელებთან ვერც ის ითამაშებს.

„ლიერსში" წინასასეზონო მზადებისას გუცაევის ნაკრების დროინდელი მცველი *გელა შეყილაძე* კლუბის თავკაცის, მეუვსის ერთ-ერთი ფავორიტი იყო, თუმცა, რაც ჩემპიონატი დაიწყო, ძირითადში ვეღარ ხვდება და მინდორზე მხოლოდ 15-20 წუთს ატარებს. ბოლო ტურში „ანდერლეხტთან" (0:3) კი საერთოდ არ გამოჩენილა.

სათამაშო პრაქტიკა ნაკრების ორ დებიუტანტსაც აკლია. 18 წლის ვიტჯორჯიელ *დავით დიღმელაშვილიც* კლუბში ჯერ ვერ თამაშობს, თუმცა მას 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა უმაგრებს ზურგს. დინამოელი *თენგიზ სიჭინავა* კი სკამზე კორღალიძემ დასვა.

სასურველ ფორმაში ჯერჯერობით ვერც ნაკრებში დაბრუნებული *შოთა არველაძეა*, რომლის მდგომარეობაც „აიაქსში", კლუბის კარგი სტარტის მიუხედავად, საკმაოდ არამყარია. შოთამ ხელახლა უნდა გაუძლოს მძიმე ტრავმასა და კონკურენციას. მას ყველაფრის თავიდან დაწყება უწევს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ არველაძეს რეზერვი აქვს.

ძალიან ძნელია *არჩილ არველაძეზე* რაიმეს თქმა — იქიდან გამომდინარე თუ რა დატვირთვებს და სათამაშო ოსტატობას მოითხოვს ჰოლანდიის მეორე დივიზიონი. აშკარა კრიზისშია დინამოელი *მიხეილ აშვეთია*, რაზეც მის მიერ „ზიმბრუსთან", „ბათუმთან" და „არსენალთან" გამოუყენებელი საგოლე მომენტები მეტყველებს. იგივე ითქმის, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით, *მიხეილ ყველაშვილზე*. საერთოდ გაუგებარია, რატომ გაცვალა მან „გრასჰოპერი" „ციურიხზე". ამან ისე ამოაგდო ფორმიდან, რომ მინდორზე 60 წუთსაც ველარ ძლებს.

არ ვიცი, რამდენად შემთხვევითია გორელთა ფრე ქუთაისში, მაგრამ იმაში, რომ „დილამ" ნახევარ საათში ორბურთიანი სხვაობა გაუქვითა მასპინძლებს, „ტორპედოს" დაცვისა და მეკარის „ღვაწლი" ნამდვილად არის. *ბადრი აბვლედიანისა* და *გრიგოლ ჭანტურიას* მზადყოფნას სანაკრებო, ალბათ, არ ეთქმის. ეს უკანასკნელი კი, სრულიად აშკარაა, ნაკრებში ან სხვათა ინიციატივით მოხვდა, ანაც ბოსკამპმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა სკანდალში გაეხვია ჭანტურია „დილასთან" მატჩის შემდეგ. ეს რომ შეეტყო, საეჭვოა, გამოცდილი მეკარე მაინც მიეწვია ეროვნულ გუნდში.

საერთოდ, ნაკრების მეკარეები ცალკე თემაა. ჭანტურიასა და ძირითად გოლკიპერად კრილიასოვეტოველი *დავით გვარამაძის* მოწვევით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბოსკამპი დაიღალა მეკარეების სელექციით და საშუალოზე დაბალი დონის ქართული სამეკარეო სკოლის წარმომადგენლებიდან „შედარებით უკეთესები" ამოარჩია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, ძირითადში დამკვიდრების მიუხედავად, სტაბილური თამაშით „კრილიაში" ვერც გვარამაძე დაიკვეხნის.

ერთი სიტყვით, სლოვენიასთან შეხვედრამდე 9 დღით ადრე ბოსკამპის განკარგულებაშია 21 კაცი, რომელთაგანაც ორი (აშვეთია, ყველაშვილი) აშკარა კრიზისშია, ხუთი (შ. არველაძე, ა. არველაძე, აბვლედიანი, ჭანტურია, გვარამაძე) ჯერ ფორმაში არაა, კიდევ ხუთი (ქეცბაია, ჯამარაული, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, დიდავა) ფსიქოლოგიურად გატეხილია და ერთ ხუთეულსაც (ფოცხვერია, ნემსაძე, შეყილაძე, დიღმელაშვილი, სიჭინავა) სათამაშო პრაქტიკა აკლია. ამას დაუმატეთ წერეთელი, რომელიც დისკვალიფიცირებულია და ბოსკამპს რჩება სამად სამი ფეხბურთელი (დემეტრაძე, კალაძე, ჭიჭვეიშვილი), რომლებსაც უპრობლემოდ შეუძლიათ, 90 წუთის განმავლობაში დაიბარჯონ მინდორზე.

აღსანიშნავია, რომ ნაკრებში მისვლის დღიდან ბოსკამპს უმთავრესად ამგვარად მომზადებულ ფეხბურთელთაგან უწევდა ეროვნული გუნდის ძირითადი ბირთვის შერჩევა. ჰოლანდიელს დამსახურება არ უნდა დაუკარგოთ — გაიხსენეთ, წინა ორ მატჩში (ნორვეგიასა და საბერძნეთთან) სწორედ ამ კონტინგენტმა აჩვენა მეტ-ნაკლებად საინტერესო ფეხბურთი. თუმცა მას შემდეგ სამი თვე გავიდა, „დინამომ" სამარცხვინოდ წააგო „ზიმბრუსთან" და ფედერაციაც სრულიად შეიცვალა ჰოლანდიელის მიმართ. მარცხის მთავარ მიზეზად სწორედ ბოსკამპი დასახელეს. მეტიც, ფედერაციიდან გამოვიდა საკმაოდ საფუძვლიანი ხმები იმის თაობაზე, რომ ჰოლანდიელი ნაკრებთან მხოლოდ შესარჩევი ციკლის ბოლომდე იმუშავებს, რაც ჟორდანიას გუნდის კიდევ ერთი დიდი შეცდომაა. ის, რომ დღეს ბოსკამპის მდგომარეობა ნაკრებში ძალიან არამყარია, მეტწილად სწორედ ფედერაციის დამსახურებაა, რომელსაც შეუძლია, ერთი კლუბის ინტერესები ნაკრების ინტერესებზე მაღლა დააყენოს. ბოსკამპი, ფაქტობრივად, აიძულეს, ინერციით გაეგრძელებინა ნაკრებთან მუშაობა.

მესამე ფაქტორი ნაკრების მომზადების გეგმას შეეხება. „ზიმბრუსთან" წაგებისა და „დინამოდან" ბოსკამპის წასვლის შემდეგ არავის გახსენებია, რომ ნაკრებს 4 დღის ინტერვალში 2 სერიოზული შეხვედრა ელის. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის, რომ 5 ივნისიდან მოყოლებული ფედერაციას ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარებაც კი არ უცდია. იმ არგუმენტის მოშველიება, ჯგუფიდან გასვლის შანსი დავკარგეთო, იმაზე მიუთითებს, რომ ფედერაციას ფეხბურთის განვითარების სამომავლო სტრატეგია არ გააჩნია. თითქმის უშანსო, ბერძნებმა — ლატვიასთან მარცხის შემდეგ 2 ამხანაგურის გამართვა მოასწრეს.

სიმონ მენაბდე

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, მისი ყველა მეტოქე ჯგუფში სადღეისოდ სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

ძალიან კარგად გამოიყურება ჩვენი პირველი მოწინააღმდეგე *სლოვენიის ნაკრები*. კატანეცის გუნდმა 5 ივნისის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი — 6 წაართვა ალბანეთის ნაკრებს, ჯერ ტირანაში მოუგო 1:0, აგვისტოს შუაგულში კი ლიუბლიანაში სძლია 2:0. ორივე შეხვედრამ აჩვენა, რომ იდეალურ ფორმაშია სლოვენიელთა ლიდერი ზაჰოვიჩი, რომელმაც საერთო ჯამში ალბანელებს ორი გოლი გაუტანა. ამ პერიოდში ზაჰოვიჩმა კლუბის გამოცვლაც მოასწრო — „პორტუდან" პირეოსის „ოლიმპიაკოსში" გადავიდა.

კარგ ფორმას და საბრძოლო განწყობას ინარჩუნებს ჯგუფის ლიდერი *ნორვეგიის ნაკრებიც*, რომელმაც ერთი ამხანაგური ითამაშა ოსლოში ლიტვასთან და 1:0 გაიმარჯვა. ნაკრების ძირითადი ბირთვი უკვე მზადაა — პრემიერლიგა დაიწყო. ასევე მშვენივრად იასპარეზეს იქაურმა კლუბებმა ევროთასებზე.

ნორვეგიას 4 სექტემბერს სერიოზული მატჩი ელის *საბერძნეთის ნაკრებთან*, რომელიც ბედს არ ურიგდება და სერიოზულად ემზადება. ბერძნებმა შინ ზედიზედ ორი ამხანაგური გეხვედრა გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს. ჯერ ძალიან სერიოზული მეტოქე, მექსიკა დაამარცხეს — 3:2, მერე 3:1 სძლიეს სალვადორის ნაკრებს. პლეი ოფში მოსახვედრი შანსის შესანარჩუნებლად ბერძნები ოსლოში მოგებას გეგმავენ.

ათენში გამარჯვების შემდეგ ამხანაგური მატჩი არ ჩაუტარებია *ლატვიის ნაკრებს*, საიდანაც წავიდა მთავარი მწვრთნელი რეზო ძოძუაშვილი. ამის მიუხედავად, ლატვიელებიც კარგ ფორმაში ხვდებიან სექტემბრის ბატალიებს. განსაკუთრებით გამოსაყოფია საუთჰემპტონელი მარიან პახარსის მშვენიერი სტარტი პრემიერლიგაში (4 თამაშში 2 გოლი) და დონეცკის შახტარელი შტოლცერსის თამაში. გამოსარჩევია ლატვიის გუნდების, განსაკუთრებით „სკონტოს" თამაში ჩემპიონთა ლიგაში. ლატვიელებს მხოლოდ ერთი საფიქრალიღა აქვთ — როგორ შეეგუება სკონტოელი სტარკოვი ნაკრებს.

რაც შეეხება ჩვენსავით უშანსოდ დარჩენილ *ალბანელებს*, ძნელი წარმოსადგენია, როგორ ახერხებს ასეთ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა ნაკრების შენარჩუნებასაც კი. მათ მზადყოფნაზე საუბარი არც ღირს.

სიმონ მენაბდე

ნორვეგია	7	5	1	1	14:8	16
სლოვენია	7	4	2	1	10:6	14
ლატვია	7	3	2	2	7:5	11
საბერძნეთი	7	2	3	2	8:7	9
საქართველო	7	1	1	5	4:12	4
ალბანეთი	7	0	3	4	3:8	3

დარჩენილი თამაშები

4 სექტემბერი: ალბანეთი — ლატვია, ნორვეგია — საბერძნეთი, სლოვენია — საქართველო; 8 სექტემბერი: ნორვეგია — სლოვენია, საქართველო — ლატვია, საბერძნეთი — ალბანეთი; 9 ოქტომბერი — სლოვენია — საბერძნეთი, ლატვია — ნორვეგია, ალბანეთი — საქართველო

მარიან პახარსი

ზლატკო ზაჰოვიჩი

მორჩა!... რუსთავში მინდა!

ასე, ალბათ, მოედანზე მიღებული არც ერთი ტრავმისგან არ გაწვალებულა და არც ფეხბურთის თამაშით დაღლილა. მას ყველა გუნდისთვის თავდადებულ მოთამაშედ იცნობს. მისგან წუწუნი და ჩივილი არავის ახსოვს. მისთვის ყველაზე მომქანცველი და აუტანელი უფეხბურთოდ, უკლუბოდ ყოფნაა. არადა, წლებს თავისი მიაქვს... ამ ფაქტორს რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელისთვის, თავადაც კარგად უწყის. იქნებ დროის უკან დაბრუნებასაც ნატრობს, სიჭაბუკის წლებს იხსენებს და დანანებით, კეთილი შურით შეჰყურებს 15-16 წლის ბიჭების ბურთაობას... იქნებ სწორედ მათ ასაკს შენატრის, მხოლოდ ასაკს და დროს რადგან ღმერთისგან ბოძებული ნიჭი აკნიდან დაჰყვა.

ალბათ, მაშინაც ასე ფიქრობდა. „გორდა“ — „ტორპედოს“ (1:7) შემოდგომის მატჩის შემდეგ დაახლოებით ნახევარი საათი გაუნძრევლად იჯდა სათადარიგოთა სკამზე და მოედნის ერთ წერტილს უცქერდა. შიგადაშიგ თვალს შეავლებდა „ფოლადზე“ სავარჯიშოდ შემოცვენილ ნორჩებს — „გორდას“ მომავალს. იმ „გორდას“, რომლის ერთგულებაც ბოლომდე შეძლო. იჯდა იგი საყვარელი კლუბის გულდამწვარი ჭირისუფალივით და არავინ იფიქროს, იმ 5 ათას დოლარზე სწყდებოდა გული, რომელიც კრასნოდარის „ყუბანს“ თავისი ჯიბიდან გადაუხადა „გორდაში“ განთხოვრებისთვის...

რუსთაველი ფეხბურთი ვერასდროს დაივიწყებს ძმებ ვარლამ და გიორგი კილასონიებს. ამჯერად ვარლამზე მოგახსენებთ — „გორდასთვის“ ყველაზე ვალმოხდილ ფეხბურთელზე.

...მერე თბილისის „ლოკომოტივში“ დაუძახეს. თემურ მახარაძეს არ ესწავლებოდა, ვისთვის ჩაებარებინა გუნდის ხერხემალი — ნახევარდაცვის ხაზი. მოწოდებით ლიდერს არც ახალ კლუბში გასჭირვებია დამკვიდრება, მაგრამ... მავანმა გარჯა არ დაუფასა. უარესიც — თასის გათამაშების ნახევარფინალში მისი ძმის გუნდთან, წყალტუბოს „სამგურალთან“ დამარცხებაში მასზე გადატეხეს ჯოხი. ყოველივე ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში თვალნათლივ აისახა. კილასონია უეცრად გაქრა „ლოკომოტივის“ შემადგენლობიდან...

გიორგისთან ერთად საფრანგეთის მეოთხე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბთან სცადა ბედის დაკავშირება, მაგრამ ივრძნო, ეს ტრანსფერი მისი ქართული ფეხბურთიდან საბოლოოდ გაუჩინარების, გადაკარგვის ტოლფასი იქნებოდა. მუდამ ყურადღების ცენტრში მყოფს ამგვარი რამ გაუჭირდებოდა. ისევ საქართველოში ყოფნა არჩია და სხვა წინადადებებს დაელოდა. ჩვენში ცოტანი არიან დამოუკიდებლად მოაზროვნე მწვრთნელები. სურვილი კი ჰქონდათ ვარლამის საკუთარ გუნდში ხილვისა, მაგრამ უჭირდათ კლუბის პრეზიდენტებისთვის კილასონიას კანდიდატურა შეეთავაზებინათ, მის ასაკზე უფრო ამახვილებდნენ ყურადღებას, ვიდრე გამოცდილებაზე... აი, ასეთი მწვრთნელები ჭარბობენ ჩვენში...

პირველმა ბოლნისის „სიონმა“ აიმაღლა ხმა. არშემდგარ აუქციონზე თქვა ის, რასაც ფიქრობდა — „სიონი“ კარს უღებსო კილასონიას. იქნებ სხვები კულუარებში დარჩნენ, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ სადაც არ უნდა იყოს კილასონია, ასაკის მიუხედავად, მუდამ ბოლომდე იხარჯება მინდორზე და როცა ამას არ უფასებენ, ტრაგედიად აღიქვამს.

...და როცა ასეთ კაცს „ლოკომოტივიდან“ განთავისუფლების ფურცელის მიღებაზე პრობლემები შეექმნა, კარგად მიხვდებით, რა დღეშიც ჩავარდებოდა. სიმშვიდე მაინც შეინარჩუნა. ფეხბურთში გაწონასწორებულად მობურთალი, ცხოვრებაშიც ისეთივეა და არ უყვარს ზურგს უკან ბრძოლა და ლაპარაკი.

გუშინ ფედერაციაში შემხვდა. ჩვეული, მშვიდი იერი გადაჰკრავდა. მორჩა, როგორც იქნა ყველაფერი გაირკვა. დღეიდან სამი თვით „გორდაში“ ვითამაშებ. კი იყო „სიონის“ ვარიანტიც, მაგრამ ჩემი გვარის კაცს საქართველოში, ალბათ, რუსთავის გარდა სხვაგან გაუჭირდებაო — მითხრა.

ფეხბურთის თამაშს არ გულისხმობდა. დარწმუნებული ვარ, სულიერ დისკომფორტზე მეუბნებოდა. იქვე „გორდას“ თავკაცი იასონ ალადაშვილი იდგა. კმაყოფილი იყო რუსთაველთა მწვრთნელი და არც მალავდა ამას. ისევ ვარლამ კილასონია, აბა, სხვა ვინ წამოუშველება შეჭირვებულ რუსთავურ კლუბს.

ნოემბრის მერე კი არ ვიცი, სად წავალ და რა გზას დავადგებიო, ამბობდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, მომავალზე ნაკლებად ფიქრობდა. უფეხბურთოდ დაღლილს დასვენება მონატრებია, ფეხბურთის თამაშით დასვენება. მომძახა კიდეც — კვირას „ფოლადზე“ ხობელებთან თამაში გვაქვსო. ჰოდა, გუშინაც მხოლოდ იმ დღეზე ფიქრობდა. მისი ცხოვრება თამაშია, ფეხბურთის თამაში.

ხვიჩა სანიკიძე

ვარლამ კილასონია კვლავ „გორდასთვის“ გაიტანს

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნუგზარ ნიკოლეიშვილი

ბურაბ დოლიძეიანის ფოტო

ნუგზარ ნავაძე

ბურაბ დოლიძეიანის ფოტო

არეულობა სამტრედიაში

რკინიგზამ, ფეხბურთი არ გვინდაო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ XI ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე სამტრედიის „იბერიას“ და თბილისის „მერანს“ კალენდარული თამაშების შინ გამართვა აუკრძალა. ამ გუნდების სტადიონები წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. „მერანის“ სარბიელს მხოლოდ გაფრთხილება აკმარეს, სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძე“ კი საერთოდ უვარგისად ცნეს

ჩემპიონატის ორი ტური ჩატარდა. სამტრედიელებმაც სასჯელი პირნათლად მოიხადეს. პირველივე ტურში „მერანს“ თბილისში, ეროვნულზე უმასპინძლეს. ავჭალელებს კი ჯერ არ ჰქონიათ გუნდების მიღების პატივი. 30 აგვისტომდე დროც საკმარისი იყო.

ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები „იბერიასაც“ და „მერანსაც“ შინ უწევთ, მაგრამ სად...

ამ დღეებში ფედერაციიდან საგანგებო კომისია უნდა წასულიყო სამტრედიაში და „სინათლეზე“. კიდევ ერთხელ უნდა შეემოწმებინათ „იბერიასა“ და „მერანის“ სტადიონების ვარგისიანობა, მაგრამ ეს ჯერ არ თუ ვერ მოხერხდა, თუმც ცნობილი გახდა, რომ „მერანი“ მესამე ტურის მატჩს აუცილებლად შინ ჩაატარებს, აი, „იბერიასი“ კი რა გითხრათ.

გუშინ ამის თაობაზე ორივე კლუბის პრეზიდენტს, ნუგზარ ნავაძეს (მერანი) და ნუგზარ ნიკოლეიშვილს (იბერია) ვესაუბრეთ. ტრანსპორტელთა პრეზიდენტმა სიხარულით გვამცნო, შინ ვითამაშებთო, სამტრედიელი კლუბის თავკაცი კი ნაღვლიანი და აღშფოთებული იყო.

...ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. გზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სამტრედიაში კი ურემი მართლა გადაბრუნდა. ერთ დროს ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდის ქალაქი უფეხბურთოდ რჩება. თუ გახსოვთ, ნუგზარ ნიკოლეიშვილის კომენტარი „სარბიელში“ ამას წინათ შემოგთავაზეთ, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მას მერე „ეროსი მანჯგალაძის“ მესვეურთ სტადიონისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. როგორც ჩანს, არც აინტერესებთ:

— ვერ მივხვდი, რა ხდება. ძალიან დიდი გაუგებრობაა. თქვენ კი არა, ჩვენ ვერ გავიგეთ, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა. ასე გაგრძელება ნამდვილად შეუძლებელია — გვითხრა ნუგზარ ნიკოლეიშვილმა — მეუბნებიან თანხა გადაიხადეთ და გავაკეთებთო, მაგრამ გაკეთდება? კი, ბატონო, გადავიხდი, რაც საჭიროა, მაგრამ არა მგონია, ამით რამე ეშველოს.

— რამდენადაც ვიცით, სტადიონი ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია...

— არაა ასე, სტადიონი რკინიგზას ეკუთვნის. „იბერია“ რომ ქულებს კარგავს, ზუსტად მათი დამსახურებაა. აბა, გვეთამაშა „მერანთან“ სამტრედიაში, მაშინ სულ სხვა იქნებოდა, საკუთარი ქომაგის თვალწინ თამაშს რა ჯობია...

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— საქმე ისაა, რომ ვერც გამოსავალს ვპოულობთ. აგერ ახლა დღედღეზე ფედერაციიდან კომისია უნდა ჩამოვიდეს და რა პასუხს გავცემთ, არ ვიცი. ფაქტი კი ისაა, სამტრედიის სტადიონი სავალალო მდგომარეობაშია.

— ესე იგი გამოდის, რომ 29 აგვისტოს „ტორპედოს“ ვერ უმასპინძლებთ...

— სამწუხაროდ, ასეა. ქუთაისელებს სავარაუდოდ წყალტუბოში ან ფოთში შევხვდებით. ეეჰ, კარგი იყო შინაურ კედლებში გვეთამაშა, მაგრამ...

სამტრედიელებისგან განსხვავებით, „მერანმა“ ყოველივე უმტკივნეულოდ მოაგვარა. ტრანსპორტელთა პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძეს მობილურ ტელეფონზე დავუკავშირდით:

— ახლა თბილისში არ ვიმყოფები, მაგრამ გეტყვით, რომ ის პრეტენზიები, რაც ფედერაციამ ჩვენს სტადიონს წაუყენა, აღმოფხვრილია. ეგაა, ამ დღეებში სტადიონზე ახალი სკამები უნდა დაემონტაჟებინათ. სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა. მინდორიც ჩინებულ მდგომარეობაშია, გასახდელები და საშხაპეებიც მოწესრიგებულია.

— გამოდის 30 აგვისტოს მატჩს თსუ-სთან შინ ითამაშებთ...

— ღმერთმა დაგვიფაროს და თუ კიდევ რაიმე სასწაული არ მოხდა, ასე იქნება. მინდა, განვაცხადო — რომ არა გუნდის გენერალური სპონსორი, „თბილტრანსი“ და მისი გენერალური დირექტორი ბატონი რეზო გრიგოლია, ვინ იცის, იქნებ ვერც მოგვეგვარებინა ყოველივე. მათ უდიდესი ღვაწლი მიუძღვით.

— ფედერაციიდან კომისია იმყოფებოდა „სინათლეზე“?

— ჯერ არა, მაგრამ რომ მობრძანდებიან, დარწმუნებული ვართ, ავჭალიდან კმაყოფილნი წავლენ.

ასეა. საკუთარ მინდორზე თამაში ბევრს ნიშნავს. ხომ გაგიგიათ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახებო. ასე დაემართა „მერანს“. აი, სამტრედიაში კი...

გიორგი ვაშაკიძე

ბოლნისელები გააფრთხილეს

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ბოლნისში ადგილობრივმა „სიონმა“ პირველი ლიგის დებიუტანტ „თბილისს“ უმასპინძლა. მატჩი ყოველგვარი ექსესების გარეშე ჩატარდა და ფრედ 2:2 მორჩა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი... ამონაწერი 17 აგვისტოს „სარბიელიდან“: „ბოლოს კი ცუდი რამ მოხდა. მსაჯთა ოთახისკენ მიმავალ სფფ-ის დელეგატ გია ძამუკაშვილს გზად მავანი გულშემატკივარი (თვითმხილველთა თქმით, იგი ბოლნისელი არ ყოფილა) დაუხვდა და ფიზიკურად გაუსწორდა. იმ დღეს ძამუკაშვილს „გასასწორებელი“ ნამდვილად არაფერი სჭირდა. მავანმა კი სხვაგვარად განსაჯა. ამგვარი რამ ეროვნულ ჩემპიონატს არ ეკადრება და ისიც ცუდია, მატჩის მომსახურე პირველივე ტურში რომ გაილახა“.

სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი კი სწორედ იმიტომ არსებობს, რომ გათამაშებაში მომხდარ ცუდ ფაქტებზე იმსჯელოს, დამნაშავე გამოავლინოს და, შესაბამისად, დასაჯოს. თუმცა ეს კომიტეტი სახელმწიფოს ძალოვანი სტრუქტურების შემადგენელი რგოლი არ გახლავთ და მის წევრთა კომპეტენციაში სულაც არ შედის კრიმინალური კატეგორიის შემთხვევათა გამოძიება. „თემურ სტეფანიაზე“ ძამუკაშვილის ფიზიკური შეურაცხყოფის დროს სწორედ კრიმინალურ დანაშაულთან გვაქვს საქმე, მაგრამ ვინაიდან ფაქტი სტადიონზე დაფიქსირდა, გარკვეული პასუხისმგებლობა მის მესვეურებსაც ეკისრებათ. ისინი ვალდებულნი არიან, სამართალდამცავების დახმარებით საფეხბურთო მატჩზე მივლინებული ოფიციალური თუ კერძო პირის უსაფრთხოება უზრუნველყონ.

გუშინ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის, ომარ გოგიაშვილის კაბინეტში სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბა და სწორედ „თემურ სტეფანიაზე“ მომხდარის შესახებ იმსჯელა. სხდომას „სიონის“ ხელმძღვანელები და ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე დესწრნენ. ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია რომ მოისმინეს, მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგი გაიმართა. მოწვეულ სტუმართაგან თავის მართლების მცდელობაც კი არ ყოფილა და არც სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილ სასჯელზე გამოუთქვამთ პრეტენზია. „თემურ სტეფანიას“ წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია დეკისროს — ასეთი იყო საფეხბურთო სამართალდამცავთა საბოლოო განაჩენი.

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ტურში გორში „დილა“ — თსუ-ს მატჩის 74-ე წუთზე სტუმართა რიგებში მოთამაშე ადამია გრიგოლ გვაზავამ შეცვალა. ამ მომენტისთვის ანგარიში 1:1 იყო და ბუნებრივია, დროის გაყვანა სტუდენტთა წისქვილზე ასხამდა წყალს. ამიტომაც ადამია აუჩქარებლად გაემართა სარბენი ბილიკისკენ. ამან კი მავანი გორელი გულშემატკივარი ძალიან ააღელვა, ტრიბუნაზე მოკალათებულმა უცენზურო სიტყვებით მიმართა ფეხბურთელს და მოედანი სასწრაფოდ დატოვეო, უბრძანა. გასახდელისკენ მიმავალმა ადამიამ არამკითხე მოამბეს ხურდა დაუბრუნა. ამ საქციელის გამო გუშინდელ სადისციპლინო სხდომაზე იმსჯელეს და ფეხბურთელს ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია დააკისრეს. თუმცა, როგორც გაირკვა, მან უკვე მოიხადა სასჯელი. ადამიას მეორე ტურის მატჩის გამოტოვება მოუხდა უბრალო მიზეზით — მისი, როგორც მოთამაშის, ბარათი გორის შეხვედრაში წარგზავნილ სფფ-ის დელეგატს, შოთა ხინჩაგაშვილს „დილა“ — თსუ-ს ოქმთან ერთად წამოუღია. ასე რომ, სადისციპლინო კომიტეტმა ფაქტობრივად სასჯელმოხდილი ადამიას შესახებ მიღებული ინფორმაცია ცნობად მიიღო და იურიდიულად დააფიქსირა.

ხვიჩა სანიკიძე

საშუალო კლასიკა

ინგლისი

V ტური

მიდლსბრო 0:3 ლესტერი

0:1 ჰესკი (35), 0:2 კოტი (38), 0:3 ჰესკი (83)

მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ფესტა, ვიკერსი, პალისტერი, ციგე, მასტო, ინსი, ონილი (მედისონი 3; კემპბელი 45), რიკარდი, დინი

ლესტერი: ფლაუერსი (არპექსადი 9), სინკლერი, ელიოტი, ტაგარტი, იმპი, სევიჯი, ლენონი, იზეტი, გაპი, ჰესკი, კოტი (მარშალი 75)

გაფრთხილება: მედისონი, პალისტერი, ჰესკი, გაპი, იზეტი

მსაჯი: პარისი

უოტფორდი 0:1 ასტონ ვილა

0:1 დელანი (68)

უოტფორდი: დეი, ლიტლი, ვილიამსი, პეიჯი, რობინსონი, ჰაიდი (ბონოტი 77), პალმერი, ისტონი (ფოლი 77), კენედი, ნგონგე (გუდმუნსონი 77), მუნი

ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, კალდერვუდი, დელანი, ტეილორი, ჰენდრი, მერსონი (ბოტენგი 80), რაიტი, ჯოაკიმი, დაბლინი

გაფრთხილება: ვილიამსი, ბოტენგი

მსაჯი: ბენეტი

REUTERS უოტფორდიდან

უოტფორდი — ასტონ ვილა 0:1. „ვილას“ მორიგი შეტევა ლი ჰენდრი (მარცხნივ) მასპინძელთა კარისკენ გზავნის ბურთს

მაშ, აბა რას იზამ, როცა მოედანზე ვერ გამოგყავს პოლ გექსოინი და მრავალნაცადი კაპიტანი ენდი ტაუნსენდი? ამის მიუხედავად, მიდლსბროში იმედით ელოდნენ თავიანთი გუნდის „ლესტერთან“ შეხვედრას. მოიგებდა რივერსაიდის გუნდი და თავის ისტორიაში პირველად, თუნდაც ერთი დღით, ჩაუდგებოდა სათავეში პრემიერლიგის ცხრილს.

მაგრამ „ბოროს“ პრობლემები ჰქონდა: ნახევარდაცვასა და დაცვაში რამდენიმე სათადარიგო ეყენა და კაპიტნის სამკლაურით დამშვენებულ პოლ ინსის იმედზელა იყო. „ლესტერი“ კი სწორედ ის გუნდია, კლასიკურ საშუალოს რომ დავარქმევთ. ინგლისში კი თუკი ვინმეა საშიში, სწორედ კლასიკური საშუალო. „ლესტერისდარი“ კლუბები გამორჩევით სდევნიან ბოლოხანს წამოქაჩულ, ინვესტიციით მოძლიერებულ გუნდებს. ასეთია „მიდლსბრო“ და სტუმრებმაც გააცამტვერეს ბრაიან რობსონის აღმავალი გუნდი. მასპინძელთა ფანობის ეიფორია პირველი ტაიმის მიწურულს ჩაქრა, როცა ემილ ჰესკიმ და ტონი კოტიმ თავურებით გაიტანეს თითო გოლი.

„ბორო“ მთელი თამაში არ გაჩერებულა და აქეთ-იქიდან ცდილობდა გამოენგრია სტუმართა გვარიანად უხეში დაცვა. მაყურებელი კი მეტ სიმკაცრეს მოითხოვდა მსაჯ რობ პარისისგან. თანაც „ლესტერს“ კარში დუბლიორი, პეგი არპექსადი ეყენა, რახან ძირითადი მეკარე ტიმ ფლაუერსი უკვე მეცხრე წუთზე დაშავდა რობი მასტოსთან შეჯახებისას. ამილტონ რიკარდმა ძალიან სახიფათო ჯარიმა ვერ შეასრულა, ჰესკიმ კი, ბოლო წუთების ნამდვილმა ხიფათმა, წერტილი დასვა და საშუალო კლასიკოსებს მშრალი, სამბურთიანი ანგარიშით მოაგებინა.

„ბორო“ ლიდერი ვერ შეიქნა, სამაგიეროდ ცოტა ხნით მაინც მეორე ადგილზე აცოცდა „ასტონ ვილა“. მენეჯერმა ჯონ გრეგორიმ უნაგირი ბიბისთვის განწყო - უოტფორდს „ეკერეჯ როუდზე“ გასული ბირმინგემის გუნდი. მასპინძელთა ნაცად თავდაცვითმა ტეილორს კი, საშუალო კლასიკის ჯიუტ იდეოლოგს, ნამდვილად ფრეზე დაეწერა პირველი. სტუმართა დიონ დაბლინი და ჯულიან ჯოაკიმი ზედიზედ და მოუღლელად ემუქრებოდნენ უოტფორდელთა კარს, ამათ შორის საუკეთესო კი მიშელ ნგონგე იყო. „ვილას“ გოლმა გვარიანად დააგვიანა. იგი კარდიფიდან სამასიათასად ნაყიდმა მარკ დელანიმ გაიტანა 68-ე წუთზე. ხუთ წუთში დაბლინს ნაღდი შანსი წაუხდა, „უოტფორდმა“ კი მთელი ძალებით შეუტია. ტეილორმა სამმაგი შეცვლა მოახდინა 77-ე წუთზე. მაგრამ უცნაური რა არის, იცით? რაც დევიდ ჯეიმსმა „ლივერპული“ მიატოვა და „ვილას“ კარში ჩადგა, ბრწყინვალე მეკარედ ყალიბდება.

მანჩესტერი	4	3	1	0	9:2	10
ასტონ ვილა	5	3	1	1	7:3	10
ტოტენჰემი	4	3	0	1	8:5	9
მიდლსბრო	5	3	0	2	7:7	9
ჩელსი	3	2	1	0	7:2	7
ლესტერი	5	2	1	2	8:6	7
ვესტ ჰემი	3	2	1	0	5:3	7
ლიდსი	5	2	1	2	6:5	7
არსენალი	4	2	1	1	5:4	7
ლივერპული	4	2	0	2	4:4	6
უოტფორდი	5	2	0	3	4:6	6
საუთჰემპტონი	4	2	0	2	6:9	6
უიმბლდონი	4	1	2	1	9:9	5
ქოვენთრი	4	1	1	2	3:3	4
ბრედფორდი	3	1	1	1	2:2	4
ეგერტონი	4	1	1	2	7:8	4
სანდერლენდი	4	1	1	2	3:6	4
ნიუკასლი	4	0	1	3	6:11	1
დერბი ქაუნთი	4	0	1	3	2:7	1
შეფილდ უენსდი	4	0	1	3	3:9	1

გოლი პირველი, გოლი უკანასკნელი

კლარენს ზეედორფმა გაიტანა გოლი, რომელიც მისთვის მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში, ალბათ, უკანასკნელი იქნება.

სტივ მაკმანამანმა „სამეფო გუნდის“ შემადგენლობაში პირველად შეაგდო.

ესპანეთის ვიცე-ჩემპიონმა იტალიის ჩემპიონს, „მილანს“, ამხანაგურ შეხვედრაში 4:2 მოუგო.

ზეედორფმა, რომელიც მადრიდელთა უელსელ მწვრთნელს, ჯონ ტოშაკს გულზე არ ეხატება და იძულებულია „სანტიაგო ბერნაბეუ“ დატოვოს, კარი 28-ე წუთზე გაიჯახუნა, მას მერე, რაც რაულის დარტყმული დაფარეს და ასხლეტილი ბურთი იხელთა.

მაგრამ ეს გოლი მატჩში პირველი არ გახლდათ. 16 წუთით ადრე მილანელმა ივან გატუსომ დიდებულად გახსნა ანგარიში. ანდრეი შევჩენკოს დარტყმულს იგივე ბედი ეწია, რაც რაულისას, ხოლო ასხლეტილი ბურთი ამ შემთხვევაში გატუსომ იგდო ხელთ.

„რეალი“ 72-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ბრაზილიელმა, სავიომ დაწინაურა.

ეს მას მერე მოხდა, რაც რობერტო კარლოსის დარტყმული საჯარიმო სტუმართა მეკარემ, სებასტიანო როსიმ ხელში ვერ შეიმაგრა.

შემდეგ კი „ლივერპულის“ ყოფილი გარემარბის, სტივ მაკმანამანის ჯერი დადგა. მოთამაშემ, რომელიც საყოველთაო შეფასებით სეზონისწინა საკონტროლო შეხვედრებში თავი დიდად ვერ გამოიჩინა, მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე, ფერნანდო მორიენტესისა და მიჩელ სალგადოს ნატიფი მოქმედების დასასრულ, ახლო მანძილიდან მესამე გოლი გაუტანა „შავ-წითლებს“.

მაკმანამანმა მადრიდელთა მეოთხე გოლსაც შეაშველა ხელი. იგი ოსტატურად გაუმკლავდა მარცხენა ფრთიდან მიღებულ გრძელ პასს და ბურთი მორიენტეს გადააწოდა. მორიენტესმა, თავის მხრივ, ივან ელგერას არ დაუყოვნა გადაცემა, ხოლო ენგერამ გოლი შეაგდო.

არ შეიძლება არ ითქვას ყბადაღებულ ნიკოლა ანელკაზე, რომელშიც „რეალმა“ ლონდონის „არსენალს“ 35,7 მილიონი დოლარი გადაუხადა. ანელკამ პირველ ტაიმში ორჯერ დაამტკიცა, რომ მომენტის და სივრცის შეგრძნების საუცხოო ალღოთია დაჯილდოვებული, მაგრამ ორივეჯერ, მას მერე, რაც მილანელთა დაცვას დაუსხლტა, ბურთი მიზანს ააცილა.

მეორე ტაიმში აშკარად გამოჩნდა, რომ იტალიის ჩემპიონი, რომელსაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, დაიღალა.

ანგარიშში სხვაობა სტუმრებმა ბოლო წუთზე შეამცირეს. გოლი ორლანდინიმ შეაგდო, მაგრამ ჯილდო, რომელიც ამ შეხვედრის გამარჯვებულისთვის იყო დანიშნული და „რეალის“ ყოფილი პრეზიდენტის სანტიაგო ბერნაბეუს საპატივცემულოდ გახლდათ მოგონილი, „სამეფო კლუბმა“ მოიგო.

REUTERS მადრიდიდან

კლარენს ზეედორფი

პაველ ნედვედი

ისეთ დღეს დავაყრით...

პარასკევს, ევროპის სუპერთასზე, ჩემპიონთა თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და თასების თასის მფლობელი „ლაციო“ შეხვდებიან ერთმანეთს. ვერავინ იტყვის ვინ გაიმარჯვებს (სხვაა იმის თქმა, ვინ გინდა გაიმარჯვოს), გარდა ერთი კაცისა. ჩვენ მაინც დავიტოვოთ იმ ერთი კაცის ნათქვამის შემოწმების უფლება, მაგრამ მის რწმენას, მოდით, მაინც პატივისცემით მოვეკიდოთ.

საუბარია „ლაციოს“ ჩეხ ნახევარმცველზე, პაველ ნედვედზე, რომელიც ამბობს: „მართალია „მანჩესტერ იუნაიტედი“ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთაგანია, მაგრამ თუ ჩვენებურად ვითამაშეთ, იმ მატჩს, როგორც ორთაბრძოლას აზრი დაეკარგება. დარწმუნებული გახლავართ, რომ სუპერთასს მოვიგებთ. „იუნაიტედმა“ თავის პირველობაზე ოთხი ტური ითამაშა, ჩვენ კი სეზონი ჯერ არ დაგვიწყია, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტოქე ფიზიკურად უკეთ იქნება მომზადებული, მაგრამ ეს პრობლემა არ არის. „ლაციოს“ ისეთი შემადგენლობის გაყვანა შეუძლია, რომლის მაგვარი სხვას არავის ჰყავს“.

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ლაციოს“ შეხვედრა მონაკოში გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 4 სექტემბერი. შვედეთი — ბულგარეთი

შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა იმ 20 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, ვინც 4 სექტემბერს ბულგარეთის წინააღმდეგ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ითამაშებს.

მეკარეები: მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მაგნუს კილსტედტი (ბრანი, ნორვეგია); მცველები: პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), პონტუს კამარკი (აიკ), ტედი ლუჩიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), როლანდ ნილსონი (ჰელსინგბორგი), გარი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი); ნახევარმცველები: ნიკლას ანდერსონი (შეფილდი, ინგლისი), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), ფრედრიკ ლიუნდბერგი (არსენალი, ინგლისი), ჰაკან მილდი (ვიოტებორგი), იოჰან მიალბი (სელტიკი, შოტლანდია), იურგენ პეტერსონი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), მაგნუს სვენსონი (ვიკინგი, ნორვეგია), შტეფან შვარცი (სანდერლენდი, ინგლისი), პერ ბეტერბერგი (ანდელეხტი, ბელგია); თავდამსხმელები: კენეტ ანდერსონი (ლაციო, იტალია), ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია), იესველ ოსმანოვსკი (ბარი,იტალია)

იტალიელები, ფრანგები, ინგლისელები...

ინტერტოტოს თასი. ფინალი. II წრე

24 აგვისტო

INTERTOTO CUP

მეცი (საფრანგეთი) 1:3 *ვესტ ჰემი (ინგლისი)* (1:0)

0:1 სინკლერი (23), 0:2 ლამპარდი (42), 1:2 იესტროვიჩი (69), 1:3 ვანჩოპე (80)

ჰამბურგი (გერმანია) 1:1 (0:33) *მონპელიე (საფრანგეთი)* (1:1)

1:0 იებოა (22), 1:1 სორლინი (70)

რენი (საფრანგეთი) 2:2 *იუვენტუსი (იტალია)* (0:2)

1:0 დიუფი (20), 1:1 კონტე (29), 1:2 ძამბროტა (72), 2:2 ნონდა (90)

„იუვენტუსი“, „მონპელიე“ და „ვესტ ჰემი“ ინტერტოტოს თასის ფინალებში გამარჯვების შემდეგ უეფას თასის პირველ ეტაპზე გავიდნენ.

„მონპელიემ“ „ჰამბურგს“ პენალტებით მოუგო, მისმა თანამემამულემ, საფრანგეთის მეორე კლუბმა „რენმა“ კი „იუვენტუსთან“ 2:2 მოახერხა — ჯამში 2:4 წააგო — ხოლო მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, „მეცმა“ „ვესტ ჰემთან“ შინ 1:3 იწვნია და მიუხედავად იმისა, რომ ლონდონში 1:0 მოგებული ჰქონდა, ბუნებრივია, უეფას თასის გათამაშებას გამოეთხოვა.

რენში, მატჩის დამთავრების შემდეგ, ტურინელ ფეხბურთელებს სახეზე კმაყოფილებაც ეტყობოდათ, მაგრამ იმავდროულად, არც რეალიზმის გრძნობა ჰქონდათ დაკარგული.

ზინედინ ზიდანი: „ჩვენ ჩვეულებრივი სირთულეები გვქონდა, ისეთი, ძლიერი გუნდების წინააღმდეგ თამაშის დროს რომ გვაქვს ხოლმე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შემდეგ ეტაპზე გავედით. მოკლედ, მოახლოებული სეზონის წინ „იუვენტუსმა“ გამაფრთხილებელი სიგნალი მისცა და მზადაა მნიშვნელოვან შეჯიბრებებს შეეჭიდოს. პირადად მე თავს კარგად ვგრძნობ. მართალია, ცოტა სისწრაფე მაქვს დაკარგული, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ძველებურად ავთამაშდები“.

ტურინელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღიარა, რომ მისმა გუნდმა „რენთან“ თამაშის დროს გვარიანად იწვალა: „მეტოქის სწრაფმა, შემტევმა ტაქტიკამ სამი თავდამსხმელის გამოყენებით, სირთულეები შეგვიქმნა. ჩვენ თავდადება დავუპირისპირეთ და ამით ვძლიეთ მოწინააღმდეგეს. უკმაყოფილო ვარ შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით რომ არ დამთავრდა, თუმცა მიზანს მივაღწიეთ, ინტერტოტოს თასზე გამარჯვება უეფას თასზე ასპარეზობის უფლებას ნიშნავს და გარდა ამისა, ამ მატჩებმა იტალიის ჩემპიონატისთვის მომზადების კარგი შესაძლებლობაც მოგვცეს“.

მერე ანჩელოტის დიდი ხნის ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებული ალესანდრო დელ პიეროს შესახებ ჰკითხეს. „დელ პიეროზე რა გითხრათ. მან ისე ვერ გაიბრწყინა, როგორც ბოლო რამდენიმე შეხვედრაში, მაგრამ სარგებელი მოგვიტანა: მისმა თამაშმა მისცა ძამბროტას გოლის გატანის შესაძლებლობა“ — უპასუხა მან.

„რენის“ თავკაცმა პოლ ლე გუენმა კი ლაკონურად განაცხადა: „ჩემმა გუნდმა რაც შეეძლო, გააკეთა“. „ჰამბურგმა“ და „მონპელიემ“ 1:1 ითამაშეს, ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, და ამიტომაც პენალტებზე მიუდგათ საქმე. თერთმეტმეტრიანებში ფრანგებმა იყოჩაღეს — 4:1.

თავიდან, 22-ე წუთზე, ჰამბურგელები დაწინაურდნენ. გოლი ტონი იებოამ გაიტანა, მერე კი, თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე, ოლივერ სორლინმა გაქვითა ანგარიში. მატჩის მიწურულს გოლის გატანის ხელრიანი შესაძლებლობები ორივე მხარემ გაუშვა ხელიდან, მაგრამ საქმე პენალტებზე რომ მიდგა, მასპინძლებს რაღაც საბედისწერო შეეყარათ — პირველი, მეორე და მესამე დარტყმები უშედეგო გამოუვიდათ.

მეცში კი გამარჯვების წყურვილით ანთებულ ლონდონელებს მასპინძლებმა კაპიტულაციის გარდა ვერაფერი დაუპირისპირეს. ტრევორ სინკლერისა და ჩინებულ ფორმაში მყოფი ფრენკ ლამპარდის გოლებმა „ვესტ ჰემი“ სრულიად დამსახურებულად დააწინაურა.

ჩამორჩენილმა ფრანგებმა ყველა ღონე იხმარეს მდგომარეობის გამოსასწორებლად: ფრედერიკ მიურეის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა და მეცელთა იმედი გააღვივა, ხოლო იუგოსლავიელმა ნენად იესტროვიჩმა მიზანს მიაღწია, რითაც კიდევ უფრო დააიმედა გულშემატკივარი, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე პაოლო ვანჩოპემ სტუმართა მესამე გოლი შეაგდო და წერტილიც დასვა.

აღსანიშნავია, რომ „ვესტ ჰემს“ აქამდე უეფას თასზე არასდროს უთამაშია, ხოლო ზოგადად ევროპულ შეჯიბრებაში 1964-65 წლებში გამოჩნდა და იმავე წელს თასთა თასიც მოიპოვა. 1981-ში კი თბილისის „დინამომ“ ამავე თასის მეოთხედფინალში დაამარცხა.

მეცში გამართული შეხვედრის დროს მცირე ინციდენტიც მოხდა: ლონდონელმა ფანებმა გამყოფი ღობის ჩამოქცევა სცადეს, მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ საქმეს თავი გაართვა.

რაც შეეხება უშუალოდ უეფას თასის შესარჩევ ორ შეხვედრას სამშაბათს რომ გაიმართა, მათზე ლაპარაკი ყოველმხრივ უინტერესო უნდა იყოს, რადგან უკრაინულმა „კრივბასმა“ აზერბაიჯანულ „შამქირს“, ხოლო ბულგარულმა ცსკა-მ ჩრდილო ირლანდიურ „პორტდაუნს“ უპრობლემოდ სძლია.

ჰამბურგი — მონპელიე 1:1. ჰამბურგელმა კრისტოფ ბარაცმა ფრანგი დიდიე ტიმოთი (მარჯვნივ) სხვაგვარად ვერ შეაჩერა

მიხეილ სურგულაძე

ბრაზილიური ელდორადო

პელე — ფეხბურთის ყოფილი მეფე, ახლა კი რეფორმატორი

ბრაზილიაში საფეხბურთო ინდუსტრიის განვითარება სულ უფრო ემსგავსება ევროპულს. შარშან პელეს გეგმის დამტკიცებამ დიდი იმპულსი მისცა საფეხბურთო მეურნეობის ძირეულ ცვლილებებს. პელე ჯერ კიდევ ქვეყნის სპორტის მინისტრობისას ცდილობდა, მისი გამოგონებული კანონები დაემტკიცებინათ. ახლა, გეგმის თანახმად, ბრაზილიურმა ფეხბურთმა ლეგალური კომერციული ბერკეტები მიიღო, არადა, ამ ქვეყნის საფეხბურთო კანონმდებლობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოუწესრიგებელი გახლდათ.

ახლა კლუბები, რომლებიც შეზღუდული პასუხისმგებლობის ფირმებად გადაიქცნენ, ინვესტორებს ეძებენ. აქედან ისინი დივიდენდებს მიიღებენ, ადრე კი ფული მხოლოდ მოთამაშეების გაყიდვიდან შესდიოდათ. არადა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი კლუბების უმეტესობა დღეს ვალებშია ჩაფლული, ახალი ინვესტორების მოძებნა მათთვის რთული არ უნდა იყოს.

ფეხბურთიდან ყოველწლიური შემოსავალი ბრაზილიაში დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარია. სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ პელეს კანონის ამოქმედების შემდეგ ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. კომპანია „ოქტაგონის“ პრეზიდენტი ფრანკ კრეილი, რომელიც ბრაზილიურ ბანკებთან ერთად კლუბების ინვესტირებას ეწევა, ამბობს, რომ კომპანია უკვე მრავალი წელია, ქვეყნის საფეხბურთო მეურნეობას აკვირდება და ორგანიზებული ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური არასტაბილურობის გამო თანაშრომლობაზე ბევრჯერ უარი უთქვამს: „ახლა, პელეს კანონის შემოღებისა და შედარებით სტაბილურობის პირობებში, ხვალინდელი დღის პერსპექტიულობაში დარწმუნებულნი ვართ“— განაცხადა კრეილმა.

ბრაზილიურ ბაზარს ისეთმა მძლავრმა კომპანიებმაც მიაქციეს ყურადღება, როგორებიც IMG, ENIC და ISL არიან. საქმის ასეთმა ვითარებამ შესაძლებელი გახადა, ერთმა კომპანიამ ერთდროულად რამდენიმე კლუბი იყიდოს. ამან, ცხადია, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, თუმცა მსგავსი შემთხვევა ევროპისათვის უკვე კარგად ნაცნობია. უეფასა და ENIC-ს დღესაც კი დავა აქვთ სასამართლოში.

არის იმის საშიშროება, რომ ინვესტიციების მოზღვავება კიდევ უფრო გაზრდის უფსკრულს მდიდარ და ღარიბ კლუბებს შორის. ამაში, რა თქმა უნდა, სიმართლის მარცვალიც არის. უცხოური კომპანიები ფულის ჩადებას ძირითადად CLUBE DOS 13-ში აპირებენ. საუბარია იმ 13 წამყვან კლუბზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ 120 მილიონი გულშემატკივრიდან მათ მხარს 70 პროცენტი უჭერს. თუმცა, პროვინციული გუნდების უმეტესობა ადგილობრივი ფირმებისგან თუ საწარმოებისგან იღებს ინვესტიციებს და ეს თანხები ზოგჯერ იმასაც კი უტოლდება, რაც ძლიერ კლუბებს გააჩნიათ.

OPPORTUNITY BANK-ის წარმომადგენელი ლუის დემარკო, რომელმაც კლუბ „დეპორტივო ბაიაში“ 13 მილიონი დოლარი ჩადო, ამბობს, რომ 2013 წლისთვის ბრაზილიის საფეხბურთო ბიზნესში შემოსავლები ოცდაათჯერ გაიზრდება.

და კიდევ ერთი მსგავსება ევროპასთან. გეხსომებათ, შარშან უეფამ და წამყვანმა კლუბებმა უარი თქვეს კომპანია MEDIA PARTNERS-ის წინადადებაზე, შეექმნათ ევროპის სუპერლიგა. ახლა კომპანიამ პელეს მარკეტინგულ კომპანიასთან ბრაზილიის სუპერლიგის შექმნის თაობაზე შეთანხმებას მოაწერა ხელი.

ზოგიერთი საერთაშორისო კომპანიისთვის პელეს კანონი მხოლოდ პირველი ნაბიჯია ბრაზილიურ ფეხბურთში ფულის ჩასადებად. შემდეგი სვლა ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა იქნება, რომელიც შესაძლებელს გახდის, მატჩების ტელეტრანსლაციები იყიდონ. მოსალოდნელია, რომ ცვლილებას წლეულსვე შეიტანენ. ამრიგად, ინვესტორები თავიანთი კლუბების მატჩების ტელეგადაცემების ჩვენების ყიდვის უფლებას მოითხოვენ, ისე, როგორც ამას CANAL+, პსჟს და MEDIAEST — „მილანის“ მფლობელები აკეთებენ.

უკვე დღეს ამერიკული საინვესტიციო ფირმა HICK MUSE (რომელმაც „კორინთიანსი“ იყიდა) ახალი კანონის მეშვეობით დივიდენდებს იღებს. ფირმას ერთ-ერთი საკაბელო ტელეარხის აქციების წილი ეკუთვნის.

სუპერლიგის შექმნის ცნობამ მნიშვნელოვნად გაზარდა ტრანსლაციების ფასი როგორც ბრაზილიაში, ასევე საზღვარგარეთ. ამიტომ, გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, საგანგებო კანონიც კი მიიღეს, რომელიც სატელევიზიო უფლებების გაყიდვის საკითხებს მოაწესრიგებს. ლონდონის ახალმა კომპანიამ MEDIA KONTENT უფლება მოიპოვა ევროპაში ბრაზილიიდან გადაცემები მოაწყოს. კონტრაქტის თანხა გასაიდუმლოებულია. კომპანიის მესვეურები ფიქრობენ, რომ როცა ბრაზილიის ჩემპიონატის სტრუქტურა დალაგდება, იქაური პირველობის მატჩებს მთელს მსოფლიოში დიდი სიამოვნებით უყურებენ და მერე ჩვენების უფლებას ისინი სხვადასხვა ტელეგადაცემებზე გაყიდიან, ინგლისის ჩათვლით.

ამ საქმეებში ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია პასიური მეთვალყურის როლში გამოდის, თუმცა ასეთივე მდგომარეობაში იყო ინგლისის ასოციაციაც, როცა პრემიერლიგა იქმნებოდა.

ჯერჯერობით უცნობია, მიაღწევენ თუ არა ბრაზილიური კლუბები ერთიან შეთანხმებას, თუმცა, ახალ, კომერციულ საფუძველზე შემდგარნი, ალბათ, კარგად დაფიქრდებიან და საკუთარ გამდიდრებაზე უარს არ იტყვიან.

ოლივერ ბატლერი
„უორლდ სოკერი“

ერევანში სუპერთანამედროვე სტადიონს აშენებენ

სულ რაღაც ერთი წელიწადია, რაც სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი, ქვეყნის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი სურენ აბრამიანი გახდა და უკვე ამ მოკლე დროში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარა. ამ რეფორმებმა ჩაკარდნილ სომხურ ფეხბურთს ახალი სული შთაბერა.

პროგრესი სახეზეა — კლუბებმა და ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ერთი წლის მანძილზე საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ამაღლდა ქვეყნის ჩემპიონატის დონეც, რამაც თავისთავად ინტრიგაც გაზარდა. და ეს მაშინ, როცა ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელები კვლავაც საზღვარგარეთ მიდიან. ბოლო დროს ნაკრების ორი წევრი რუსეთში წავიდა სათამაშოდ — არტურ ვოსკანიანი „ურალანში“ გადაბარგდა, ხოლო ვარდან ხაჩატრიანი „სატურნში“.

ფეხბურთის ფედერაციამ მთავარი ძალები კლუბების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად მიმართა. სომხური გუნდების უმრავლესობას ხომ ნორმალური საწვრთნელი ბაზები და მინდვრები არ გააჩნიათ. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ გუნდზეც, თუმცა, სულ მოკლე ხანში მის განკარგულებაში ერევნის „არარატის“ ყოფილი ბაზა გადავა, სადაც ახლა გამალებული რემონტია.

დიდი ყურადღება მიექცა ბავშვთა ფეხბურთსაც. ერევნის ცნობილი სკოლა „არარატისა“ და სსრკ-ის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ ხორენ ოგანესიანმა ჩაიბარა. არსებული თანხებით კი საზღვარგარეთიდან ძვირფასი ინვენტარი და უმაღლესი ხარისხის ბალახის თესლები შემოიტანეს. მთელი დატვირთვით მუშაობს გიუმრის საფეხბურთო ინტერნატიც. ყოველივე ამან უკვე ნაყოფიც გამოიღო, შარშან დაარსებულმა სომხეთის 16-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. მეტოქეებს — ინგლისსა და კვიპროსს — დიდი ბრძოლები გაუმართა.

სომხებმა რომ მოუმატეს, ეს წლევანდელ ზაფხულს თბილისში „ერევნის“ სტუმრობამაც დაამტკიცა

მაგრამ მთავარი, რასაც ახლა სურენ აბრამიანი აკეთებს, ერევნის რესპუბლიკური სტადიონის რეკონსტრუქციაა. ძველი არენის ადგილზე მალე სუპერთანამედროვე 18-ათასიანი (ადრე 27 ათასს იტევდა) შენობა გაიხსნება, შესანიშნავი მინდვრითა და განვითარებული ინფრასტრუქტურით. სტადიონი ევროპული დონისა იქნება და ყველა დღევანდელ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. მუშაობა ალბათ სექტემბრის დასაწყისისთვის დამთავრდება და 8 სექტემბერს, კონტინენტის პირველობის შესარჩევ მატჩში, სომხები მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს სწორედ იქ დაუხვდებიან და, როგორც თავად ფიქრობენ, ღირსეულადაც. ევრო 2000-ის შესარჩევმა ციკლმა დაამტკიცა, რომ სომხებს დღეს ისეთი ნაკრები ჰყავთ, რომელთანაც ნებისმიერ მეტოქეს გაუჭირდება. არგუმენტად თუნდაც უკრაინელებთან ნათამაშევ ფრეს მოვიყვანთ, როცა რებროვ-შევჩენკოს სუპერწყვილმა სომხებს ვერაფერი დააკლო. სხვათა შორის, ფედერაციის პრეზიდენტის სამომავლო გეგმებში ქვეყნის მთავარი საფეხბურთო არენის — „რაზდანის“ რეკონსტრუქციაც შედის.

ეროვნულ ჩემპიონატში კი ახალი საინტერესო გუნდი, დებიუტანტი „ზვარტნოცი“ გამოჩნდა. პირველი წრის მიწურულს „ზვარტნოცმა“ ნამდვილი სენსაცია მოახდინა, როცა მოულოდნელად ჩემპიონ „ცემენტს“ მოუგო. ივნისში კი ზვარტნოცელებს პირველი დივიზიონის გუნდებს შორის საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდათ. დებიუტანტის აღზევებას ახალი მთავარი მწვრთნელის, წარსულში „არარატის“ ცნობილი ფეხბურთელის პოღოს გალუსტიანის სახელს უკავშირებენ, რომელიც სეზონის დასაწყისში კლუბის კონსულტანტის ფუნქციას ასრულებდა. „ზვარტნოცმა“ პირველი წრე მეშვიდე ადგილზე დაამთავრა, ეროვნული თასის გათამაშებაში კი მეოთხედფინალს უწია. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ გუნდის წინსვლა გაგრძელდება, ხოლო კლუბის ვიცეპრეზიდენტ გრაჩიკ კანაიანს მესამე ადგილზე გასვლა და ინტერტოტოს თასზე მონაწილეობა რეალობად მიაჩნია. საინტერესოა, რომ კლუბს, რომელიც დედაქალაქის აეროპორტს და კომპანია „სომხეთის ავიახაზებს“ ეკუთვნის, დღეს ერევანში საკუთარი სტადიონიც არა აქვს, ამიტომ გულშემატკივრებს, რომლებიც საშინაო მატჩებზე ორ-სამ ათასს აღემატებიან ხოლმე, სომხეთის კვალობაზე საკმაოდ დიდი მანძილის, დაახლოებით 50 კილომეტრის გავლა უხდებათ, რათა სტადიონზე მოხვდნენ და საყვარელ გუნდს მხარი დაუჭირონ.

რომენ ტერ გალუბიანცი

ბერნდ შუსტერი

სწავლა სიკვდილამდე შენია

ყოფილი გერმანელი ვარსკვლავი, ბერნდ შუსტერი მომდევნო კვირას თავის ერთ-ერთ ყოფილ კლუბ მადრიდის „ატლეტიკოში“ გაატარებს. ეს მისი სამწვრთნელო-საცდელი-სასწავლო ტურის ბოლო გაჩერება გახლავთ.

შუსტერი იმ იშვიათ ადამიანთაგანი გახლავთ, რომელსაც ესპანეთის სამივე უდიდეს კლუბში, „რეალში“, „ბარსელონასა“ და „ატლეტიკოში“ უთამაშია. ფეხბურთელობის დროს კაშკაშა და ერთობ ჭირვეულმა ვარსკვლავმა სამწვრთნელო საქმიანობა ფრთხილად, ხმაურის გარეშე დაიწყო გერმანულ კლუბებში „ფორტუნასა“ და „კიოლნში“.

დღეს იგი უკლუბოდ არის, მაგრამ აცხადებს, რომ მისთვის თავის რეკლამირება და ესპანეთში დაბრუნების გამო ხმაურის ატეხვა ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

„მადრიდში სამუშაოს საძებნელად არ ჩამოვსულვარ. აქ მხოლოდ იმიტომ გახლავართ, რომ საკუთარი თავი შევამოწმო. „არსენალსა“ და „ფეიენოორდში“ უკვე გახლდით, ახლა კი მინდა კლაუდიო რანიერის მეთოდი შევამოწმო“ — განაცხადა მან.

შუსტერი, რომელმაც ზემოჩამოთვლილი სამივე დიდი ესპანური კლუბის შემადგენლობაში მოიგო ტიტულები, ამბობს, რომ მომავალში მათ კედლებში დაბრუნებას სულაც არ გამორიცხავს.

„სიამოვნებით დავბრუნდებოდი სამუშაოდ ესპანეთში. ამ ქვეყანასთან საგანგებო მოგონებები მაკავშირებს“ — დასძენს ის და რანიერის შემდეგ ესპანეთის ნაკრების თავკაცის, ხოსე ანტონიო კამაჩოს სტილის შესწავლას აპირებს.

უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

იტალია

მილანი: კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტი (ემპოლი)**; **ლაციო**: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; **იუვენტუსი**: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი)**; **ინტერი**: იური ჯორკაეფი(კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი)**; **ფიორენტინა**: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი)**; **პარმა**: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა)**; **რომა**: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია)**; **ბოლონია**: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა)**; **უდინეზე**: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია)**; **ბარი**: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი)**; **კალიარი**: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა)**; **ლეჩე**: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი)**; **პერუჯა**: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი)**; **პიაჩენცა**: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი)**; **რეჯინა**: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა)**; **ტორინო**: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტიცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი)**; **კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი)**; **ვენეციი**: რეკობა (ინტერი), აჰინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია)**; **ვერონა**: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული;

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ხუთშაბათს 26 აგვისტოს „კროკო“ ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს

უეფას თასი. I ეტაპი. II წრე

26.08	517	სილეკსი (მაკედონია) — შახტარი (უკრაინა)	(4,0-1,15)	2,3	2,9	2,8
	518	შირაქი (სომხეთი) — ჰიკ (ფინეთი)	(7,5-1,05)	2,4	2,9	2,6
	519	გრაცერი (ავსტრია) — კლაკსვიკარი (ფარერები)	(—-50,0)	1,05	8,0	14,0
	520	ინტერი (უელსი) — გორიცა (სლოვენია)	(5,0-1,1)	2,5	2,9	2,5
	521	ბირკირკარა (მალტა) — ლიუნგბიუ (დანია)	(50,0-—)	6,0	3,8	1,4
	522	ლეიფტური (ისლანდია) — ანდერლეხტი (ბელგია)	(50,0-—)	6,0	3,8	1,4
	523	ომონია (კვიპროსი) — ბელშინა (ბელარუსი)	(—-25,0)	1,4	3,5	7,0
	524	პრინჩიპატი (ანდორა) — ვიკინგი (ნორვეგია)	(50,0-—)	7,5	4,0	1,3
	525	ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — ერევანი (სომხეთი)	(—-25,0)	1,2	5,0	9,0
	526	ბრიუგე (ბელგია) — ტულევიკი (ესტონეთი)	(—-25,0)	1,05	8,0	14,0
	527	სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) — ვაასა (ფინეთი)	(1,05-7,5)	1,25	4,4	8,0
	530	ლევადია (ესტონეთი) — სტიაუა (რუმინეთი)	(25,0-—)	4,4	3,1	1,7
	531	ბრეი (ირლანდია) — გრასჰოპერი (შვეიცარია)	(25,0-—)	5,0	3,2	1,6
	532	ლეხი (პოლონეთი) — მეტალურგსი (ლატვია)	(1,2-3,5)	1,2	5,0	9,0
	533	ტორპედო (საქართველო) — ლანტანა (ესტონეთი)			ანგარიში —	5,0
	534	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი)	(—-25,0)	1,02	10,0	17,0
	535	ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ბოდიო გლიმტი (ნორვეგია)	(10,0-1.07)	7,0	3,5	1,4
	536	კორკი (ირლანდია) — გიოტებორგი (შვედეთი)	(25,0-—)	6,0	3,3	1,5
	537	კილმარნოკი (შოტლანდია) — რეიკიავიკი (ისლანდია)	(1,35-2,5)	1,3	4,0	7,5
	538	ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ლოკომოტივი (საქართველო)			ანგარიში —	5,0
	539	სიგმა (ჩეხეთი) — შერიფი (მოლდოვა)	(1,05-7,5)	1,2	5,0	9,0
	540	უიპეშტი (უნგრეთი) — ვოვოდინა (იუგოსლავია)	(25,0-—)	2,1	2,9	3,2
	541	სპარტაკი (სლოვაკეთი) — ვლაჟნია (ალბანეთი)	(1,05-7,5)	1,2	5,0	9,0
	542	სელტიკი (შოტლანდია) — ქუიმბრანი (უელსი)	(—-50,0)	1,01	10,0	20,0
	543	ლევსკი (ბულგარეთი) — აპოელი (კვიპროსი)	(1,2-3,5)	1,3	4,0	7,5
	544	კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ფერენცვაროში (უნგრეთი)	(5,0-1,1)	2,4	2,9	2,6
	545	დინამო (რუმინეთი) — მონდერკანჟი (ლუქსემბურგი)	(—-50,0)	1,02	10,0	17,0
	546	ტოპსჰაგენი (ფარერები) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი)	(5,0-1,1)	5,0	3,2	1,6
	547	ბილისი (ალბანეთი) — ინტერი (სლოვაკეთი)	(5,0-1,1)	2,5	2,9	2,5
	548	ჰელსინგბორგი (შვედეთი) — რიგა (ლატვია)	(1,1-5,0)	1,2	5,0	9,0
	549	ლეგია (პოლონეთი) — ვარდარი (მაკედონია)	(—-50,0)	1,3	4,0	7,5
	550	ციურიხი (შვეიცარია) — სლიმა (მალტა)	(—-50,0)	1,05	8,0	14,0
	551	დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ჰაიდუკი (ხორვატია)	(50,0-—)	7,5	4,0	1,3
	552	კაუნასი (ლიტვა) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)	(3,5-1,2)	2,3	2,9	2,8
	553	ლოკომოტივი (რუსეთი) — ბატე (ბელარუსი)	(—-50,0)	1,1	6,0	12,0
	554	კარედა (ლიტვა) — ოლიმპია (სლოვენია)	(1,7-1,7)	2,4	2,8	2,7

ინგლისი. მეორე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
ნოტსი	3	2	1	0	6:0	7	1	1	0	3:0	1	0	0	3:0
უიგანი	3	2	1	0	8:4	7	2	0	0	5:1	0	1	0	3:3
ლუთონი	3	2	1	0	5:3	7	1	0	0	3:2	1	1	0	2:1
პრესტონი	3	2	1	0	4:2	7	1	0	0	2:1	1	1	0	2:1
ბარნლი	3	2	1	0	4:2	7	1	0	0	2:1	1	1	0	2:1
ბორნმუთი	3	2	0	1	7:4	6	2	0	0	6:1	0	0	1	1:3
როვერსი	3	2	1	0	2:0	7	1	1	0	1:0	1	0	0	1:0
ბრენტფორდი	3	1	2	0	4:2	5	1	0	0	2:0	0	2	0	2:2
უიკომბი	3	1	2	0	3:2	5	0	2	0	2:2	1	0	0	1:0
კარდიფი	3	1	2	0	5:4	5	0	2	0	2:2	1	0	0	3:2
ბრისტოლი	3	1	0	2	5:5	3	1	0	0	3:1	0	0	2	2:4
ბლექპული	3	1	1	1	5:5	4	1	1	0	3:2	0	0	1	2:3
ბერი	3	1	1	1	4:4	4	1	1	0	4:3	0	0	1	0:1
სტოკი	3	1	0	2	5:5	3	1	0	1	4:3	0	0	1	1:2
ჩესტერფილდი	3	1	0	2	5:5	3	1	0	1	4:3	0	0	1	1:2
რექსჰემი	3	1	1	1	3:3	4	1	0	0	1:0	0	1	1	2:3
კემბრიჯი	3	1	0	2	6:7	3	1	0	0	3:1	0	0	2	3:6
ოქსფორდი	3	1	0	2	4:5	3	0	0	1	2:3	1	0	1	2:2
რედინგი	3	1	0	2	4:6	3	1	0	1	3:3	0	0	1	1:3
კოლჩესტერი	3	1	0	2	1:7	3	0	0	1	0:3	1	0	1	1:4
მილუოლი	3	0	2	1	5:7	2	0	1	0	3:3	0	1	1	2:4
ჯილინგემი	3	0	1	2	2:4	1	0	0	1	0:1	0	1	1	2:3
ოლდემი	3	0	0	3	0:4	0	0	0	2	0:2	0	0	1	0:2
სკანთორპი	3	0	0	3	0:7	0	0	0	1	0:1	0	0	2	0:6

ინგლისი. მესამე დივიზიონი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	მ	ფ	წ	ბ
როჩდეილი	3	3	0	0	7:0	9	1	0	0	2:0	2	0	0	5:0
დარლინგტონი	3	3	0	0	5:0	9	1	0	0	3:0	2	0	0	2:0
პეტერბრო	3	3	0	0	5:2	9	2	0	0	4:2	1	0	0	1:0
ექსეტერი	3	2	1	0	6:4	7	2	0	0	4:2	0	1	0	2:2
ტორკი	3	2	1	0	3:1	7	0	1	0	0:0	2	0	0	3:1
ბრაიტონი	3	2	0	1	8:2	6	1	0	1	6:1	1	0	0	2:1
სუონსი	3	2	0	1	3:2	6	1	0	0	1:0	1	0	1	2:2
საუთენდი	3	2	0	1	3:3	6	2	0	0	3:1	0	0	1	0:2
ჩელტენემი	3	2	0	1	2:2	6	1	0	1	1:2	1	0	0	1:0
ბარნეტი	3	1	2	0	4:2	5	0	1	0	2:2	1	1	0	2:0
ლინკოლნი	3	1	2	0	3:2	5	1	1	0	2:1	0	1	0	1:1
პლიმუთი	3	1	1	1	2:2	4	0	1	0	0:0	1	0	1	2:2
იორკი	3	1	1	1	1:3	4	1	0	1	1:3	0	1	0	0:0
როტერჰემი	3	1	0	2	7:5	3	1	0	0	4:0	0	0	2	3:5
ჰარტლპული	2	0	0	2	1:4	0	0	0	1	0:2	0	0	1	1:2
ალიფაქსი	3	1	0	2	2:2	3	0	0	2	0:2	1	0	0	2:0
ნორთჰემპტონი	3	1	0	2	2:2	3	0	0	1	0:1	1	0	1	2:1
კარლაისლი	2	1	0	1	2:2	3	1	0	0	2:1	0	0	1	0:1
მაკლსფილდი	3	1	0	2	2:5	3	1	0	1	2:2	0	0	1	0:3
შრიუსბერი	3	0	1	2	1:3	1	0	0	2	1:3	0	1	0	0:0
ჰალი	3	0	1	2	1:3	1	0	1	0	1:1	0	0	2	0:2
ლეიტონი	3	0	0	3	3:6	0	0	0	1	1:2	0	0	2	2:4
მენსფილდი	3	0	0	3	0:8	0	0	0	1	0:1	0	0	2	0:7
ჩესტერი	3	0	0	3	0:8	0	0	0	2	0:4	0	0	1	0:4

შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია (ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მოსანიშნია, გაანგარიშოს ტერიტორიაზე მოქმედი სპორტული შეჯიბრების შედეგი, „სარბიელის“ თამაშის ტურნირებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დაა ზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

პოლ სქოულზი: დიდების შარავანდედი სხვათათვის დამითმია

დღეს, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ეპოქაში, მის ფეხბურთელებს დიდი წარდგენა-შეხსენება არ სჭირდებათ. ამიტომაც მოკლედ ვთქვათ: ქვემოთ პოლ სქოულზი ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე, დისციპლინასა და იმაზე საუბრობს, რატომ არ არის ვარსკვლავთა შორის.

— „იუნაიტედი“ ახალ სეზონში წინაზე მეტ ფსიქოლოგიურ პრესს განიცდის?

— იმაზე მეტ ზეწოლას, გასულ და იმის წინა სეზონებში რომ გვქონდა, ვერ ვგრძნობ. თანაც, კაცი პრესის ქვეშ ცხოვრებას ეჩვევი, მით უფრო, როდესაც ასეთ კლუბში თამაშობ. ზეწოლა ჩვენთვის ცხოვრების ნაწილია. მერე იმასაც ხვდები, რის ფასად მოდის წარმატება, მაგრამ განა ამ გრძნობას რაშეში გაცვლი? ზეწოლას ნებისმიერი კლუბის ფეხბურთელი განიცდის, მაგრამ „იუნაიტედისა“ უფრო მეტად. ისე, თავად ფეხბურთლებიც მოწყურებულნი არიან ჯილდოებს და ხელმძღვანელთა, ქომაგთა თუ რაიმე გარეშე ზეწოლა დიდად არც იგრძნობა.

— სხვა გუნდებს ყველაზე მეტად თქვენი დამარცხება უნდათ.

— იმაზე მეტი მოტივაცია, ვიდრე ჩვენი დამარცხებაა მათ ვერ ექნებათ. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევა ყოველთვის საგანგებო მნიშვნელობის რამ გახლდათ. მნიშვნელობა არ აქვს რომელ წლებზე ვლაპარაკობთ, „იუნაიტედთან“ გამარჯვება მუდამ უმნიშვნელოვანესი იყო და ამას ვერსად გავექცევით. არის გუნდები, რომელთათვისაც ჩვენთან თამაში თასის ფინალს უტოლდება. ის კი არა, ზოგი თვლის, რომ „იუნატედთან“ ფრეც დიდი საქმეა.

— პირადად თქვენი დისციპლინარული მაჩვენებელი კი ამ დროს სასურველი არ არის, ხომ მართალია?

— დიახ, ჩემპიონთა თასის ფინალი და ნაკრების ბულგარეთთან თამაში სანქციების გამო გამოვტოვე. ამიტომაც თქვენს ნათქვამში აშკარად არის სიმართლე. მაგრამ, ვერ ვხედავ, რომ რაიმეს ვცვლიდე, მსაჯები პედანტურნი გახლავან, მე კი ისევე როგორც ზოგი სხვა ფეხბურთელი, ვისჯები. გამართლებას არ ვეძებ, მაგრამ, იცით, თავგამოდებული რომ არ ვიბრძოდე, ჩემს საქმეს ვერ შევასრულებდი. არავის უთხოვია თამაშის სტილი შეიცვალეო, მით უფრო მწვრთნელს არ უთქვამს ასეთი რამ. არადა, არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც ორთაბრძოლაში შედიხარ და ხვდები, რომ დაიგვიანე, მაგრამ ინერციააკრეფილი ველარაფერს ასწორებ, უბრალოდ იცი, რომ დაისჯები.

— ბარსელონაში (ჩემპიონთა თასის ფინალში) რომ ვერ ითამაშეთ, ძალიან განიცდით?

— ძალიან გულნატკენი ვარ, მაგრამ რა გაეწყობა, ამ ფაქტთან შეგუება მომიწევს. მე რომ მკითხოთ, „იუვენტუსთან“ შეხვედრის დროს ზედმეტად მკაცრად მომექცნენ. ვგონებ კარგი ოროთბრძოლა გახლდათ და ყვირი ნევილთან ერთად ხშირად ხარ მოედანზე, მათ ჩანაფიქრს განხორციელებამდე ხვდები.

მაშინაც კი, როდესაც გავიმარჯვეთ, თავს ტრიუმფის თანაავტორად ვერ აღვიქვამდი. მოკლედ, ფინალში არ მითამაშია და მორჩა.

— მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მატჩებს სტოვებთ, გოლი არც თუ იშვიათად გაგაქვთ.

— იცით, ამ ფეხბურთელებთან ერთად რამდენიმე წელიწადია ვთამაშობ და თანაგუნდელების აზროვნების მანერას ვიცნობ. როდესაც რაიან გიგზთან, დევიდ ბექემთან და გაშინაც კი, როდესაც გავიმარჯვეთ, თავს ტრიუმფის თანაავტორად ვერ აღვიქვამდი. მოკლედ, ფინალში არ მითამაშია და მორჩა.

— მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მატჩებს სტოვებთ, გოლი არც თუ იშვიათად გაგაქვთ.

— იცით, ამ ფეხბურთელებთან ერთად რამდენიმე წელიწადია ვთამაშობ და თანაგუნდელების აზროვნების მანერას ვიცნობ. როდესაც რაიან გიგზთან, დევიდ ბექემთან და გარი ნევილთან ერთად ხშირად ხარ მოედანზე, მათ ჩანაფიქრს განხორციელებამდე ხვდები.

— და, ალბათ, ისეთი გოლიც გაგიტანიათ სხვებზე მეტი სიამოვნება რომ მოგანიჭათ.

— გოლის გატანას არაფერი სჯობს, მაგრამ ამის გამო ერთმანეთის სასარგებლოდ მუშაობას არავინ გაურბის. როცა თანაგუნდელი ჩემზე უკეთეს პოზიციაშია, ბურთს მას ვაწვდი. თუ მოვიგებთ ისე, რომ გოლს მე არ გავიტან, მაინც ბედნიერი ვიქნები.

— და მაინც, ყველაზე დიდი სიამოვნებით რომელ გოლს იგონებთ?

— პოლონეთის კარში შესრულებულ ჰეთ-თრიქს. რა დამავიწყებს, მაგრამ გოლების მნიშვნელოვნების მიხედვით დალაგება მაინც ჭირს. მოკლედ, ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ეპატანიოლ სამ ჯერს გახსოვლებთ, რადგან იმის წინ ჰეთ-თრიქი როდის შევასრულე არც კი მახსოვს... ვგონებ ექვსი წლის წინ „იუნაიტედის“ A გუნდში რომ ვთამაშობდი.

— ყურადღების ცენტრში ყოფნა მაინცდამაინც არ გიყვართ, არა?

— პრესა-ტელევიზიის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მათი ყურადღება ზოგი ფეხბურთელისგან განსხვავებით არ მსიამოვნებს. მოედანს გარეთ ნორმალური ცხოვრება მწადია. სუპერვარსკვლავობა ჩემი საქმე არ არის. ცოლშვილიანი კაცი გახლავართ და ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობა ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ჩემი ფეხბურთის გარეშე კი ვერ ვიცხოვრებ. მიყვარს ჩემი საქმე და თავს ბედნიერ ადამიანად ვთვლი, მაგრამ დიდების შარავანდედი სხვა მოთამაშეებისთვის დამითმია.

— ამ სეზონზე რას ფიქრობთ?

— გასულ სეზონში სამი ჯილდოს მოგება საოცრება იყო, მაგრამ ეს უკვე წარსულია. ახალ ჩემპიონატს ყველა ნულიდან იწყებს, გადი მოედანზე და დაამტკიცე რა შეგიძლია. გასული რამდენიმე წლის განმავლობაში დიდ წარმატებებს მივაღწიეთ და გვინდა ეს დონე შევინარჩუნოთ, თუმცა, თუ გავიხსენებთ, იმის წინა სეზონში არაფერი მოგვიგია. ასეა ცხოვრება.

— აქედან გამომდინარე „იუნაიტედისთვის“ კარგ შედეგად რას ჩათვლით?

— წარმატება წარმატებაა, მაგრამ მისი მიღწევა გაძნელდება. პრემიერლიგა ძლიერდება, ჩემპიონთა ლიგა გაზარდეს და ასე შემდეგ. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია მოედანზე გასვლა და ყოველი კერძო თამაშის მოგებისთვის ბრძოლა გახლავთ. მაგრამ არა მგონია ფავორიტის სახელმა დაგვამძიმოს, როგორც გითხარით, სიმძიმეებით ცხოვრებას შეჩვეული ვართ.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

REUTERS ლონდონიდან

ენგ ჰვა ლიმი სასამართლოში მიჰყავთ

განაჩენი გამოტანილია

გუშინ ინგლისის, კერძოდ, მიდლსექსის სამეფო სასამართლომ ჯამში 12 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა სამ აზიელ და ერთ ბრიტანელ მამაკაცს. ბრიტანელი დაცვის თანამშრომელი იყო, ბრალდება კი 13 თებერვალს, ლონდონში, კლუბ „ჩარლტონ ატლეტიკის“ სტადიონ „ველიზე“, „ჩარლტონის“ და „ლივერპულის“ შეხვედრის დროს პროჟექტორების გამორთვის განზრახვა გახლდათ.

რა მიზანს ისახავდნენ ბოროტმოქმედნი? სურვილი მარტივი ჰქონდათ: როგორც კი შეხვედრაში მათთვის სასურველი ანგარიში დადგებოდა, დისტანციური მართვის ღილაკზე ხელის ერთი დაჭერით განათებას გათიშავდნენ და თამაშს ჩაშლიდნენ. აქედან ასეთ სარგებელს ელოდნენ: მალაიზიაში მოქმედი საბუქმეიქერო სინდიკატის წესების თანახმად ჩაშლილი შეხვედრის ანგარიშად დგინდება ის, რაც ჩაშლის მომენტში იყო ანუ შედეგი არ უქმდება.

მეტი სიცხადითვის: ვინაიდან „ლივერპული“ „ჩარლტონზე“ ძლიერი გუნდი გახლდათ, მონიძლავეთა უმეტესობა, ალბათ, მის გამარჯვებაზე ჩავიდოდა თანხას, რომელიც სავარაუდოდ, ჯამში, ერთობ დიდძალი უნდა ყოფილიყო და თუ, ვთქვათ, „ჩარლტონი“ ანგარიშს გახსნიდა, სინდიკატის დამქაშები სტადიონზე განათებას გამოიყვანდნენ მწყობრიდან, რათა ხსენებული ფული სინდიკატს დარჩენოდა.

მიდლსექსის სამეფო სასამართლომ მალაიზიელ ბიზნესმენს, 49 წლის ჩე კიუ ონგს და მის 35 წლის თანამემამულეს, ენგ ჰვა ლიმს, რომელიც პროფესიით ელექტროტექნიკოსი გახლავთ, ოთხ-ოთხი წლით აღუკვეთა თავისუფლება. მესამე აზიელი, რომელსაც 2,5 წლით მოუწევს საპატიმროში ყოფნა, გახლავთ წარმოშობით ჰონკონგელი, 38 წლის ვაი იუენ ლიუ.

ლიუ ბრალდებას უარყოფდა და აცხადებდა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ მალაიზიელთა მძღოლი იყო ანუ, შესაბამისად, ბოროტმოქმედების შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ „მძღოლის“ მანქანაში ნაპოვნმა ელექტროტექნიკურმა ხელსაწყოებმა, დისტანციური მართვის პულტმა და ნახმარი 50-ებით ნაგროვებმა 2900-მა გირვანქამ, რომლის დანიშნულებაზეც ქვემოთ მოგახსენებთ, საპირისპირო დაამტკიცა.

მეოთხე ბრალდებული კი, როგორც მოგახსენეთ, გახლდათ ბრიტანელი, სტადიონის დაცვის ოფიცერი, 43 წლის როჯერ ფირთი, რომელიც მალაიზიელებმა 20 ათას გირვანქით მოქრთამეს, რათა ისინი პროჟექტონთა მართვის ოთახში შეეშვა. ზემოხსენებული 2900 გირვანქა კი სწორედ ის თანხა გახლდათ, რომელიც ფირთისთვის აზიელებს პირველ ჯერზე უნდა მიეცათ.

საგულისხმოა, რომ გამოძიების პროცესში როჯერ ფირთი გატყდა და სასამართლოზე ბრალდების მთავარ მოწმედ იქცა, თუმცა ამან 18 თვიანი პატიმრობისგან ვერ იხსნა.

თავდაპირველად დასახელებულ ორ დამნაშავეს, მალაიზიელებს, სასჯელის მოხდის შემდეგ დიდი ბრიტანეთიდან დაუყოვნებლივი დეპორტაცია ელით.

„თქვენ უმაღლესი ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით დაგეგმილი კრიმინალური ოპერაციის თანამონაწილენი იყავით“ — მიმართა მოსამართლე ფაბიან ევანსმა ჩე კიუ იონგსა და ენგ ჰვა ლიმს — „ამ ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში კი დიდძალი გასამრჯელო გელოდათ.“

მოსამართლე ევანსმა მატჩის შესაძლო ჩაშლა ასე დაახასიათა: „ამით ზოგადი მაყურებლის დიდ ნაწილს ჯერ ერთი მატერიალური და მეორეც, მორალური ზარალი ელოდა. მას შაბათ შუადღე უნდა ჩაშხამებოდა.“

დაბოლოს, ევანსმა ფირთს მიმართა: „თქვენ კი ვერაფერი მიიღეთ და თან კარგა ხნით გაირიყებით.“

„ჩარლტონ ატლეტიკისა“ და „ლივერპულის“ მატჩი **SKY TV**-მ გადასცა. პირდაპირ რეპორტაჟს იღებდა აზიის კონტინენტიც, სადაც ინგლისური ფეხბურთი საგანგებო ინტერესის საგანია.

დამნაშავენი მატჩის დაწყებამდე 72 საათით ადრე ცდილობდნენ თავიანთი აპარატურის „ველის“ საპროჟექტოროში დამონტაჟებას, მაგრამ გეგმა ჩაეშალათ, რადგან დაცვის მეორე წევრმა ქრთამის აღებაზე უარი განაცხადა და პოლიციაში დარეკა.

და ყველას გაახსენდა 1997 წლის ორი შეხვედრა, „ვესტ ჰემი“ — „კრისტალ პალასი“ და „უიმბლდონი“ — „არსენალი“, რომელთა მსვლელობისას სტადიონებზე განათება გამოირთა.

ასე რომ, პოლიცია ძიებას განაგრძნობს.

პაპუნა კედია

მსროლელთა შორის უმდიდრესი

თავისუფალი აგენტებიდან ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა მიჩ რიჩმონდის სამომავლო კარიერაზე იყო ატეხილი. ჭორების მიხედვით, ამ კალათბურთელს ხან რომელ გუნდში უნდა ეთამაშა, ხან — რომელში, მაგრამ მან ისეთი ვარიანტი აირჩია, რომელიც ყველაზე იშვიათად განიხილებოდა. რიჩმონდმა ყოფილ კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდსს“ დაუდო ოთხწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც 40 მილიონ დოლარს მიიღებს. ამრიგად, საშუალო წლიური ხელფასით (10 მილიონი) მიჩ რიჩმონდი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მსროლელებს შორის პირველ ადგილზე გადავიდა და გაუსწრო რეჯი მილერს, კობი ბრაიანტს, ლატრელ სპრიუელს და რეი ალენს. ესენი წელიწადში 9-9 მილიონ დოლარს იჯიბავენ.



სპორტელის არქივიდან

მიჩ რიჩმონდი

რიჩმონდის სავარაუდო წასვლაზე მისი მაღალი მოთხოვნილებების გამო ლაპარაკობდნენ. კალათბურთელი ისეთ კონტრაქტს ითხოვდა, როგორსაც ხელი მოაწერა. თავდაპირველად „ვაშინგტონმა“ იუარა ამგვარი პირობები და საუბრები კალათბურთელის სხვა გუნდში გადასვლაზეც უფრო გახშირდა. შემდეგ გაირკვა, რომ რიჩმონდის მადის დაკმაყოფილება კლუბების უმრავლესობას არ შეეძლო, ამასობაში „ვიზარდსის“ გენერალურმა მენეჯერმა ვეს ანსელდმა მიჩის გუნდში დატოვება უპირველეს ამოცანად დაისახა და, საბოლოოდ, მიზანსაც მიაღწია.

„იმედი მაქვს; ჩემი ძველი მაისურა გარეცხილია“ — იხუმრა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ 34 წლის რიჩმონდმა და თან „ვაშინგტონის“ მომარაგების მენეჯერს გადახედა. მიჩი ამ გუნდში 1998 წლის მაისში მივიდა — „საკრამენტო კინგზმა“ იგი და ოტის ტორპი გაცვალა კრის ვებერში. შარშან იგი ერთადერთი ვაშინგტონელი იყო, რომელმაც ყველა, 50-ვე მატჩი ითამაშა. რიჩმონდი გუნდის ლიდერი იყო მატჩში საშუალოდ გაკეთებული 19,7 ქულით. აღსანიშნავია, რომ ეს საშუალო მაჩვენებელი რიჩმონდის კარიერაში უცუდესია. სულ კი, 11-წლიანი კარიერის განმავლობაში, მიჩმა მატჩში საშუალოდ 23,1 ქულა გააკეთა.

მიჩი პროფესიონალი 1988 წელს გახდა, მაშინ, როცა „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“ დრაფტში ამოირჩია. იმავე სეზონში იგი წლის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს, სულ კი „გოლდენ სტეიტში“ სამი წელიწადი ითამაშა და მერე მოულოდნელად გაცვალეს „საკრამენტო კინგზში“.

„კინგზში“ რიჩმონდმა შვიდი სეზონი გაატარა. იგი ექვსჯერ იყო ოლ-სტარის მონაწილე, ხოლო 1995 წელს მისი უძვირფასესი მოთამაშეც გახდა. რიჩმონდმა „საკრამენტოში“ ასპარეზობისას სულ 21 საპლეიოფო მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 21,1 ქულა გააკეთა.

შარშან, „ვაშინგტონ ვიზარდსში“ თამაშის პირველ წელს, რიჩმონდმა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში 41-ემ გადალახა 18 ათასი ქულის ზღვარი. ეს 31 მარტს, „ორლანდო მეჯიჭის“ წინააღმდეგ მოხდა. ამჟამად რიჩმონდი ლიგის ყველა დროის ბომბარდირებს შორის მე-40 ადგილზეა (18 354 ქულა), ხოლო ჩაგდებული სამქულიანებით — მეხუთეზე (1170 სროლა).

რიჩმონდის დატოვებით „ვაშინგტონმა“ შეინარჩუნა ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი უკანა ხაზი. მიჩის მეწყვილე კვლავინდებურად იქნება როდ სტრიკლენდი. ამ დუეტზე წინ მხოლოდ „ფინიქს სანზის“ წყვილის, ჯეისონ კიდი-პენი ჰარდეკეის დაყენება თუ შეიძლება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ 12 კალათბურთელია, რომლებსაც ორი ოლიმპიური მედალი აქვთ. რიჩმონდიც მათ შორისაა: 1996 წელს ატლანტაში ოქრო მოიგო, ხოლო 1988 წელს, სეულში — ბრინჯაო.

რიჩმონდის გუნდში აყვანა იმას ნიშნავს, რომ 1999 წლის დრაფტის მეშვიდე ნომერი, მსროლელი რიჩარდ ჰამილტონი, სათადარიგო გახდება. ის ფაქტი, რომ ამ კალათბურთელს „ვიზარდსთან“ კონტრაქტი ჯერ არ დაუდია, არაფერს ნიშნავს. ერთი თვის წინ ჰამილტონმა და „ვაშინგტონმა“ მოილაპარაკეს სამწლიან და 5,9-მილიონიან კონტრაქტზე, მაგრამ ზედ ხელმოწერის წინ კალათბურთელმა თავის აგენტი გაადო. სანამ ჰამილტონმა ახალი აგენტი აიყვანა, სანამ ახალმა აგენტმა ახალ კონტრაქტზე წაიმუშავა, ერთი თვე გავიდა. ამბობენ, დღე-დღეზე ჰამილტონი ოფიციალურად გახდება „ვაშინგტონ ვიზარდსის“ წევრიო.

ბრენდონის საქმეც მოგვარდა

წინა სეზონის დამთავრებისთანავე, „მინესოტა ტიმბერვულვზმა“ და მისმა ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში „ბოსტონ სელტიქსის“ დიდმა მოთამაშემ კევინ მაკჰეილმა, ყველა საქმე მეორეხარისხოვნად გამოაცხადეს და მთელი ყურადღება თავისუფალ აგენტად ქცეულ გამთამაშებლის ტერელ ბრენდონის შენარჩუნებაზე გადაიტანეს. ახალ კონტრაქ ტს დიდხანს, დაწვრილებით ამუშავებდნენ და სამშაბათს, როგორც იქნა, გაცხადდა: ბრენდონი ექვსი წლით „მინესოტაში“ დარჩა, მისი ხელფასი ამ ხანში 60 მილიონი დოლარი იქნება.

29 წლის ბრენდონი წლეულს 11 მარტს მივიდა „ტიმბერვულვზში“. მაკჰეილმა ყური მოკრა, რომ „მილუოკი ბაქსის“ გამთამაშებელს ტერელ ბრენდონს ძველ გუნდში გული აღარ უდგებოდა. მაკჰეილმა სასწრაფოდ წამოიწყო ვაჭრობა სამ გუნდს შორის, რომლის შედეგადაც ბრენდონი „მილუოკიდან“ „მინესოტაში“ გადავიდა, სტივენ მარბერი — „მინესოტადან“ „ნიუ ჯერსიში“, ხოლო სემ კასელი „ნიუ ჯერსიდან“ „მილუოკიში“.

მაკჰეილმა მარბერის სანაცვლოდ წლევანდელი დრაფტის პირველი წრის არჩევანიც გამოსტყუა „ნიუ ჯერსის“, რომელიც მე-6 სვლაზე გამოიყენა: გუნდში აიყვანა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა ფორვარდ ვალი შჩერბიაკს.

ბრენდონი პროფესიონალი 1991 წელს გახდა. „კლივლენდ კავალიერზმა“ დრაფტში მე-11 ნომრად აირჩია ორეგონის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი. ტერელმა კლივლენდში ექვსი სეზონი გაატარა, ორჯერ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, სამჯერ — საუკეთესო მეპასე. „კავალიერზში“ თამაშისას ორჯერ, 1996 და 1997 წლებში მონაწილეობა მიიღო ოლ-სტარში.

1997-98 წლების სეზონის წინ ბრენდონი სამგუნდიან ვაჭრობაში მოჰყვა („კლივლენდი“ — „მილუოკი“ — „სიეტლი“) და თავი „მილუოკი ბაქსში“ ამოყო. მისი მილუოკური კარიერა იღბლიანი არ ყოფილა: სადებიუტო სეზონში მარცხენა კოჭის ტრავმის გამო მხოლოდ 50 მატჩში ითამაშა, წინა სეზონში კი რამდენიმე მატჩი ნეკნების ტრავმის გამო გამოტოვა. მერე ბრენდონი „მინესოტაში“ გადავიდა და 21 მატჩში საშუალოდ 14,2 ქულა და 9,8 მოხსნა გააკეთა.

„მინესოტაში“ დარჩენით ბრენდონი ერთობ კმაყოფილია: „ჩემი კარიერის დასრულება აქ მსურს. 29 წლის ვარ და ბევრის გაკეთება შემიძლია. ვფიქრობ, ექვსი წელიწადი ამისთვის სავსებით საკმარისია“. შეგახსენებთ, რომ „ტიმბერვულვზმა“ ბრენდონის გარდა შეინარჩუნა თავისუფალი აგენტები, ფორვარდები, ჯო სმიტი და ტომ ჰემონდსი, აგრეთვე კონტრაქტები გაუფორმა ახალბედებს, ფორვარდებს ვალი შჩერბიაკს და ვილიამ აივერის.

სპორტელის არქივიდან

ტერელ ბრენდონი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

თავისუფალი აგენტების ბაზარი

24 აგვისტო

კლივლენდ კავალიერზი: შეინარჩუნა ფორვარდი სედრიკ ჰენდერსონი (სამწლიანი კონტრაქტი)

გოლდენ სტეიტ ვორიორზი: შეინარჩუნა ცენტრი ერიკ დამპიე (მრავალწლიანი კონტრაქტი)

მინესოტა ტიმბერვულვზი: შეინარჩუნა უკანახაზელი ტერელ ბრენდონი (ექვსწლიანი კონტრაქტი)

ვაშინგტონ ვიზარდსი: შეინარჩუნა უკანახაზელი მიჩ რიჩმონდი (ოთხწლიანი კონტრაქტი)

ჩემი მისამართი მაიამია

„მაიამი ჰითმა“ სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 1999 წლის დრაფტის 25-ე ნომერს, ფორვარდ ტიმ ჯეიმსს. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ „ჰითის“ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი პიტ რაილი თავშეკავებით საუბრობდა: „ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, როგორ ითამაშებს ჯეიმსი. ისე, ეს ახალბედა ძალიან მოგვწონს“.



სპორტელის არქივიდან

ტიმ ჯეიმსი

ჯეიმსი მაიამიში დაბადებულ-გაზრდილ-დავაჟკაცებული კალათბურთელია. მოსწავლეობისას მაიამის ჩრდილო-დასავლეთის საშუალო სკოლაში თამაშობდა და გუნდის ყველა დროის ლიდერი გახდა ქულებში, მოხსნებში და დაფარებებში. სკოლამ ტიმს მუდმივად მიაკუთვნა 40-ნომრიანი მაისურა.

სტუდენტობა ჯეიმსმა მაიამის უნივერსიტეტში გაატარა. იქ მან სრული პროგრამით (ოთხი წლით) ისწავლა და ითამაშა. უნივერსიტეტის 115 მატჩში მან საშუალოდ 14,9 ქულა და 7,4 მოხსნა გააკეთა. იგი აგრეთვე უნივერსიტეტის მძლეოსანთა ნაკრების წევრიც იყო და 1996 და 1997 წლებში შტატის ჩემპიონი გახდა სიმაღლეზე ხტომაში. მაიამის უნივერსიტეტმა დაუფასა ჯეიმსს ერთგულება და მუდმივ მფლობელობაში გადასცა 40-ნომრიანი მაისურა.

1999 წლის დრაფტის რჩეულები

ყველა კონტრაქტი სამწლიანია. ბოლო სვეტში მითითებულია იმ თანხის რაოდენობა (მილიონ დოლარებში), რომელსაც მოთამაშე აიღებს ამ სამი წლის განმავლობაში.

1	ელტონ ბრენდი	ჩიკაგო	10,9
2	სტივ ფრენსისი	ვანკუვერი	უკონტრაქტოდ
3	ბარონ დევისი	შარლოტი	8,7
4	ლამარ ოდომი	კლიპერსი	7,9
5	ჯონათან ბენდერი	ინდიანა	7,1
6	ვალი შჩერბიაკი	მინესოტა	6,5
7	რიჩარდ ჰამილტონი	ვაშინგტონი	უკონტრაქტოდ
8	ანდრე მილერი	კლივლენდი	5,4
9	შონ მერიონი	ფინიქსი	5,0
10	ჯეისონ ტერი	ატლანტა	4,8
11	ტრაიან ლანგდონი	კლივლენდი	4,5
12	ალექს რადოევიჩი	ტორონტო	უკონტრაქტოდ
13	კორი მაგიტი	ორლანდო	4,0
14	ვილიამ აივერი	მინესოტა	პირობები უცნობია
15	ფრედერიკ ვეისი	ნიუ იორკი	არ აიყვანა
16	რონ არტესტი	ჩიკაგო	3,5
17	კელ ბოულდერი	ატლანტა	3,3
18	ჯეიმს პოუსი	დენვერი	3,1
19	ქვინსი ლუისი	იუტა	3,0
20	დიონ გლავერი	ატლანტა	2,9
21	ჯეფ ფოსტერი	ინდიანა	2,8
22	კენი ტომასი	ჰიუსტონი	2,2
23	დევინ ჯორჯი	ლეიკერსი	უკონტრაქტოდ
24	ანდრეი კირილენკო	იუტა	არ აიყვანა
25	ტიმ ჯეიმსი	მაიამი	პირობები უცნობია
26	ვონტიგო კამინგსი	გოლ. სტეიტი	უკონტრაქტოდ
27	ჯუმეინ ჯონსი	ფილადელფია	2,2
28	სკოტ პაჯეტი	იუტა	უკონტრაქტოდ
29	ლეონ სმიტი	დალასი	უკონტრაქტოდ

ტორონტომ ბუდუჩნოსტი დაამარცხა...სამართლოში

„ტორონტო რეპტორზმა“ წლევანდელი დრაფტის მე-12 ნომრად იუგოსლავიელი ალექსანდრ რადოევიჩი აიყვანა. წინა სეზონში ეს 221-სანტიმეტრიანი ცენტრი ბარტონ ქაუნთის კოლეჯში თამაშობდა და საშუალოდ 15,4 ქულას, 9,0 მოხსნას და 4,0 დაფარებას მოუყარა თავი. ტორონტოელებმა რადოევიჩის გამოყენება გადაწყვიტეს, მაგრამ გაირკვა, რომ იგი კონტრაქტით იუგოსლავიის ქალაქ პოდგორიცას „ბუდუჩნოსტს“ ეკუთვნოდა. იუგოსლავიური კლუბი კი კალათბურთელს გამოსასყიდის გარეშე არსად უშვებდა.

„რეპტორზმა“ სასამართლოში იჩივლა. საქმის გარჩევა ინგლისში მოეწყო, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დაფიცას თანხმობით. „ტორონტომ“ მიიგო პროცესი და რადოევიჩი ახლა მისი კუთვნილებაა, კალათბურთელს „ბუდუჩნოსტთან“ აღარაფერი აკავშირებს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, რას უპირებს „რეპტორზი“ რადოევიჩს: აიყვანს თავის რიგებში თუ ევროპის რომელიმე გუნდში გაანათხოვრებს.

ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲨᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲑᲕᲠᲩᲐ ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲝᲕᲘᲪ ᲑᲐᲑᲕᲘᲚᲐᲮᲔᲡ

ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲨᲘ, მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს სამკაციანი გუნდიდან რინგს მხოლოდ მურად სულთანოვი რომ შემორჩენოდა, გუშინ გაცნობეთ. გარდაბანში დაბადებული, მერე რუსეთში წასული, ახლა საქართველოს სახელით მოასპარეზე სულთანოვი გუშინ 75 კილოიანთა მეოთხედფინალში რუს ევგენი კაზანცევს შეხვდა და 1:9 დამარცხდა. ასე უსახურად იასპარეზეს ქართველმა მოკრივეებმა ამერიკულ რინგზე.

ისე, ალალად ვთქვათ, მათი წარმატებისა ნაკლებად გვჯეროდა. ფოთელ პაატა გვასალიასი კი გვეიმედებოდა, მაგრამ ჩვენში ხომ მოკრივეებს ჯერ კიდევ ვერ უქმნიან ისეთ პირობებს, მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლის მოსაპოვებლად რომაა საჭირო. ამიტომაცაა, მოკრივეთა უმრავლესობას, გიორგი კანდელაკისა და კობა გოგოლაძის მსგავსად, პროფესიონალებისკენ რომ უჭირავთ თვალი.

ახლა კი სხვებზეც ვთქვათ. ჩემპიონობისკენ სავალ გზაზე კუბელმა ფელიქს სავონმა (91) ამჯერად უზბეკი რუსლან ჩაგაევი ჩამოიცილა. სავონის თვისტომებმა მაიკრო რომერომ (48), მარიო კინდელინამ (60) და ხუან ერნანდესმაც (67) ნახევარფინალის საგზურები ირგუნეს. კუბელებს არც რუსები ჩამორჩნენ — ალექსანდრ ნალბანდიანმა (48), კამილ ჯამალუტდინოვმა (54), ალექსეი სტეპანოვმა (60), ტიმურ გაიდალოვმა და სულთანოვის მძლეველმა ევგენი კაზანცევმაც (75) ნახევარფინალისკენ გაიკაფეს გზა.

ᲒᲐᲒᲘᲟᲓᲘ, ᲨᲣᲛᲘ?!

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მიხაელ შუმახერი

მიხაელ შუმახერმა, არც აცია, არც აცხელა და გუშინ საქვეყნოდ განაცხადა, კვირას ჩემს ბოლიდში უნდა ჩავჯდე და „ბელგიის დიდ პრიზზე“ ვირბოლიო. შუმის ამ განცხადების დიდი ხმაური მოჰყვა. გერმანული პრესა აჭრელდა „ფერარის“ პილოტის ფოტოებით და ათასგვარი კომენტარებით. გაზეთი „ბილდ ცაიტუნგი“ პირველივე გვერდზე შეშფოთებული მიმართავს მრბოლს: „გაგიჟდი, შუმი?!“ გერმანელთა ასეთი რეაქცია გასაგებია — მიხაელმა ხომ 11 ივლისს „სილვერსტოუნზე“ რბოლისას მოტეხილი ფეხი ახლახან მოირჩინა და ბელგიაში ასპარეზობა მისგან ძალიან რისკიანი ნაბიჯი იქნება. არადა, „ფერარის“ პირველ პილოტს ჯერ კიდევ სურს ჩემპიონობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ეტაპით ადრე თანაგუნდელი, ირლანდიელი ედი ირვინი 56 ქულით ლიდერობს. შარშანდელი გამარჯვებული ფინელი მიკა ჰაკინენი მას ორი ქულით ჩამორჩება, თავად შუმის კი მხოლოდ 32 ქულა დაეთვლება. ასეა თუ ისე, მიხაელს მტკიცედ გადაუწყვეტია სარბიელს ბელგიაში დაუბრუნდეს, თუმცა საბოლოო სიტყვა „ფერარის“ თავკაცებს ეკუთვნით. მიუჯდება თუ არა შუმი თავის ბოლიდს, რომელსაც ჯერ კიდევ ფინელი მიკა სალო მართავს, ხვალ საღამოს გაირკვევა.

ᲓᲐᲚᲐᲚᲘᲝ 25 000 ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐᲓ ᲨᲔᲘᲜᲭᲐᲚᲔᲡ

ლოურენს დალალიო

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მორაგბეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლოურენს დალალიო ყაადაღებულ ნარკო-სკანდალს მხოლოდ ფულადი ჯარიმით გადაურჩა.

ზორბა მორაგბემ გუშინ ალალად აღიარა დანაშაული, რითაც რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს გული მოულბო და საერთო ჯამში სულ რაღაც 25 ათასი გირვანქის გადახდა დაეკისრა.

დალალიოს თავზე ცა მაშინ მოიქუფრა, როდესაც წლეულს, გაზაფხულზე, ბულვარულმა „სანდიმ“ მკითხველებს გაანდო, სახელოვანი მორაგბე 1997 წელს სამხრეთაფრიკული ტურნეს დროს კოკაინსა და ექსტაზს ეტანებოდა, ახალგაზრდობაში კი ნარკოტიკებითაც ვაჭრობდაო.

დალალიომ მოგვიანებით მართლაც აღიარა, ადრე ნარკომანი ვიყავიო, მაგრამ სპორტული კარიერის მანძილზე სხვადასხვაგვარი აბების და ფხვნილების მიღება იუარა. ეს ზღაპარი ჟურნალისტებს იმიტომ მოვუყევი, მეგონა, სარფიანი გარიგებების და კონტრაქტების დადებაში დამეხმარებოდაო.

მოკლედ, მისტერ ლოურენსმა სკანდალის შედეგები მთლად ზუსტად ვერ გამოთვალა და მაისში ინგლისის ნაკრების კაპიტნობიდან გადადგა, მერე კი ავსტრალიელებთან მატჩიც გამოტოვა.

თუმცა რაგბის კავშირი უძღებ შვილს მაინც ვერ შეელია და მეტად მსუბუქი სასჯელი აკმარა, გასულ შაბათს კი აშშ-სთან 106:8 მოგებულ მატჩში თამაშის ნებაც დართო.

ᲙᲐᲮᲐ ᲐᲠᲯᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲙᲝᲤᲘᲐᲜᲛᲐ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲡᲝᲩᲔᲛᲐ ვლადიმერ აკოფიანმა ლას ვეგასში მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის მესამე პარტიაში პეტერბურგელი ალექსანდრ ხაიფმანი დაამარცხა და ექვსი პარტიისგან შემდგარ მატჩში ანგარიში გაათანაბრა — 1,5:1,5.

თეთრი ფიგურები სომეხი მოჭადრაკისა იყო. დებიუტში სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტი გათამაშდა, მეტოქეები ძალიან ფრთხილობდნენ და პარტიაც 84-ე სვლამდე გაიწელა. ამ ხნის მანძილზე კი თანდათან გამოიკვეთა აკოფიანის უპირატესობა და ხალიფმანიც იძულებული იყო დანებებულიყო.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ, მეოთხე პარტია პარასკევს გაიმართება.

ᲡᲐᲔᲭᲕᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲘ

ანა კურნიკოვა კორტზე კარგა ხანი ვეღარ გაილაღებს

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ღია პირველობამ, რომელიც ორშაბათს უნდა დაიწყოს, უკვე დაკარგა მაყურებელთა ერთ-ერთი საუკეთესო სატყუარა — კლასიფიკაციით მე-13, მაგრამ მმაკაც ქომაგთა გულებში პირველი დიაცი ანა კურნიკოვა ნიუიორკელ ძლიერი სქესის წარმომადგენელს თვალს ვერ მოსტაცებს და შესაბამისად, ვერც ჯიბეზე გააკვრევინებს ხელს.

ყველაფერში დამნაშავე კი გასულ პარასკევს, ვარჯიშის დროს გაბზარული მარჯვენა ფეხის ძვალია. 18 წლის რუსის სამენეჯმენტო კომპანია „ედვანთიჯ ინთერნეშენალი“ ტრავმის დეტალების შესახებ არაფერს იტყობინება, თუმცა ექიმებმა ანას მინიმუმ ორი კვირით დასვენება მაინც ურჩიეს, რაც მის „ოუფენზე“ მონაწილეობას გამორიცხავს.

კურნიკოვა ასპარეზობას, წესით და რიგით, სექტემბრის მეორე ნახევარში თუ დაუბრუნდება.

თუ რუსის ბედი უკვე გარკვეულია, „მსოფლიოს დედაქალაქში“ გასამართ ტურნირზე რამდენიმე ვარსკვლავის მონაწილეობის საკითხი ერთობ საეჭვოა.

ყველაზე შავ დღეში მსოფლიოს მე-11 ჩოგანი მარკ ფილიპუსისია. უიმბლდონის მეოთხედფინალში პიტ სამპრასთან შეხვედრისას მუხლის მყესის გაწყვეტის შემდეგ „სკადმა“ მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ექვსი კვირა იძულებით შვებულებაში იმყოფებოდა და მას აქეთ ჩატარებულ ერთადერთ მატჩშიც დამარცხდა.

ამ კვირაში ოზს „ჰამლეტის თასზე“ უნდა ეასპარეზა, თუმცა... „მსურდა, დიდი სლემის ტურნირის წინ ცოტა მეტი სათამაშო პრაქტიკა შემეძინა და მუხლიც გამევარჯიშებინა, მაგრამ მან დატვირთვას ვერ გაუძლო. ყველაფერს ამ შაბათს ექიმთან, დევიდ ოლჩიკთან შეხვედრა გადაწყვეტს“.

ბოლო ხანებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა „სკადს“ თითქოს ვერანაირი დარღვევა-ანომალია ვერ აღმოუჩინა, მაგრამ მუხლი მას ისევ გასივებული აქვს და მოძრაობაც უჭირს.

არადა, აშშ-ის ღია პირველობაზე წარმატებით ასპარეზობა ფილიპუსისს ჰაერივით სჭირდება — შარშანდელმა ფინალისტმა ნიუ იორკში უამრავი საკლასიფიკაციო ქულა უნდა დაიცვას, რათა საუკეთესოთა ოცეულიდან გავარდნა არ დაემუქროს.

სათუოა ნიუ იორკში „სკადის“ თანამემამულის, 18 წლის ამომავალი ვარსკვლავის, ლეიტონ ჰიუიტის თამაშიც.

ჰიუიტმა აგვისტოს პირველ დღეს, ლოს ანჯელესის ტურნირის ნახევარფინალში ანდრე აგასისთან მატჩის დროს კოჭი იტკინა და უკეთ რომ ემკურნალა, მშობლიურ ადელაიდაში დაისვენა, რამდენჯერმე მელბურნში, დევისის თასის გუნდის ექიმი ანდრეა ბიზასთანაც გადაფრინდა, თუმცა ჯერაც სუსტად გრძნობს თავს.

პატრიკ რაფტერი

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲐ

ᲰᲘᲢ ᲡᲐᲛᲠᲐᲡᲡᲐ და პატრიკ რაფტერს რომ ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, ამაზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა, თუმცა თანამედროვე ჩოგბურთის ორმა უდიდესმა ვარსკვლავმა, როგორც ეტყობა, შუღლი დავიწყებას მისცა.

მტრობას მიზეზი კი ორივეს მრავლად მოეძებნებოდა: ჯერ იყო და სამპრასი რაფტერს ღირსეული მეტოქედ არ აღიარებდა და მასთან ყოველ მარცხს მსაჯის შეცდომას ან საკუთარ ტრავმას აბრალებდა, რაც თავმოყვარე ოზს მწარედ ხვდებოდა გულზე.

ამას რაფტერმა იმით უპასუხა, რომ „პისტოლ პიტს“ მოწუწუნე ბავშვი უწოდა, რამდენიმე კვირის წინ კი საჯაროდ განაცხადა, სამპრასის დამარცხება და მისი გაღიზიანება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, რადგან იგი მეტოქეებს ჯეროვან პატივს არ სცემსო.

მოკლედ, უკან დასახვევი გზები თითქოს საბოლოოდ იყო მოჭრილი, მაგრამ მშვიდობის ჩიბუხის მოწევა გვიანი არასოდეს არის და პირველი ნაბიჯი შერიგებისკენ ბუნებით თავმდაბალმა ოზმა გადადგა — მან მსოფლიოს პირველ ჩოგანს ტელეფონით დაურეკა.

„ვუთხარი, პრესამ მთელი ეს ამბავი მეტისმეტად გააბუქა და ბევრი რამ გადაასხვაფერა-მეთქი. მან მითხრა, სავსებით მესმისო“ — განაცხადა კიკინიანმა ოზმა მანჰეტენის „მეისის“ სუპერმარკეტში მოწყობილ პრესკონფერენციაზე, სადაც აურაცხელი ქომაგების წვიფლ-კივილში ჟურნალისტებს ხშირად უჭირდათ სიტყვების გარჩევა.

„პიტი სულაც არ ჩანდა გაბრაზებული და ბოლოს მადლობაც მითხრა. უნდა ვაღიარო, რომ დარეკვამდე ოფლში ვცურავდი, ვაითუ მთელი ამ აურზაურის გამო ხელი გამომიწოდოს კი არა, გვარიანად გამომლანძღოს-მეთქი. მაგრამ ამ ზარის შემდეგ თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ.“

მოკლედ, პრობლემა მოგვარებულია და რაფტერს საწუხარად ისღა დარჩენია, რომ საყვარელ ტურნირს — აშშ-ის ღია პირველობას სრულ ჯანზე ვერ შეხვდება, მკლავი აწუხებს. ბედის ირონია კი ის გახლავთ, რომ ტრავმის გაუარესებაში მთავარი ბრალი მიუძღვის... პიტ სამპრასს, რომელმაც ცინცინატის ტურნირის ფინალში 210 კმ/სთ-იანი მოწოდებებით მეტოქის მარჯვენას ერთობ ავნო.

„ოუფენი“ ორშაბათს იწყება და ორგზის ჩემპიონი ავსტრალიელი ზედიზედ მესამე ტრიუმფის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატადაც ითვლება, თუმცა თავად მაინცდამაინც ოპტიმისტურად არაა განწყობილი: „ხუთსეტიანი მატჩების გასამართად აუცილებელია, მკლავი 100 თუ არა, 90 პროცენტით მაინც იყოს მზადყოფნაში, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ჯერჯერობით მას დასვენება ესაჭიროება.“

ᲐᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ნიუ იორკი. აშშ. „ჰამლეტის თასი“. ჰარდი
საპრიზო 350 ათასი $

პირველი წრე: ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲙᲐᲤᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ (1, რუსეთი) — ერიკ ტაინო (აშშ) 6:3, 6:4; **ᲐᲚᲔᲫᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲢᲐ** (2, ესპანეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:7 (4:7), 6:3, 6:4; **ᲢᲝᲛᲐᲡ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ** (6, შვედეთი) — მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) 5:7, 6:4, 6:3; **ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲝ ᲰᲣᲢᲐᲠᲢᲐ** (არგენტინა) — ალბერტ კოსტა (8, ესპანეთი) 6:4, 6:3; **ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲓᲐᲛᲘ** (ჩეხეთი) — **ᲐᲜᲓᲠᲔ ᲛᲔᲓᲕᲔᲓᲔᲕᲘ** (უკრაინა) 6:1, 6:4; **ᲞᲐᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲢᲝᲠᲝ** (საფრანგეთი) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); **ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲠᲣᲣᲓᲘ** (ნორვეგია) — იან სიმურინკი (ჰოლანდია) 6:3, 6:3.

ბოსტონი. აშშ. **MFS PRO-ს** პირველობა. ჰარდი
საპრიზო 350 ათასი $

პირველი წრე: ᲑᲠᲔᲓ ᲠᲣᲖᲘᲪᲙᲘ (1, ინგლისი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:7 (3:7), 6:2, 7:5; **ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲝ ᲠᲘᲝᲡᲘ** (2, ჩილე) — **ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲚᲔᲘᲥᲘ** (აშშ) 6:3, 7:6 (7:4); **ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲛᲐᲜᲢᲘᲐ** (3, ესპანეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:6 (11:9), 6:3; **ᲡᲔᲓᲠᲘᲙ ᲞᲘᲝᲚᲘᲜᲘ** (4, საფრანგეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 6:0; **ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲑᲠᲝᲡᲬᲐᲜᲘ** (5, საფრანგეთი) — გიიომ რაუჟი (საფრანგეთი) 6:4, 3:6, 6:3; **ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ** (6, რუსეთი) — ჯანლუკა ბოცი (იტალია) 7:5, 7:5; **ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲡᲘᲐᲜᲘ** (სომხეთი) — ჯიმ კურიე (7, აშშ) 6:4, 6:4; **ᲘᲝᲰᲐᲜ ᲑᲘᲝᲠᲙᲛᲐᲜᲘ** (8, შვედეთი) — იან კროსლაკი (სლოვაკეთი) 6:2, 7:6 (7:4).

ნიკა ასათიანი წყალბურთსა და კომპიუტერს შორის

ასათიანი ასათიანს ვერ შეხვდა

ქართველი ლეგიონერი წყალბურთელები კუთვნილ შვებულებებს იყენებენ. დღეს უკლებლივ ყველა თბილისშია. ერთ-ერთ მათგანთან — ზურაბ ალავიძესთან ინტერვიუ ამას წინათ შემოგთავაზეთ, დღეს კი შეგახვედრებთ ეროვნული ნაკრების მეკარე ნიკა ასათიანს, რომელიც ფლორენციაში ცხოვრობს და ქალაქ პრატოს კლუბში თამაშობს.

— ნიკა, მოდით, ის დრო გავიხსენოთ, როცა ფლორენციაში გადახვედით.

— 1993 წელს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ქაიროში თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა. სწორედ იქ შეგვამჩნია მე და რევაზ ჩომახიძე ფლორენციის „რარინანტესის“ მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯანი ლონციმ და თავის გუნდში მიგვიწვია.

— პრატოს კლუბში როგორ აღმოჩნდით?

— ეს ქალაქი ფლორენციასთან ისე ახლოსაა, როგორც მცხეთა — თბილისთან. მათ კლუბებს მჭიდრო პარტნიორობა აკავშირებთ. „რარინანტესში“ თამაშისას ხელი მოვიტეხე, რამაც რამდენიმე თვე გამაცდენინა. ამას ნაკრებში გამოსვლები დაერთო და საბოლოო ჯამში კლუბში თითქმის ორი წელი არ მითამაშია. აქ კი საქმეში იტალიური კანონები ჩაერია და ფლორენციელებმა გამყიდეს. ეს ორი წლის წინ იყო.

— პრატოს კლუბზე ორიოდე სიტყვა...

— მეორე ლიგის „ფუტურა პრატო“ პირველ ლიგაში გადასასვლელად იბრძვის და წლეულს იქამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. ჯგუფში კი გავიმარჯვეთ, მაგრამ გადასასვლელი თამაშები წავაგეთ. კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი მქონდა, რომელიც უკვე დამთავრდა.

— ახლა რას აპირებთ?

— მე ოჯახით ფლორენციაში ვცხოვრობ და იქვე ვმუშაობ. ამიტომ სათამაშოდ ამ ქალაქიდან შორს ვერ წავალ, ახლომახლო კი წყალბურთის მხოლოდ ორი-სამი კლუბია. მეც, ალბათ, პრატოში დავრჩები. ეს კლუბის ხელმძღვანელობის სურვილიცაა.

— „რარინანტესი“, რომელიც პირველ ლიგაში თამაშობს, არ შეგხმიანებიათ?

— ჯერ ერთი, მან ლეგიონერთა ლიმიტი ამოწურა. მეორეც, კლუბები ყველაზე მეტად თავდამსხმელთა შეძენას ცდილობენ. მართლა ძალიან უნდა უჭირდეს გუნდს, რომ მეკარე იყიდოს. თანაც, ფლორენციელებს წარმოშობით პრატოელი, კარგი ახალგაზრდა მეკარეც ეზრდებათ, რომელშიც იტალიის ნაკრების მომავალ იმედს ხედავენ...

— ნაკრების ხელმძღვანელობა ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებს შორის პერიოდში თქვენს სწრაფ პროგრესს აღნიშნავდა. გეტყობათ, სათამაშო პრაქტიკა არ გაკლიათ.

— ფლორენციაში ხშირად შეცვლებზე მიწევდა შესვლა, პრატოში კი ძირითადი მეკარე ვარ.

— ეკონომიკური მხარე გაკმაყოფილებთ?

— ფლორენციაში რომ ჩავედი, ბინაც მომცეს და მანქანაც. მერე ცოლიც იქაური შევირთე და... ამიტომ პრატოში გადასვლისას ამ კლუბის ხელმძღვანელობასთან მხოლოდ ხელფასზე მქონდა საუბარი.

საერთოდ, იტალიაში წყალბურთი პოპულარობითაც და ანაზღაურებითაც ჩამორჩება ფეხბურთს, მაგრამ წყალბურთელებს იმდენს კი აძლევენ, რომ ცოტა კიდეც გადაინახონ, რათა სპორტული კარიერის დასრულების მერე ბიზნესი აწარმოონ და თავი ირჩინონ.

— თქვენც ამას ხომ არ აპირებთ?

— არა. მე იქ კომპიუტერულ ფირმაში ვმუშაობ და ესაა ჩემი ბიზნესი.

— დიდხანს აპირებთ იტალიაში დარჩენას?

— ჯერ საბოლოოდ არაფერი გადამიწყვეტია. ეს სხვადასხვა პირობებზეა დამოკიდებული. თუმცა არც საქართველოში დაბრუნებაა გამორიცხული.

— ზემოთ ოჯახი ახსენეთ. უფრო ახლოს ხომ არ გაგვაცნობდით...

— როგორც გითხარით, ჩემი მეუღლე — პაოლა სტელაბოტე ფლორენციელია. მყავს ერთი შვილი — ირინე, ორწლინახევრის.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ნიკა ასათიანი

— მეუღლე თანახმაა, საქართველოში ჩამოვიდეს საცხოვრებლად?

— ეს რთული საკითხია, რომელსაც პაოლა სერიოზულად უყურებს. როგორც გითხარით, ჯერ საბოლოოდ არაფერი გადაგვიწყვეტია.

— მოეწონა პაოლას საქართველო?

— წლეულს ის აქ პირველადაა. განსაკუთრებით ჩვენებური სტუმარმასპინძლობით მოიხიბლა. ეს ტრადიცია ხომ გაჭირვების მიუხედავად ჩვენში მაინც მძლავრობს. შეძლებისდაგვარად, რამდენადაც დრომ საშუალება მოგვცა, საქართველოც ვანახე — ბუნება, მუზეუმები, მცხეთა თავისი ღირსშესანიშნაობებით და ყოველივე ძალიან მოეწონა. თუმც ცუდიც შენიშნა, მაგრამ კარგი და ცუდი ყველგანაა და ამაში გასაკვირი არაფერია. ვცდილობთ, ქართული სამხარეულოც შევასწავლოთ, რათა იტალიაში ქართული კერძები არ მოგვაკლდეს.

— იტალიაში ყველაზე მეტად რა გენატრებათ?

— მთლიანად აქაურობა, განსაკუთრებით კი მშობლები, ჩემი ძმები და და, ნათესავები, მეგობრები, ახლობლები... თავიდან ძალიან გამიძნელდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე. იქაური ქართველებთან ურთიერთობის დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ფლორენციაში და მის მახლობლად მხოლოდ ერთი კაცი მოვიძიე. წლეულს, 26 მაისს, რომში ჩვენმა საელჩომ იტალიაში მცხოვრებ ქართველებს შეხვედრა მოგვიწყო, სადაც სულ 100-მდე კაცი მოგროვდა...

— რეზო ჩომახიძე დღესაც ახსოვთ ფლორენციაში?

— ახსოვთ და ძალიან კარგადაც. როგორც ვიცი, „რარინანტესის“ ხელმძღვანელობას დღესაც სურს მისი დაბრუნება. მახსოვს, მას ფლორენციელები „რარინანტესის“ ბატისტუტას უწოდებდნენ. ჩომახიძე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელია. ამას წინათ საერთაშორისო ტურნირზე რუსეთის ნაკრებმა იტალიისას მოუგო და იტალიელთა იუგოსლავიელმა მწვრთნელმა რადკო რადოვიჩმა მაღალი შეფასება მისცა მის თამაშს. რადოვიჩი კი ის კაცია, ვინც იტალიური წყალბურთი ამოსწია.

— ჩომახიძესავით თქვენც ხომ არ გაგიცვნიათ ბატისტუტა ან სხვა ცნობილი ფლორენციელები?

— ბატისტუტას არა და ანდრეი კანჩელსკისს კი ვხვდებოდი, ვიდრე „ფიორენტინაში“ თამაშობდა. საერთოდ ფეხბურთი მაინცდამაინც არ მიზიდავს, რითაც იტალიელებს ვაოცებ. ისინი ხომ ყველანი ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგები არიან.

— ნიკა, ამდენს ვსაუბრობთ და საქართველოს ნაკრები, საერთოდ ქართული წყალბურთი არ გვახსენებია.

— დამოუკიდებლობის გამოცხადებას რა პრობლემებიც მოჰყვა ცხოვრების ყველა სფეროში, იცით. გამონაკლისი არც სპორტი და კონკრეტულად, წყალბურთია. მას აკლია ფინანსები, ყურადღება, ყველაფერი... თვით წყალიც კი! ამით არამარტო დღევანდელობა ზარალდება, მომავალსაც საფრთხე ემუქრება, ასეთ პირობებში ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპამდე მაინც მიაღწია. ამ მონაპოვარს შენარჩუნება უნდა და ეს ყველამ უნდა გაითვითცნობიეროს. კონტინენტის პირველობის შესარჩევი თამაშებისთვის მოსამზადებლად აუზში ერთთვიანი ვარჯიში რომ არ კმარა, ეს ფედერაციის პრეზიდენტმაც კარგად იცის და საერთოდ, ყველამ. ვარჯიშის გარდა ნაკრებს საკონტროლო შეხვედრები უნდა. ჩვენმა ნაკრებმა ივნისში რუმინეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები წააგო. იმ ჯგუფში მეორე ადგილი კი ფინალურ ეტაპზე გაგვიყვანდა. არადა, იმ ოთხგუნდიანი ჯგუფიდან მხოლოდ ხორვატებს ვერ მოვუგებდით, თორემ ცოტა მეტი ხელშეწყობის პირობებში რუმინელებთან და პოლონელებთან გამარჯვება ნამდვილად შეგვეძლო. სხვათა შორის, იმ ტურნირისთვის ლეგიონერები არ გამოგვიძახეს.

ახლა თავად სპორტსმენებმა დაიწყეს ზრუნვა წყალბურთის საკეთილდღეოდ. ლეგიონერებიც თბილისში ვართ და გუშინწინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესაც უნდა შევხვედროდით კონკრეტული წინადადებებით, მაგრამ ასათიანი არ იყო და ეს ვიზიტი ჩაშალა. თუმცა უახლოეს დღეებში შეხვედრა, ალბათ, მაინც შედგება. მაგრამ მე შაბათს მივფრინავ იტალიაში და ვერ დავესწრები. გაისად ნაკრებს ისევ ელის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის თამაშები. წარმატების შემთხვევაში ფინალურ ეტაპზე გავალთ, რაც ქართული გუნდებისთვის დღემდე მიუღწეველია. ამ ნაკრებს დიდი პერსპექტივა აქვს და მას ხელშეწყობა სჭირდება.

ირაკლი თამაძე

ამოდის, ნათდება იან ტორპის ვარსკვლავი

სიდნეიში წყნარი ოკეანის თამაშებზე მოცურავეთა შეჯიბრებაზე მსოფლიოს რეკორდების წვიმა გაგრძელდა. სამხრეთაფრიკელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა პენი ჰეინსმა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 1.06.52, რაც მეექვსე ასეთი მიღწევაა ამ შეჯიბრებაზე.

აღსანიშნავია, რომ ჰეინსმა ერთი თვის წინათ ლოს ანჯელესში დამყარებული თავისივე რეკორდი 0,43 წამით გააუმჯობესა.

ავსტრალიელმა იან ტორპმა სამი მსოფლიოს რეკორდი რომ მიითვალა, 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტის სტარტზეც იმავე მიზნით გამოვიდა. ტორპის სურვილი მიუღწეველი სულაც არ ჩანდა, რადგან ამ შეჯიბრებაზე მისი თანაგუნდელების ვილიამ კირბის, გრანტ ჰაკეტისა და მაიკლ კლიმის შედეგები 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ინდივიდუალურ ცურვაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ტორპზე, რომელმაც იმ სამიდან ორი მსოფლიოს რეკორდი სწორედ ამ სახეობაში გაუმჯობესა.

საინტერესოა, რომ ავსტრალიელთა „კვარტეტის“ წევრთაგან ორნი — ტორპი და კლიმი — 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის სტარტამდე მსოფლიოს რეკორდსმენები უკვე იყვნენ. მათ რეკორდი თანამემამულე დენიელ კოვალსკისთან და მეტიუ დანისთან ერთად შარშან კუალა ლუმპურში თანამეგობრობის თამაშებზე დაამყარეს (7:11.86)

ასე იყო თუ ისე, ტორპმა და კლიმმა ესტაფეტაში ახალ თანაგუნდელებთან ვილიამ კირბთან და გრანტ ჰეკეტთან ერთად კვლავ დაამყარეს მსოფლიოს რეკორდი (7:08.79)

აქ პირველ ეტაპზე ტორპი ცურავდა და ყველას აინტერესებდა გუშინწინ დამყარებულ რეკორდს (1.46.0) გააუმჯობესებდა თუ არა. მართალია, მან ეს ვერ შეძლო, მაგრამ მსოფლიოში მეორე შედეგი მაინც აჩვენა (1:46.28).

REUTERS სიდნეიდან

რეკორდსმენი პენი ჰეინსი (მარცხნივ) და მეორე ადგილზე გასული მეგან ქუანი

მარცხნიდან: იან ტორპი, გრანტ ჰეკეტი, ვილიამ კირბი და წყალშიც — მაიკლ კლიმი

ასე რომ, სიდნეის აუზში დამყარებული შვიდი მსოფლიო რეკორდიდან ტორპი სამის ავტორი და ერთის თანაავტორი გახდა.

ამიტომ ახლა ტორპის სახელი ყველას პირზე აკერია. მასზე საუბრობენ და მსჯელობენ სპეციალისტები.

ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ექსრეკორდსმენი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ამერიკელი როვდი გაინესი, რომელიც წყნარი ოკეანის თამაშებზე ტელეკომენტატორად მოგვევლინა, ტორპის შემყურემ თქვა: „400 მეტრზე ცურვისას სასწაულის მოწმენი გავხდით. ტორპი ისე დაწინაურდა, რომ ეულად იბრძოდა გამარჯვებისთვის. მისი მეტოქე მხოლოდ წამზომიღა იყო. ამ სახეობასთან 25 წელი მაკავშირებს, მაგრამ ასეთი ცურვა არასოდეს მინახავს“.

სხვათა შორის, იან ტორპი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონია, რასაც მან შარშან პერტში (ავსტრალია) მიაღწია.

ტორპის ფენომენით აღფრთოვანებულა და დატყვევებულა კანადის მოცურავეთა მწვრთნელი დეივ ჯონსონი.

— ცუდია, რომ ტორპის საუკეთესო გამოსვლა ჯერ არ გვინახავს — წუხს ჯონსონი და დასძენს, მისი შესაძლებლობები ჯერ არ ამოწურულაო.

სპეციალისტები ამასაც ამბობენ: „ტორპის წარმატებათა საიდუმლო ალბათ მის უიშვიათეს გონებრივ და ფიზიკურ მონაცემებში უნდა ვეძებოთ. 16 წლის მოზარდის კვალობაზე იგი საკმაოდ ზრდასრულად გამოიყურება, ხოლო მისი სიმაღლე — 195 სმ — უჩვეულოდ გვეჩვენება. ტორპს აქვს განსაკუთრებით ფართო ტერფები, რომლებსაც ფარფლებივით იყენებს, ხოლო ძლიერ ფეხებს იგი გამარჯვებამდე მიყავს.

— ძილის წინ ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ჩვენ ტორპი გვყავს — ამბობს ავსტრალიელთა გუნდის მწვრთნელი დონ ტელბოტი — 40 წელია, რაც ცურვის სამყაროში ვტრიალებ. მინახავს: დონ ფრეზერი, მურეი როუზი, მარკ სპიტცი, მერი მიგერი და სხვები, მაგრამ იან ტორპის მსგავსს არ შევხვედრივარ. ეს საოცარი ბიჭი, რომელსაც „ტორპედოს“ ეძახიან, რაღაც განსაკუთრებულია. მას შეუძლია გახდეს უდიდესი მოცურავე, რომელიც კი ოდესმე გვყოლია და შესაძლოა საუკეთესო მოცურავეც მთელს მსოფლიოში.

იან ტორპი, რომელმაც სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ინდივიდუალურ სახეობებში და ერთიც გუნდურში, მოულოდნელად 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ფინალს მიღმა დარჩა, რადგან ნახევარფინალში მისი შედეგი მეოთხე იყო (49,71). რომ არა წყნარი ოკეანის თამაშების წესები, ის ფინალშიც იასპარეზებდა.

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ფინალში ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ორს შეუძლია გავიდეს, რასაც ჩვენ ყველანი ვესწრაფვით — თქვა კლიმმა.

და რადგან პირველ და მეორე ადგილებზე ტორპის თანამემამულენი მაიკლ კლიმი და კრისტოფერ ფიდლერი გავიდნენ, ავსტრალიელთა ტრიუმფატორი ავტომატურად გამოეთიშა ბრძოლას.

გიგა გურასაშვილი



ჰაილე გებრესელასიე

ენტონი ვაშინგტონი

REUTERS სვეტლიდან

ჰაილ, ჰაილე!

ᲔᲠᲗᲘ შეხედვით, უილაჯო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს კაფანდარა ეთიოპიელი ჰაილე გებრესელასიე, მაგრამ მის პატარა სხეულში იმდენი ძალა და ენერგიაა დაბუდებული, რომ 26 წლის მძლეოსანს 1993 წლიდან მოყოლებული 10000 მეტრზე შეჯიბრი არ წაუგია. ჰაილე 5000 და 10000 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენიცაა, ატლანტის ოლიმპიადის ოქროც მოუგია, მსოფლიოს ჩემპიონატებზეც უმარჯვია, წლეულს კი იაპონიაში, მაებაშის ჭერქვეშა მსოფლიოს პირველობაზე 1500 და 3000 მეტრზეც იმარჯვა. ერთი სიტყვით, ლეგენდარული სპორტსმენია და თავისი ძალა სევილიაშიც დაამტკიცა. 10-კილომეტრიანი დისტანცია გებრესელასიემ 27.57,27 წუთში დაფარა და მთელი ამ ხნის მანძილზე მეტოქეებს მისი კანჭების ყურებაღა მოუწდათ. ფინიშამდე კილომეტრით ადრე პორტუგალიელმა ანტონიო პინტუმ კი მოინდომა ეთიოპიელის გასწრება, მაგრამ ჰაილემ იგი ახლოს არ მიიკარა და ფინიშის ხაზთან მომლოდინე ფოტორეპორტიორებს ხელეაწეულმა, ამაყად ჩაურბინა. ანტონიო პინტუს გებრესელასიესთან გაჯიბრებამ არაქათი გააცალა და ბოლო მეტრებზე მას კენიელმა პოლ ტერგატმა (27.58,56), ეთიოპიელებმა ასეფა მეზგებუმ (27.59,10) და გირმა ტოლმა (28.02,08) გაუსწრეს. ასე რომ, ვერცხლი ტერგატს, ბრინჯაო კი მეზგებუს ერგო.

მძლეოსნურ სამყაროში გებრესელასიეზე ნაკლები სახელი არც მაროკოელ ჰიშამ ელ გურუჯის აქვს. ატლანტის ოლიმპიადაზე წარუმატებელი ასპარეზობის მერე (მაშინ გურუჯი 1500 მეტრზე მეთორმეტე იყო) მაროკოელი 1500 და მილიან დისტანციაზე მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. 1996 წლის დიდი პრიზის ფინალში კი ალჟირელ ნურედინ მორსელის ოთხწლიანი ბატონობა დაამხო და მას მერე ათასხუთასიანების მეფეც შეიქნა.

აი, მისი მონაგარიც: ათენის 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 1998 წელს 1500 მეტრზე მორსელის მსოფლიოს რეკორდი გაუმჯობესა, წლეულს კი რომში იგივე მილიან დისტანციაზე შეძლო.

ამ ბოლო დროს 1500 მეტრზე გურუჯის ბატონობას 20 წლის კენიელი, ამბიციური ნოა ნგენი დაემუქრა. სევილიაში ჩასვლის წინ ნგენიმ თქვა, მაროკოელს ოქროს ცხვირწინ ავაცლი, ამიერიდან ჩემი დრო დგებაო. სპეციალისტებიც ერთხმად აღნიშნავენ, მძლეოსნურ კაბადონზე ახალი ვარსკვლავი გაჩნდაო, მაგრამ, შვილოსან, ნათქვამია — რომ გადახტები, ჰოპლა მერე დაიძახეო. ბევრს კი ეცადა ნოა ნგენი გურუჯის დაჩაგვრას, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოუვიდა, დისტანცია 3.28,73 წუთში გაირბინა და ვერცხლსღა დასჯერდა. ოქრო კი, რა თქმა უნდა, ჰიშამ ელ გურუჯის ერგო, თანაც მისი დრო 3.27,65 წუთი მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესოა. ბრინჯაოს მედალი კი ესპანელი რეის ესტევესის საკუთრება გახდა. სევილიურ ბილიკებზე სახელოვანმა ალჟირელმა ნურედინ მორსელიმაც ირბინა, მაგრამ რა დრო დამდგარა? — ფინიშსაც ვერ უწია.

ახლა, 800 მეტრზე მორბენალ ქალებზეც ვთქვათ. ფინალურ გარბენში ერთობ სახელიანმა დიაცებმა მიიღეს მონაწილეობა — რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სვეტლანა მასტერკოვამ, მსოფლიოს ჩემპიონებმა — მოზამბიკელმა მარია მუტოლამ და ამერიკელმა ჯერლი მაილს-კლარკმა. ოქროსთვის ბრძოლას ამ სამეულისგან ელოდნენ, თუმცა სიურპრიზის შემოთავაზება ჩეხ ლუდმილა ფორმანოვასაც შეეძლო. ასეც მოხდა. ფორმანოვამ ნაქები მეტოქენი ჩამოიტოვა, 800 მეტრი 1.56,68 წუთში გაირბინა და მსოფლიოს ჩემპიონობაც გაიფორმა. მასტერკოვას, მაილს-კლარკსა და მუტოლას რაღა? მუტოლას ვერცხლი, მასტერკოვას ბრინჯაო, ამერიკელს კი მხოლოდ მეოთხე ადგილი.

ამერიკელმა ენტონი ვაშინგტონმა მძლეოსნური კარიერა სპრინტერობით დაიწყო, მაგრამ ვერაფერშვილი მორბენალი გამოდგა და სამხტომში სცადა ბედი. აქაც რომ ვერ ივარგა, მერე, ეტყობა, ახლობლებმა ურჩიეს, შენი ძალ-ღონის პატრონი ბადროს ტყორცნაში თუ იხეირებსო. ვაშინგტონსაც რჩევა ყურად უღია და ბადრო აუღია ხელში. რომ არ შემცდარა, ეს სევილიაშიც გამოჩნდა. აქამდე ამერიკელი ზანგი ატლანტის ოლიმპიადაზე დაკავებული მეოთხე ადგილით, წლევანდელი აშშ-ის და პანამერიკული თამაშების ჩემპიონობით თუ დაიკვეხნიდა, ამჟამად კი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულითაც მოიწონებს თავს.

არადა, გუშინწინ გამართულ ბადროს მტყორცნელთა ფინალურ შეჯიბრში უპირველეს ფავორიტებად გერმანელები, ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი ლარი რიდლი და იურგენ შულტი ითვლებდნენ, მაგრამ ენტონი ვაშინგტონმა მათზე შორს — 69,08 მეტრზე ტყორცნა ბადრო და გერმანელები ვერცხლს და ბრინჯაოს დაჯერა. იურგენ შულტი (68,18) მეორე იყო ლარს რიდლი (68,09) მესამე.

რუმინელი მიხაელა მელინტე პირველი ქალია, რომელმაც ურო 75 მეტრზე ტყორცნა.ეს საგმირო საქმე მან წლეულს მაისში საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში ჩადინა. მიხაელა შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულიცაა და, ცხადია, სევილიაშიც მას უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას. მელინტემ იმედები გაამართლა. 75,20 მეტრით საუკეთესო იყო და ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი. რუსთა იმედი ოლგა კუზენკოვა (72,56)კი რუმინელს სამი მეტრით ჩამორჩა და ვერცხლს დასჯერდა, სამოელმა ლაიზა მისიპეკამ კი თავის ქვეყანას ბრინჯაო მოუტანა.

ქალთა სამხტომის პირველ სამეულში ორი ბერძენი მოხვდა, პარასკევი ციამიტამ წითელი პარასკევი გაუთენა მეტოქეებს — 14,88 მეტრზე იფრინა. კუბელი იამილი ალდამა და პარასკევას თვისტომი ოლგა ანასტასია ვესდეკი 14,61 მეტრზე გადახტნენ, მაგრამ ბერძენს ერთი ცდით მეტი აღმოაჩნდა და ამიტომაც ვერცხლი კუბელმა დაასაკუთრა, ვასდეკს კი ბრინჯაო ერგო.

სოსო კოტორეიშვილი

REUTERS სვეტლიდან

გამარჯვებით გაოგნებულ ლუდმილა ფორმანოვას პირველმა სვეტლანა მასტერკოვამ მიულოცა

სევილიური ამბები

სიყვარულიც ჩემოდანი

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ „სარბიელში“ ქალთა სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ნიურკა მონტელვოზე მოგითხრეთ და ახლაც მასზე უნდა გელაპარაკოთ. ალბათ, გეხსომებათ, ნიურკა ტომით კუბელია, რამდენიმე წლის წინ კი ესპანელ ხოსე სანლეანდროს გაჰყვა ცოლად და სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ქმრის სამშობლოს სახელით იასპარეზა. ნიურკამ ესპანელებს, აქაოდა მნახეთ რა გოგო ვარო და ისე იხტუნ-იფრინა, რომ ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი. მერე გახარებულმა მხრებზე ესპანეთის დროშა წამოისხა, სტადიონს ასე შემოურბინა და პრესკონფერენციაზე თავის ახალ სამშობლოს კოჭიც გაუგორა — დღევანდელ გამარჯვებას ესპანეთს, სევილიელებს და რა თქმა უნდა, ქმარს ვუძღვნიო. ამ ამბავს კი, როგორც ესპანური სააგენტოები იტყობინებიან, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩასული კუბელთა დელეგაციის ხელმძღვანელი ალბერტო ხუანტორენა ძალიან გაუბრაზებია. მერე რა რომ ნიურკა ახლა ესპანეთის მოქალაქეა, სპორტსმენად იგი კუბაში ჩამოყალიბდა და თავისუფლების კუნძულის მოხსენიებაც არ უნდა დავიწყებოდაო.

ახლა არ იკითხავთ სად და როგორ გაიცნეს ერთმანეთი კუბელმა ნიურკამ და ესპანელმა ხოსემ?

ამ რამდენიმე წლის წინ ხოსე სანლეანდროს ჰავანის აეროპორტში ერთი ტანკენარი ზანგი გოგო შეუმჩნევია, რომელიც უშველებელ ჩემოდანს თურმე გაჭირვებით მიათრევდა. რაინდ ხოსეს, თქვენი ჩემოდანი მიბოძეთ, ქალიშვილო, მიუმართავს და ქალის ტვირთი მხრებზე მოუგდია. ის გოგო ნიურკა მონტელვო იყო. ამის მერე ხოსეს და ნიურკას ერთმანეთი გულში ჩაუვარდათ და... ცოტა ხანში ქორწილიც იყო. ამჟამად ბედნიერი წყვილი სანლეანდროს მშობლიურ ქალაქ ვალენსიაში სახლობს და ალბათ ერთი პატარა ქეიფი მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლის დასასველებლადაც გაიმართება.

REUTERS სვეტლიდან

ნიურკა მონტელვოს ესპანური დროშის ფრიალი კუბელთა წყრომად დაუჯდა

რუსი რუსებს დაერია

ᲛᲐᲡ მერე, რაც სახელოვანი მეჭოკე, უკრაინელი მსოფლიოს რეკორდსმენი სერგეი ბუბკა ტურნირებზე ასპარეზობის ნაცვლად თავს ათასგვარი გასართობით იქცევს, საერთაშორისო სარბიელზე ფრანგ ჟან გალფიონესთან ერთად სახელი რუსმა მაქსიმ ტარასოვმაც დაიგდო. მაქსიმს სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ოქროს მედლის მოპოვებას უწინასწარმეტყველებენ და რისი შნო აქვს, დღეს გამოჩნდება.

შეჯიბრის დაწყების წინ, გუშინ ტარასოვი ჟურნალისტებს გაესაუბრა და ჯერ რუსეთის სპორტის თავკაცებს მისდგა, მძლეოსნობას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, ნორმალური ჭოკი რომ ვიშოვო, აუცილებლად ჩინოსნების კაბინეტები უნდა ავატალახოო, მერე მაქსიმი რუს ჟურნალისტებსაც გადასწვდა — თქვე მამაცხონებულებო, ივნისში ათენში რომ 6,05 მეტრზე გადებულ თამასას გადავევლე და ბუბკას რეკორდს მივუახლოვდი, ერთი კეთილი სიტყვა მაინც გამოგემეტებინათო.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

25 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

50 კმ. სპორტული სიარული (კაცები)

1. გერმან სკურიგინი (რუსეთი) 3.44,23 სთ
2. ივანო ბრუგნეტი (იტალია) 3.47,54
3. ნიკოლაი მატიუკინი (რუსეთი) 3.48,18

სამხტომი (კაცები)

1. ჩარლზ მიხაელ ფრიდეკი (გერმანია) 17,59 მ
2. როსტისლავ დიმიტროვი (ბულგარეთი) 17,49
3. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) 17,48

ბირთვის კვრა (ქალები)

1. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია) 19,85 მ
2. ნადინე კლაინერტი (გერმანია) 19,61
3. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 19,43

110 მ. თარჯრბენი (კაცები)

1. კოლინ ჯეექსონი (ბრიტანეთი) 13,04 წმ
2. ანიურ გარსია (კუბა) 13,07
3. დუეინ როსი (აშშ) 13,12

400 მ. თარჯრბენი (ქალები)

1. დაიმი პერნია (კუბა) 52,89 წმ
2. ნეტა ბიდუანე (მაროკო) 52,90
3. დეონ ჰემინგსი (იამაიკა) 53,16

ხუთჭიდი (კაცები)

1. ტომას დვორჟაკი (ჩეხეთი) 8744 ქულა
2. დეიან მაკკეი (ბრიტანეთი) 8556
3. კრის ჰაფინსი (აშშ) 8547

ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲖᲐᲠᲘ

	ო	ვ	ბ
1. აშშ	5	1	3
2. გერმანია	4	3	2
3. რუსეთი	3	1	3
4. ჩეხეთი	2	0	0
5. კენია	1	3	0
6. ბრიტანეთი	1	2	2
7. კუბა	1	2	0
8. საბერძეთი	1	1	2
9. მაროკო	1	1	1
10. ეთიოპია	1	0	1
11. რუმინეთი	1	0	1
12. ესპანეთი	1	0	1
13. საფრანგეთი	1	0	0
14. კანადა	0	2	0
15. იტალია	0	2	0
16. უკრაინა	0	1	2
17. ბულგარეთი	0	1	0
18. ეკვადორი	0	1	0
19. უნგრეთი	0	1	0
20. მოზამბიკი	0	1	0
21. სამოა	0	0	1
22. ავსტრალია	0	0	1
23. იამაიკა	0	0	1
24. მექსიკა	0	0	1
25. სირია	0	0	1

ინგლისი

პრემიერლიგა. V ტური

არსენალი 2:0 ბრედფორდი
1:0 ვიეირა (8), 2:0 კანუ (17პ)

ქოვენთრი 1:2 მანჩესტერი
0:1 სქოულზი (63), 0:2 იორკი (75), 1:2 ალოიზი (80)

ევერტონი 4:0 უიმბლდონი
1:0 ანსუორთი (16), 2:0 ბარმბი (46), 3:0 ჯეფერსი (50) 4:0 კემპბელი (68)

ნიუკასლი 1:2 სანდერლენდი
1:0 დაიერი (28), 1:1 ქუინი (64), 1:2 ფილიპსი (75)

უენსდი 0:2 დერბი
0:1 დელაპი (54), 0:2 სტარიჯი (79)

პოლონეთი

გადადებული მატჩი

პოლონია 4:1 რაძიონკოვი

ნორვეგია

გადადებული მატჩი

ბრანი 3:1 ტრომსიო

REUTERS ქოვენთრიდან

ქოვენთრი — მანჩესტერი 1:2. ქოვენთრელები მარკ ედუორთი და რიჩარდ შოუ მანჩესტერელი დუაიტ იორკის ხელბურთმა დააბნია

იტალია

თასის I ეტაპი. მე-4 ტური

ფ. ანდრია — ლეჩე 1:4; ლუკეზე — ტერნანა 1:2; სამპდორია — ჩეზენა 1:2; პალერმო — სავონა 3:1; ლუმეცანე — ემპოლი 2:1; მონცა — ვერონა 3:2; კრემონეზე — პისტოიზე 2:2; ლიკ... — ალბინოლეფა 0:0; ტორინო — რიეტი 0:1; კოზენცა — ტუსლადო 1:1; ნაპოლი — ფერმანა 2:0; ...მი — ...ერნანა 2:3; ბრეშა — ...ნა 2:1; ...ტალია — სტაბია 5:2; ...ბინ... ...ჩენტა 3:0; რავენა — სპეზია 2:1

კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3

REUTERS ფილადელფიიდან

აი, ბეისბოლი

ბრძოლა ბაზისათვის: „ფილადელფია ფილიზისა“ და „სანდიეგო პადრეს“ შეხვედრაში, ფილადელფიელი მარლონ ანდერსონი და (№16) სანდიეგოელი კილვია ვერასი (№4) ისე შეასკდნენ ერთმანეთს, რომ მეორე ინინგი აღარავის ახსოვდა: ცოცხლები დარჩნენ და ბაზას ვინლა ჩივისო.

REUTERS ოსეგორიდან

ოსეგორის რიფებზე

ოსეგორის რიფებს ახლო სერფინგის პროფესიონალთა მდიდრული ტური მიმდინარეობს. საპრიზო ფონდი მთელ ასორმოცდაათი ათას დოლარს შეადგენს. ფოტოზე კი კალიფორნიელ შეა ლოპესს ხედავთ, სან კლემენტურ ტალღებთან მებრძოლს, რომელსაც უთქვამს ოსეგორის შეჯიბრში ჰავაელებსაც დავამარცხებ და დოლარებს ჯიბეში ჩავიკეცავო.

ნიჩაბი მემკვიდრისთვის

ონტარიოში ნიჩბოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. განთქმული კანადელი ნიჩბოსანი ქალი სილვენ ლაუმენი, აწ მხოლოდ პენსიონერია: რაც მეორე შვილი შეეძინა, ნიჩბებს ხელი უშვა და მაყურებლად იქცა. თუმცა, აბა როგორ გაგიძლებს გული საყვარელი სპორტის ერთბაშად რომ მიატოვო? სილვენს ორი წლის ვაჟი მიუყვანია არხთან და ვინ იცის, ეგებ უკვე ასწავლის საწყლოსნო ანა ბანას.

REUTERS ონტარიოდან



REUTERS სევილიიდან

მხარის ცვლა

ასეც ხდება: სევილიაში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე უნგრელ ეროსმტყორცნელ კატალინ დივოშს მხარი ეცვალა და მოქნეულ ეროს რომ თვალი გააყოლა ცაში ვერ დაინახა. ვერაგი ერო კი დამცავ ბადეში გაკვეხებულიყო.

მილუოკელი ატლანტელები

გეისბოლი — მარადიული სიყვარული, მარადიული სიდიადე ამერიკული სულისა. ოდესღაც მილუოკიში არსებული კლუბი „ბრეივზი“ აწ ატლანტაშია და სახელდახელოდ ქმნის საკლუბო ისტორიის ფუნდამენტს. ამიტომაც „ატლანტა ბრეივზის“ უფროსობა პატივს მიაგებს ყოფილ მილუოკელ „ბრეივებს“, ჰენკ არონს, ედი მეთიუზს, ფილ ნიკროს და უორენ სპენს, ვისაც თუმცა სხვა ქალაქში დაუკრავთ კეტი, მაგრამ „ბრეივზის“ გმირები ყოფილან და ატლანტის „ბრეივთა“ დიდების დარბაზშიც იჭერენ ადგილს. „ბრეივ“ კი მამაცსა ნიშნავს.

REUTERS ატლანტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გიორგი თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli